

652
1970

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ԳԱԱՐԿԱՐԱՎԱՐՈՒԹՅՈՒՆ



1

2

7

• 2

მინიჭილი

წერილი

ვ. ხალხაში — მადლობა ლენინს!	3
(ლექსი)	
პ. ლორია — გედის მეგნაში	4
(მოთხრობა)	
პ. მშავია — მისი სახელი (ლექსი)	18
რ. სურანიშვილი, ი. კიჩაბოვი —	
სამი მანდარინი (ქრონიკა)	20
რ. ართილაშვილი — ჩიმი პლან-	
ტის დრო (ვოგბა)	34
პ. ზერხაშვილი — ინისა არმანი	
(ნაწყვეტი პიესიდან)	40
პ. ჩიათვი — მაშ, გაუმარჯოს!	
(ლექსი)	55
სოსე დე ლა კუადრა — ახალი	
ჯიბილენი (მოთხრობა. ესპანუ-	
რიდან თარგმნა გ. არჩვაძემ)	57
ოკრიტიკა და კუბლიცისტიკა	
ვ. რუსია — ლენინი ლიტერა-	
ტურის შესახებ	61
მ ე რ ი ლ ე ბ ი	
ო. ზავარი — ლამაზი სიცოცხლე	75
მ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა	
ვ. ხინიაშვილი — დაუცილებარი სცე-	
ნერი სახეები	82
ლ. ზარაშვილი — ვ. ი. ლენინი სა-	
ხვით ხელოვნებაში	86
ზიმნების მიმოხილვა	
ვ. ზანია — უკვდავიბა	91

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-კოლექტიური
ურნალი

საქართველოს საგვორა
მფრინავის კავშირისა და
აჭარის განვითარების
ორგანო



რედაქტორი ა. ჭონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ.
მდივანი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.
რედაციუნი: რედაქტორის — 33-71, მ/გ. მდივნის — 33-72.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 4. 1970 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი.
შეკვეთის № 1552, ემ 00100, ქალალდის ზომა 60X90, ტირუ 2.040.

* * *


საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპილიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 22).

3.0. ლენინის

დაბადების

100

წლისთავისათვის



მადლობა ლენინს!

მხოლოდ ერთია სათქმელი ახლა,
მხოლოდ გულიდან:

მადლობა ლენინს!

რომ ეს გზა ნახა მშობელმა ხალხმა,
რომ ამ გზით ახალ სინათლეს ელის.
რომ დამიბრუნდა ჩემივე კერა,
მზე დამიბრუნდა ჩაგრულს და დევნილს,
მიტომ ლენინის მესმის და მჯერა,
ამიტომ ვამბობ: მადლობა ლენინს!
არა თუ მიწის, ფუძის და ჭერის,
პატრონი გავხდი ჩემივე ენის,
რომელსაც ძალით მართმევდა მტერი.
ამიტომ ვამბობ: მადლობა ლენინს!
რა დღე-ღამეებს ვხატავ და ვითვლი,
რა ქართულია ვენახი მტევნით!
მტევანს მარანში მივიტან გიდლით
და ჭამს ავისებ:

მადლობა ლენინს!

ამგვარ მამულში სიცოცხლე მინდა,
ვიარო მინდა ამგვარი რწმენით.
რაღაც ახალმა და რაღაც დიღმა
კვლავ მათქმევინოს: მადლობა ლენინს!
აჭარავ, აღარ გამეორდება
უამი დაცემის, თელვის და თმენის,
ამიტომ შენა ლამზმა მთებმა
ამოიძახონ: მადლობა ლენინს!





პარენ ღორია

გ ე დ ი ს ძ ე ბ ნ ა შ ი

— იჰ, იჰ, რა დიდრონი სახლებია! — აღტაცებით შესძანა ვოგონამ და წინ მიმავალ ბიჭს პერანგის კალთა მოქაჩა. — მათია, ნახე, რამდენი პური დაუცხვიათ, რამდენი ძეხვი გამოუტანიათ, რამდენი ღვეზელი... იჰ, იჰ, ყველაფერი ბევრია და ლამაზი.

— მაგრამ ჩვენ რა?! — ნაღვლიანად შემოხედა ბიჭმა. — ყველაფერი კარგია, ბევრია და ლამაზია, მაგრამ... — უიმედოდ ჩაიქნია ხელი მან.

— შენ სულ „მაგრამ და მაგრამ“ — უსაყველურა ვოგონამ. — თალიამ თქვა: ქალაქში იმდენი მდიდარი და გულკეთილი ადამიანია, რომ ოქვენისთანა ობლებსა და გაჭირვებულებს თავშესაფარსაც მისცემენ და ლუქმასაც არ დაამადლიანო. — ვოგონამ ვარდისფრად შეწით-ლებული ლოყები ჩითის თავსაფრით შეიწმინდა და კვლავ მაღალ სან-ლებს შეავლო თვალი.

— მაშ, მაშ, ჩვენთვის ცხელათ. კოჭებში გვიცქერიან. ხომ არაფერი უჭირთო. — ჩაილაპარაკა ბიჭმა.

— იჰ, შენ სულ ეგრე იცი, ხოლმე. არავისი არ გწამს და არ გვერა. მაშ ამოდენა ქონება რომ აქვთ... — მაგრამ მათიამ ყურალება არ მიაქცია და ვოგონამაც სიტყვა უადგილოდ შეწყვიტა, ნაბიჯს აუჩქარა, წინ მიმავალ ძმას რომ არ ჩამორჩენდა.

ბავშვებმა რამდენიმე ქუჩა აიარ-ჩაიარეს; ბევრი ახალი და საკვირველი ნახეს: ურიცხვი სავაჭრო, თვალწარმტაცი ვიტრინები, სურ-სათ-სანოვაგით სავსე ბაზრები, კოხტად ჩაცმულ-დახურული ჭაბუკები და ქალიშვილები, ფარჩეულში გახვეული მანდილოსნები, ოქრო-ვერცხ-

ლუში ჩამსტდარი ღიპიანი ვაჭრები, ატლასის ქულაჯებში გამოწყობილი შეარღები და აქსელბანტ-დეზებიანი პოლიციელები...

ერთი სიტყვით, სოფლიდან ქალაქში პირველად ჩამოსული ბავშვებისათვის აქ ყველაფერი საინტერესო იყო. ვერ წარმოედგინათ თუ ამ დიდსა და დოკლათით სავსე ქალაქში ვინმეს უჭირდა, საზრდო არ ჰქონდა და თავშესაფარი არ გააჩნდა. ზღვაზე გემების ხილვამ ხომ სულ გააოცა პატარა სტუმრები.

— იქ, რამოდენა ტბაა, რა დიდრონი ნავები! რა ბევრი ხალხი! — იძახდა გოგონა და უკვირდა, რომ მათია არ იზიარებდა მის სიხარულს, გაკვირვებასა და აღტაცებას.

— წყალიც დიდია, ნავებიც დიდრონები, ქალაქიც ფართო და განიერი, მაგრამ...

— მაგრამ რა?! მაგრამ რა?! — წყენით შემოხედა გოგონამ. — იქნებ იტყვი, რომ არაფერიც არ არის, რომ ყველაფერი მოჩვენებაა?!

— არა, მაგრამ...

— იქ, გაჭირვე საჭმე. „მაგრამ და მაგრამ“. მაშ, თქვი რაც გულ-ზე გადგას.

— რა უნდა გითხრა, განა არ ვხედავ, რომ ყველაფერი ისეა, როგორც შენ ამბობ, მაგრამ ჩვენისთანა ობლებისათვის რა ბედენაა ყველაფერი ეს? — ბიჭმა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი გემზე შესეულ შძიმე ტვირთქვეშ მოხრილ მუშებს და გული აუჩუყდა.

— იქ. — ნაღლიანად ამოიხრა გოგონამ. — გაიანებ თქვა: „ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო“.

— მაგრამ „საწყალი კაცისათვის არ გათენებულა და არც გათენდებაო“, იტყოდა ხოლმე მამაჩვენი. — მაშინვე უპასუხა ბიჭმა.

მამის ხსენებაზე გოგონას წამწამებზე კურცხალი აუკამყამდა.

— ნეტავი გვყავდეს...

მათიამ თანაგრძნობით შემოხედა დას.

— მამა მამაა, მაგრამ... დედა სულ სხვაა მზეხა. მარტო ის რაღ ლირს, რომ...

— იქ, ნეტავი მისი ხსოვნაც შემომრჩენოდა. — გოგონამ თვალები ამოიწმინდა და წინ მიმავალ ძმას გაყვა.

— მას შემდეგ ათი წელია, — ჩაილაპარაკა ბიჭმა, — შენ ორი წლისაც არ იქნებოდი.

ბავშვების საუბარი ახმახი პოლიციელის შეუკირებამ ჩაახშო:

— აქედან წაეთრიეთ, მაწანწალებო! — დეზებიანი ჩექმის ქუსლი ჰყრა მათიას და დედ-მამა შეუკურთხა.

ბიჭს ნაცრისფერი დაედო, დედ-მამის ურიგოდ ხსენებამ გული ამ-



ულადრა, თვალები აუნთო, შეწრიალდა. კიდევ წამი და ყელში ეცემოდა
და მისი მშობლების შემგინებელს, მაგრამ მზეხამ მაჯაზე წაავლია
ხელი და გონს მოიყვანა.

— წავიდეთ აქედან, მზეხა, წავიდეთ! ვხედავ, რა გულკეთილი
ხალხი ყოფილა ამ ღიღ ქალაქში! — მზეხა ქუჩის მეორე მხარეს გა-
დაიყვანა და შუა ქუჩაში მიმავალ მამალივით თავალერილ პოლიციელს
ზიზლით გადახედა: — დამაცა, ლაჩარი ვიყო თუ ჩემი მშობლების შეუ-
რაცხოფა არ განანი!

მზეხას შეებრალა სიბრაზისაგან ანთებული ძმა.

— მათია, იცი როგორი სიზმარი ვნახე? ვითომ ფრთხები მესრა და
მზისაკენ მივფრინავდი. იპ, რა კარგი იყო! მზემ ადამიანივით მიმიღლ და
მომეალერსა. ნეტა რას ნიშნავს?

— სისულელე! — თქვა მათიამ, ისე, რომ არც კი გაუგონია რაზე
ესაუბრებოდა უმცროსი და.

— იპ, — შეწუხდა გოგონა, — განა ასე უნდა აუხსნა ადამიანს სი-
ჰმარი? ცუდიც რომ იყოს, არ უნდა უთხრა ცუდი არისო.

— აპ, სიზმარი? მე კი მეგონა... — ახლა გამოერკვა მათია. — განა
შენ სიზმარს ჰყებოდი?

— იპ, მაშ განა ზღაპარს. ვითომ მზესთან მივფრინავდი, მან კეთი-
ლად მიმიღლ და მომეალერსა... თალიამ მითხრა: ქალაქში რომ ჩახვალ,
ვინმე დიდი კაცის შვილს მოეწონები და... არა, მე კი არა, მაგრამ...

— ეპ, შენ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, ჩემი მზეხა! — სიყვარულით
შემოხედა ძმამ, — სიზმრებისა და ზღაპრების გჯერა.

— იპ, მაშ, რად გვირჩევდნენ ქალაქში წასვლას მეზობლები? —
სხვა ვერაფერი მოითვარი გოგონამ.

— მიტომ, რომ ყველას თავი მოვაბეზრეთ, შევაწუხეთ. გაჭირვე-
ბული და მაწანწალა მეზობელი არავის უნდა. — უთხრა მათიამ, მაგრამ
შეატყო, გოგონა დააღონა ასეთმა განმარტებამ და იმედიანად გაულიმა:

— შენ ნუ დამიღონდები, სანამ სული მიღდგას, არაფერს გაგიპირვებ,
თავშესაფარს მოვძებნი, სამუშაოს ვიშოვნი, ლუკმას გავიჩენთ და... ია,
ნახე თუ ჩვენი ბედი არ შემობრუნდეს, ვინ იცის, იქნებ მზესთანაც
მოგვიხდეს მისვლა!

იმედიანმა სიტყვებმა გოგონას გული აუჩუყა, სიყვარულით შეხედა
ძმას და ფეხდაფეხ გაჟყვა.

გაზაფხულის თბილი დღე იდგა. ქალაქში ცხოვრება დუღდა. სავაჭ-
როების წინ ჩამდგარი ნოქრები თავაზიანად ეპატიუებოდნენ გამვლელ-
გამოვლელთ და ნაირნაირ საქონელს სთავაზობდნენ. რესტორნებიდან
მადის აღმდევრელი სურნელი გამოდიოდა და თავისკენ ეწეოდა ქალაქში
ბედის საძებრად ჩამოსულ ბავშვებს.

კიდევ რამდენიმე ქუჩა ჩაიარეს, კიდევ ბევრი რამ ნახეს, მაგრამ ამ შვენიერმა სანახაობამ ოდნავადაც ვერ შეუმსუბუქა მათ შიმშილისა-გან დამძიმებული კუჭი.

— იჰ, ნეტა ერთი მჭადის ნატეხი და... — რაღაც კიდევ უნდა ენა-ტრა მზეხას, მაგრამ გაჩუმება არჩია.

— კიდევ ცოტა ხანი და... — მახლობლად ცხელი პურებით სავსე ფურნეს გახედა მათიამ. — მივალ, ვთხოვ, მაგრამ აქ არა, მეორე ადგილას.

— იჰ, მათხოვრობა სირცევილია! — შეწუხდა მზეხა.

— მაგრამ უფრო ნაკლები, ვიდრე ქურდობა.

კუჭი თანდათან დამძიმდა. მათიამ რამდენჯერმე მოინდომა რომე-ლიმე საფუნთუშეში შესვლა, ნაჭერი პურის თხოვნა, მაგრამ კარებზე მიმდგარი გამობრუნდა და სხვა მიმართულებით წავიდა.

— ესეც შენი მდიდარი ქალაქი! — ჩაილაპარაკა ბოლოს მან ნაღ-ვლიანად და ვვერდით მიმავალ დას მიუბრუნდა.

— ქალაქის რა ბრალია, თუ ჩვენ გამბედაობა გვაქლია და ვერავის ვაწუხებთ. — აბლა თვით მზეხამ დაუწყო წაქეზება ძმას. — ხომ თქვი, მედუქნეს პურს ვთხოვო?

— ვთქვი და შევასრულებ კიდეც! — გაბედულად ასწია თავი მათიამ. — მაგრამ შენ რომ თქვი, სირცევილიაო. — თავისი გაუბედაობა მზეხას გადააბრალა.

— იჰ, სირცევილია, მაგრამ... ქრისტიანი კაცი პურს როგორ დაუკა-ვებს მშიერ ადამიანს!

მათიამ შეატყო, რომ მზეხას შიმშილი აწუხებდა, მუხლები არ ემორჩილებოდა, და ამან ყველაფერი დაავიწყა...

— კეთილო ძია, — ფრთხილად მიმართა მან საფუნთუშეს კარებ-თან სავარძელში ჩამჯდარ მსუქან კაცს, რომელიც ხელში კრიალისანს ათამაშებდა. — სოფლიდან ვარ. თან უმცროსი დაი მახლავს. ობლები ვართ. გროში არ გავვაჩნია. გვშია. გვწყვალობეთ ცოტაოდნი პური.

— გვია? — მრისხანედ ახედა ლიპიანმა კაცმა. — ობოლი ხარ? ვა, რამდენი ხანია მეც იბოლი ვარ, მაგრამ პურის სათხოვნელად კარზე არავის მივდგომივარ. აქედან გამეცალე, თორემ პოლიციელს დავუძახებ.

— სავარძელი მიაბრუნა და ბავშვს ზურგი შეაქცია.

— ნახე, მზეხა, როგორი ადამიანები ყოფილან ქალაქში? ლუქმა პურის მოგდებაც კი ეშურებათ!

— იჰ, შენც. განა ყველა ასეთი იქნება! — უეცრად ერთი სახლის ალაყაფთან გაჩერებული ეტლიდან გაღმოსულ ლამაზ ქალბატონს მოჰ-ტრა თვალი. — დარწმუნებული ვარ, რომ მივიდე და ვთხოვო, ორიო-

დე გროშს კი გაიმეტებს. — და პასუხისათვის არ დაუცდია, იმ ბატონისაკენ გაექანა, და სწორედ მაშინ მიუსწრო, როცა უკანასკნელმა მეტლეს ანგარიში გაუსწორა, პატარა ფინიას ხელი დასტაცა, აიყვანა, გულზე მიიხუტა და სადარბაზო კარს მიაღდგა.

— კეთილო ქალბატონო, — ძლივს გასაგონად ამოილაპარაკა მზე-ხამ, — სოფლიდანა ვართ ობლები. ორი დღეა არაფერი გვიჭამია. ცოტაოდენი გროში გვიწყალობეთ. სამაგიეროს ღმერთი მოგიზღავთ.

ქალბატონმა კუმტად გადმოხედა მის წინ გაჩერებულ ბავშვს.

— ძალიან შორიდანა ვართ, ქალბატონო. — ახლა მათიაც ამოუდ-გა გვერდით დას. — თუნდაც რამდენიმე გროში გვიბოძეთ, ძვირფასო ქალბატონო.

— უი ქა, ეს როგორი მოძალადენი ყოფილან, ჭირსაც გაუწყვეტი-ნართ, მე თქვენ არაფერი მოგცეთ! აქედან გამეცალენით, თორემ... — ფინია ძირს ჩამოსვა და წააქეზა. — პოპსიკ, ეცი. — თითოთ ბავშვებზე ანიშნა ძალს.

პოპსიკი უკანა ფეხებზე დადგა და ბავშვებისაკენ გამოეჭანა, მაგრამ მათიამ ისე მაგრაც შეუცაცხანა, რომ შეშინებული ძალი პატრონის კაბის ქვეშ მოემწყვდა და იქიდან აკავეკვდა.

— ძალს რად ატარებთ ქალბატონო, როცა მასზე მწარე კბენა გცოდნიათ! — მოურიდებლად უთხრა გაკაპასებულ ქალს მათიამ და მზე-ხას მაჯაზე ხელი წაავლო. — წავიდეთ, ამათ რომ გული და სინდისი ჰქონდეთ, ალარც ამოდენა სიმდიდრე ექნებოდათ.

ბავშვებმა კვლავ შემოიარეს ქალაქის ქუჩები, მაგრამ გაწბილებული დარჩენენ. ბოლოს მობრუნდნენ და ისევ იმ ადგილას ჩამოსხდნენ, სადაც უზარმაზარი გემი იტვირთებოდა. მუშებს გაჭირვებით აპერნდათ მძიმე ტვირთი გემბაზე. ტვირთით მიმავალი მძიმედ შიყვებოდნენ კიბეს, უკან მობრუნებულნი კი პერანგის სახელოთი იწმენდდნენ ოფლს.

ერთანხმ გაართო ბავშვები ამ სანახაობაშ. წუთით დავიწყდათ მოლლილობა და შიმშილი, მაგრამ, როცა მოსალამოვდა და მტვირთავი მუშები სახლებისაკენ გაეშურნენ, კვლავ მოაგონდათ ცველაფერი.

მეტის მოთმენა ალარ შეიძლება. ძნელია უბინაოდ ამ უცხო ადგილას ღამის გათვევა, მაგრამ უფრო ძნელია უჭმელობა. როგორმე უნდა ვაჩინოს მათიამ საღმე პურის ნატეხი, იმოდენა მაინც, რომ მზეხას ეყოს.

და ეს უკანასკნელი ნაბიჭიც გადადგა ბიჭმა:

— კეთილო ძია კაცო! — წინ გაუჩერდა სამუშაოდან მომავალ კაცს მათია. — უნდა გვიშველოთ რამე. სოფლიდანა ვართ ჩამოსული მე და ჩემი და, ორი დღეა არაფერი გვიჭამია, იქნებ გვიწყალობოთ რამე. — ეს სიტყვები ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, რომ მუშაკაცი გაოცებული შეაჩერდა ბავშვს.

— გშია ბიძია? — კითხა მან და ჭიბეზე გაიკრა ხელი, მაგრამ მო-
აგონდა, რომ შიგ არაფერი მოექეოდა და მოიწყინა. — აქ არაფერი
მიგდია, თუ გამომცვები, ავერ მახლობლად ფურნეში ნდობა მაქვს, ნი-
სიად მომცემენ და ერთ ოყა პურს გამოგატან.

— ოყა პურს?! — აღტაცებით შესძახა ბიჭმა. — მზეხა, გავუვები
ძიას, დამელოდე, მალე მოვიჩენ. — და იმ კეთილ ძიას აედევნა.

მზეხა იქვე ბოძთან ჩამოჯდა. ახლა იგი უფრო დამშვიდებული იყო,
მალი-მალ გაიხედავდა იქითენ, საიდანაც მათია უნდა მოსულიყო, მაგ-
რამ უფრო მეტად იმ უზარმაზარმა გემმა გაიტაცა.

ქალაქში სალამოს ბინდი ჩამოწეა, მათია კი არ ჩანს.

„სად არის აქამდე!“ — შიში შეეპარა გოგონას. — „წავიდე, მოვ-
ძებნო, მაგრამ სად?“ აღგილიდან ფეხის მოცვლაც ვერ გაბედა, ვაი თუ
მათია მოვიდეს და აქ არ დავუხვდეო.

ბავშვის ამ შეშფოთებულ წრიალს ყურადღება მიაქცია ერთმა
უცხო მგზავრმა, რომელიც გემზე ასასვლელად ემზადებოდა. მან კარგა
ხანს უცქირა ბავშვს, უთვალთვალა, შემდეგ რომ შეატყო, რალაც მძიმე
გასაჭირი ჰქონდა, ახლოს მოვიდა და გამოელაპარაკა.

მზეხა ვერაფერს მიუხვდა. ვერც თავისი გასაჭირი გააგებინა უც-
ნობს, მაგრამ ამ კაცის ყურადღებამ ცოტაოდენი იმედით გაუთბო გული.

უცნობს გოგონა შეებრალა, დაუტება, მიუალერსა, ხელში სამგზავ-
რო ჩანთა მიაჩეხა, თან გაიყოლია და გემბანზე აიყვანა.

აქ ისევ ახალმა სანახაობამ გაიტაცა ბავშვი, მაგრამ როცა გამო-
ერქვა და დაბლა გადმოიხედა, გემი უკვე კარგა მანძილით მოშორებოდა
ნაპირს.

— მათია- მათია! — ერთი საშინლად იყვირა გოგონამ და ორივე ხელი
თავ-პირში წაიშინა.

* * *

უცნობმა მუშაკაცმა მათიას ოყა პური და გირვანქა ძეხვი გამოატა-
ნა, თანაც დაუბარა: თუ სამუშაო გინდა, მოდი ხვალ დილით ჩვენთან
ნავსადგურში, ორი სატვირთო გემია მომდგარი და ერთი კვირის სამუ-
შაო გეგნებაო.

მათია გახარებული გამოეშურა მზეხასაკენ, მაგრამ გზა აერია და
დიდი ხანი იხეტიალა, როცა იპოვნა ის ადგილი, სადაც და დატოვა, იქ
აღარავინ დახვდა.

— მზეხა, მზეხა! — მორთო ყვირილი საბრალო ბიჭმა, მაგრამ მას
არავინ გამოხმაურებია. პოლიციელი, რომელიც იქვე ყელმოლერებული
დაბიჯებდა, აჩც კი დაინტერესებულა ამ უცნობი ბიჭის ბეღით.

„რა ვქნა, სად წავიდე?“ თავისთავს დაეკითხა მათია. რა პასუხი
უნდა მიეღო! გამვლელ-გამომვლელებს ან ვერაფერი გააგებინა, ან მან
ვერა გაუგო რა.



ზოგმა ურჩია საპოლიციო უბანში შეიტანე განცხადებაო, ზოგმა კანკენია: ქალაქებით მიუთითა, იქნებ იქითყენ წავიდაო, ვინ კიდევ ხელი ჩაიქნია: ჩვენს ქალაქში არა ერთი და ორი მასეთი უპატრონო გოგონა დაკარგულაო.

ვერც ერთს ვერ დაუჭერა, ვერავის ენდო. საკუთარ გულისთქმას მიჰყვა, ჯერ მთელი ქალაქი შემოირბინა, ყოველი კუთხე და კუნძული მოათვალიერა, შემდეგ გარეუბანში გავიდა, ქოხმახები და ჩანაგვიანებული ეზოები დაიარა.

— სადა ხარ გოგო, სადა ხარ დაიკონა, სადა ხარ ჩემო მზეხა? — იძახდა იგი და ბნელსა და ნესტიან ორლობებში მირბოდა.

ბოლოს ამ ორლობებსაც გასცდა, ტიალ აღგილას გავიდა და...

— ეი, შესდექ! — მოესმა ამ დროს შეძახილი და მახლობელი ბუჩქებიდან გამოსული სამი კაცის ლანდი მის წინ აღიმართა.

— ვინა ხარ? — თავზე წაადგა ერთი ახმახი ახალგაზრდა.

— სოფლელი ბიჭი ვარ, მათია ქევია, ობოლი ვარ, გაჭირვებული...

— გეყოფა! შენი ამბავი არ გვაინტერესებს. ჯიბეში რაც გაქვს გადმოალაგე და თუ დაგვიმადლებ ცოცხალს გაგიშვებთ.

— ჯიბეში რომ არაფერი მიდევს, რა უნდა მოგცეთ. სამოწყალოდ პური და ძეხვი მომცეს და..

— ეგეც ხეირია. — თქვა მეორემ, უფრო დაბალმა და სქელმა ბიჭმა. — მოიტა აქ!

— რად უნდა მოგცე! ხომ გეუბნები, სამოწყალოდ მომცეს მეთქი.

— ურჩობასაც ბედავ! — კვლავ ახმახი ახალგაზრდა წამოიწია: — მომეცი აქ! — მაჭაზე წაავლო ხელი, მაგრამ მათია არ დამორჩილდა, გაიწია და ხელიდან გაუსხლტა.

— რაო, გაქცევაც მოიფიქრე? — წინ გადაუდგა და მოქნეული ხელი სახეში უნდა გაერტყა, რომ მათიამ დასწრო და იმოლენა ვაუკაცი თავპირგასისხლიანებული მიწაზე დაეშვა.

„ახლა კი დავიღუპეო“, გაიფიქრა მათიამ, „ამას აღარ მაპატიებენ, მომცევივდებიან და ნაკუშნაკუწად მაქცევენონ“, მაგრამ დახეთ საკვირველებას, თავდამსხმელები ამით მაინცდამაინც არ აღშფოთებულან. წაცეული ამხანაგი წამოაყენეს, გასისხლიანებული სახე მოწმინდეს და აქეთ-იქით ამოუდგნენ.

ახლა სამივე ერთად იდგა და გაკვირვებული მისჩერებოდა ამ უცნობ სოფლელ ბიჭს, რომელიც მუშტებმომარჯვებული ელოდებოდა შემოტევას.

— მაგარი ყოფილხარ ძამიკელი! — მივიდა მასთან ახმახი ახალგაზრდა. — მასეთი გარტყმით კეისარსაც ჩამოაგდებ ბედაურიდან. მომეცი

ხელი. დღეიდან შენ იქნები ჩვენი ატამანი. მოდის? — და გაცვირვებული მათიას ხელი გაუწოდა.

— ჩამომებსენით, ბიჭებო! თუ ჩემი კარგი გსურთ, დამეხმარეთ, და გამებნა, საბრალო გოგონა დავკარგე. მომაძებნინეთ. — ატირდა საბრალო ბიჭი.

— ერთიც შენ. — უთხრა დამარცხებულმა ატამანმა. — დაბნეულებსა და დაკარგულებს რომ ქებნა დავუწყოთ, შიმშილით კუჭი გამოგვიხმება, იგი შენოვისა დაკარგული, შენ მისთვის, ბარი ბარსა ხართ. ამ ქვეყნად ასე დაკარგული ვართ ყველა. წამოდი ჩვენთან, საქმეს გავრჩენთ. შენი მკლავის პატრონი ეგრე საწყლად რად უნდა ეხეტებოდე.

მათია დაინტერესდა ამ ჭაბუკების საქმიანობით.

აშკარად უთხრეს: როცა მზე ჩაგა და შებნელდება, თავიანთ სოროებიდან გამოძვრებიან, ერთმანეთს სტვენით მოქებნიან, შეერთდებიან და ბენელ ქუჩებს ჩაუვლიან. გამოჩნდება ვინმე საკბილო, ზოგს გროშებს წაართმევენ, ზოგს სამოსელს, ვისაც არაფერი აღმოაჩნდება, იმას ერთს მაგრად ამოჰკრავენ პანლურს და გააგდებენ. ჯერჯერობით წვრილმან ცხოველებზე ნადირობენ, ცოტათი კმაყოფილდებიან, შემდეგ კი...

— როცა შენისთანა მკლავმაგრებით მოემრავლდებით, წვრილმანებს აღარ შევაწუხებთ და უფრო მსუქან ლუქმიანებზე დავიწყებთ ნადირობას. — გამოტყდა დამარცხებული ატამანი და ამხანაგებს გადახედა: — რას იტყვით, გამოგვადგება?

— ყოჩალი ვინმე ჩანს! — მიუგეს მხლებლებმა.

— არა, ბიჭებო, არა, ქურდობას და ავაზაკობას ვერ ჩავიდენ, ცოდვაა, სირცხვილია, — უკან დაიხია მათიამ.

— ბრიყვი ყოფილხარ, ძამიკელა. ქურდობა და წართმევ-წაგლეჭა რომ სირცხვილი და ცოდვა იყოს, ქვეყანა ჯოჯოხეთში ამოყოფდა თავს, ან სირცხვილის ოფლით დაღნებოდა. ხელმწიფიდან დაწყებული მეეზოვებდე ყველა ქურდი და წამგლეჭია.

— არა, არა, ქურდებსა და წამგლეჭებს კი არ უნდა ავყვეთ, ვებრძოლოთ, მოვაშლევინოთ ქურდობა და ავაზაკობა.

დამხვდურებმა ერთბაშად გადაიხარხარეს:

— ვის უნდა ვებრძოლოთ შენი აზრით? — წამოიძახა ერთმა.

— ვაჭრებს? — მათიას მიჩერდა დამარცხებული ატამანი.

— დიახ.

— პოლოციას? — იყითხა მეორემ.

— დიახ, თუ უკანონოდ იქცევა. — მიუგო მათიამ.

— ხელმწიფებს? — ახლა მესამე დაინტერესდა.

— თუ ხალხი ისურვებს და შეერთდება, იმასაც...

— ოპო, ესეც ბორია კოვალიოვით ფილოსოფოსობს. — წამოი-



ახა ახმახმა. — შევერტდეთ, შევკავშირდეთ, შევიარალდეთ და ქვეყნის
ნაი ჩვენს ჭკუაზე. ჩვენს ნება-სურგილზე მოვმართავთ — იძახის. შარ-
თლა, რახან შენ ჩვენთან ამხანაგობა არ გსურს და ფილოსოფოსობ, მი-
ღი კოვალიოვთან. მეზღვაურია, ცურავს, ამჟამად მისი გემი აქ იტვირ-
თება და თვითონ მეტწილად დედასთან ათევს. თუ სურვილი გაქვს,
წაგიყვანს გემზე სამუშაოდ. მეც რამდენიმეჯერ შემომთავაზა, მაგრამ ..
არ მიყვარს ზღვა.

მათია ჩააფიქრა ამ ცუდ გზაზე დამდგარი ახალგაზრდების ნათქ-
ვამმა.

— თქვენ ამბობთ, რომ ბორია კოვალიოვი ასეთი კეთილი კაცია?
რომ მივიღე და შველა ვთხოვო, დამეტარება?

— გინდა მიგასწავლო სად ცხოვრობს? შინ იქნება.

— მაგრამ მე გასამრჯელოდ მადლობის მეტს ვერაფერს შეგვირ-
დები. — ნალვლიანად უთხრა მათიამ და დამარცხებული თავდამსხმელის
მიერ მითითებული გზით წავიდა.

* * *

გემზე, უცხო ხალხში მოხვედრილი მზეხა გალიაში მომწყვდეული
ფრინველივით ეხეთქებოდა აქეთ-იქით. რამდენიმეჯერ მიიჭრა მოაჭირ-
თან, რომ აბობოქტებულ ზღვის ტალღებში გადაჭრილიყო, მაგრამ იმ
უცნობი კაცის ფხიზელი თვალ-ყური მუდამ დარაჯობდა და იცავდა.

უცნობი მგზავრი არ ჩანდა ურიოგ კაცი. რაც შეიძლება ყურად-
ღებით ეპყრობოდა დანალვლიანებულ ბავშვს. მრავალნაირ ტკბილეულს
სთავაზობდა, საჭმელ-სასმელი ხმი თავსაყრელი მოჰქონდა, მოფერება-
ალერსსაც არ აკლებდა, მაგრამ ყოველმხრივ იმედდაკარგული ბავშვი-
სათვის ყველაფერი ეს ფუჭი იყო. ხელს არაფერს აკარებდა.

„ერთი ვინმე მაინც გამოჩნდეს ისეთი, რომ ჩემი დარდი, ჩემი წუ-
ხილი გავუზიარო და შველა ვთხოვო“, — ფიქრობდა იგი და აქეთ-
იქით აცეცებდა ოვალებს ნაცნობი სახის აღმოსაჩენად. მაგრამ ამაოდ,
ყველა უცნობი იყო და უცნაურ ენაზე ლაპარაკობდა.

გემი მიდიოდა და მიარღვევდა აქოჩრილ ტალღებს. მიდიოდა და
მიკჟონდა იმოდენა ტვირთი და ბარგი, მიკყავდა სხვადასხვა მდგომარე-
ობისა და განწყობილების აღამიანები. ბევრი მხიარული და ბედნიერი,
მღიდარი და მაძღარი, ბევრი კმაყოფილი და მადლიერი, ბევრიც მწუხა-
რე და გაჭირვებული, მაგრამ მზეხასავით უნუგეშო და დაობლებული
მეორე არ მოიძებნებოდა ამ უზარმაზარ გემზე.

ახლა ნანობდა. სხვის აჩევას რომ ენდო, ძმაც შეაცდინა, მშობლი-
ური სოფელი მიატოვებინა და აქეთ წამოიყვანა. „თუ ბედის საძებრად
თვითონ არ წადი, იგი შენთან არ მოვაო“, — ეუბნებოდნენ და დაიჯერა.

მათიაც დააჯერა: „ქალაქში ბევრი მდიდარი კაცია, მოახლე და მოსამსახურე სჭირდებათ, მიგვიღებენ, სამუშაოს მოვცემენ, ჯამაგირი გვექნება... რამდენი რამე შეიძლება შეიძინოს კაცმა ფულითო“ — ფიქრობდნენ.

და გამოკეტეს დაფერდებული ფაცხის კარები და ბედის საძებრად წავიდნენ. წავიდნენ ქალაქისაკენ. სმენოდათ ამ ქალაქის სიუხვე და გულებულობა.

ბევრი იარეს. გაციოთეს შინ ნაკერი ქალამნები და ქალაქსაც მიაღწიეს, მაგრამ... იგი სოფელზე ძუნწი და მიუკარები გამოდგა. ლუკმა არავინ გაიმეტა. მერე? მათია ვიღაცამ გაიტყუა და დაიკარგა, მზეხა კი...

გოგონამ მის წამომყან უცნობ კაცს ახედა. გამარჯვებულივით ილიმება იგი. თავზე ხელს უსვამს ცრემლებით ლოყადასველებულ ბავშვს. ნუთუ გული არა აქვს? შვილის სიყვარული არ იცის? გაჭირვებული და ობოლი არ ებრალება?

მართალია, ძალიან ეგავრება ეს კაცი მზეხას, მაგრამ მასთან სიახლოვის არ ეშინია. ურიგოდ არ ეპყრობა იგი. ახლა რომ მათიაც აქ იყოს, ამ კაცის მფარველობაში, მაშინ მზეხას საღარდოც არაფერი ექნებოდა; წაიყვანოს ამ კაცმა სადაც სურს, იმსახუროს, საქმე გაუჩინოს, თავშესაფარი მისცეს. მეტი რა უნდა, მაგრამ...

— მათია, ჩემო ძამიკონა, სად ხარ ბიჭო! — უეცრად თავ-პირში წაიშინა ხელები და აქვითინდა.

უცნობი ეფერება, თავზე უსვამს ხელს, ტკბილეულს სთავაზობს, მაგრამ მზეხა არაფერს იყარებს.

მიღის გემი, მიარღვევს ტალღებს, მიაქვს უამრავი ბარგი და ტვირთი, მიჰყავს მრავალი ბეღსვიანი, ბევრი საწყალი და გაჭირვებული, და მიჰყავს ყველაზე უბედური და ღამწუხრებული პატარა ობოლი გოგონა მზეხა.

„ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაა“ — აგონდება საბრალო ბავშვს მეზობელი ქალის ნათქვამი, მაშინ რომ დასამშვიდებლად ეუბნებოდა უბატრონოდ დარჩენილ ობლებს.

მერე, ესაა კარგად გამომცხვარი კვერი?

მიღის გემი. გაიარა რამდენიმე ნავსაღებური და მისადგომი. ბევრგან შეჩერდა, ზოგან დატოვა ხალხი და ტვირთი, ზოგან უფრო მეტი ხორავით აივნო მუცელი და ბოლოს...

უცნობმა აიღო თავისი ბარგი, მზეხას ჩაავლო ცალი ხელი და ჩავიდნენ.

ნეტავ ვისი ქვეყანაა? — აცეცებს თვალებს გაკვირვებული ბავშვი.

ჯერ ეტლით მიღიან, შემდეგ კი მატარებელში სხდებიან და...

სულ აერია მზეხას ყველაფერი.

ნუთუ ასე დიღია ქვეყანა, რომ ამდენი ხნის მგზავრობით მის კულტურულ ვერ მიაღწიეს! ნეტავი მოელოს ბოლო ამ დაუსრულებელ მგზავრობას!

ყველაფერი მობეჭრდა მზეხას. საკუთარი თავიც მობეჭრდა და შეჯავრდა. რით უნდა დამთავრდეს ყველაფერი ეს? სად უნდა მიიყვანოს ბეღმა ობოლი ბავშვი? სად შეაჩეროს, სად გაისროლოს და ვაჩიყოს?

მოვიდეს რაც მოსავალია! დამთავრდეს ამდენი ფიქრი, ტირილი, ტრემლი და ოხვრა!

და ერთ დიღ ქალაქში, სადაც მატარებლიდან ჩამოვიდნენ და ხალხით საგეს ქუჩის დინებას გაჰყვნენ, მზეხა სრულიად მოუფიქრებლად დაუძრა ხელიდან უცხო კაცს და გაუჩინარდა, ხალხის ტალღამ გაიტაცა.

შეწუხებულმა კაცმა რა არ იღონა, სად არ მიმართა, ვის არ აცნობა, მაგრამ ქებნა უშედეგოდ დამთავრდა, ბავშვი ვერ იპოვნა.

* * *

კაბინეტი უბრალოა, სუფთად მილაგებული. კედელზე მსოფლიოს რუკაა, სამუშაო მაგიდა და თაროები წიგნებითა და სქელტანიანი რვეულებით არის დატვირთული.

ეტყობა, მეცნიერულ მუშაობას ეწევა აქაურობის პატრონი. ქვეყნის სვებედით არის დაინტერესებული, მისი ახლებურად გარდაქმნა თუ განუზრახავს. ახალი ვარსკვლავის აღმოჩენას თუ აპირებს, ასე რომ მოუხაზავს ცის კიდევანი.

უთუოდ დიღი მეცნიერია, მაგრამ... მეცნიერება მრავალგვარია.

ამ კაბინეტში დალაგებული ლიტერატურის მიხედვით ძნელი დასაღენია, რომელ მეცნიერებას აღიარებს მისი მფლობელი.

თაროებზე ანტიკური ქვეყნების ისტორიის გვერდით დალაგებულია თანამედროვე ისტორიული მასალები, ძველი ფილოსოფოსების უნიკალური ნაშრომები, რამდენიმე წიგნი და სახარებაში მოხსენიებული მოციქულების მოძღვრებანი.

— პოდა, ეს თქვენ გიკვირთ, სერგეი კონსტანტინოვიჩ? — ეუბნება წიგნებით დატვირთულ მაგიდასთან გაჩერებული შუახნის კაცი იქვე სკამზე ჩამომჯდარ ახალგაზრდას. — პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რაც კაცობრიობას შეუქმნია კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, ჩინოვნიკური საზოგადოების ულელქვეშ. დიახ, დიახ, ჩვენი მესიერება უნდა გავამდიდროთ მთელი იმ ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია.

— მართალი ბრძანდებით, ვლადიმერ ილიჩ. — ფეხზე წამოღვაწე ახალგაზრდა. — თუ ნებას დამრთავთ... — და კარებისაკენ მიიხედა მან. — დაბრძანდით, დაბრძანდით! თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვს... დიახ, მეექვსე პარტკონფერენციის მოწვევის, რომელიც მომავალი წლისათვის გვაქვს განზრახული, მთავარი პასუხისმგებლობა თქვენ უნდა იყისროთ. დაბრუნდებით თუ არა რუსეთში, მაშინვე ჩამოუვლით... — და ილიჩმა უნებლიერ რუსეთის საიმპერიო რუკას მოავლოთვალი.

— გასაგებია, ვლადიმერ ილიჩ, გასაგები... შესაკრებ ადგილად, ალბათ...

— დიახ, ისევ პრალა რჩება. უფრო მოხერხებული ადგილია. ამხანაგებიც ადგილად მოახერხებენ ვიზის მიღებას... დაბრძანდით, გეთაყვა. აი, ნადეჟდა კონსტანტინოვნაც გეხალათ. — და ილიჩმა სადარბაზო კარებში შემოსული ქალისაკენ მიიხედა.

— აჲ, ჩვენ სტუმარი გვყოლია! — თქვა ახალშემოსულმა, ხელჩანთა იქვე დადო და სტუმრისაკენ გამოეშურა: — სწორედ გუშინ გახსენებდით სერგეი კონსტანტინოვიჩ. არც ასე დავიწყება ვარგა. — ხელი ჩამოართვა და მოიკითხა. — დაბრძანდით, დაბრძანდით, სერგეი კონსტანტინოვიჩ. მე ერთი ისეთი ჩიტი მოვიყვანე, რომ გაიხარებთ. — ნადეჟდა კონსტანტინოვნა სწრაფად მიტრიალდა. მეორე დარბაზში გავიდა და იქიდან შემოიყვანა გოგონა. — რას იტყვით, ლამაზი ჩიტია, მაგრამ არ ვიცი საიდანაა და რა ჯიშის. — გრუზა შავი თმა გადაუწია და თვალებში ჩახედა. — როგორ მოგწონთ, ა? ხომ მშვენიერია?

გოგონას ძველმანები ეცვა, მაგრამ ძალიან ლამაზი ჩანდა.

— ფრანგი არ არის. — თვალებში ჩახედა ილიჩმა ბავშვს.

— არც სხვა რომელიმე ევროპელი. — დაუმატა სერგეი კონსტანტინოვიჩმა.

— ვფიქრობ ბოშაა, ან ბერძენი, მაგრამ რომ ვერაფერი გავაგებინე.

— კიდევ გადაუწია თმა ნადეჟდა კონსტანტინოვნამ და აკოცა.

ამ უცნობი ბავშვის ვინაობამ ყველა დააინტერესა. ილიჩი რამდენიმე ენაზე გაელაპარაკა მას — ფრანგულად, გერმანულად, ინგლისურად, პოლონურად, იტალიურიც მოიშველია, მაგრამ ვერაფერს განდა. ახლა სერგეი კონსტანტინოვიჩმაც მოსინგა. ჯერ სპარსულად ჰკითხა სადაური ხარ, ვინა ხარო, მერე თურქულად, ალბათ სომხურადაც კითხავდა, მაგრამ ამ დროს ამდენი შეკითხვებით შეწუხებულმა ბავშვმა ქართულად წამოილაპარაკა:

— არ მესმის თქვენი, კეთილო ხალხო, არ მესმის. — და ტირილი დაიწყო.

— აՅ, ქართველი ხარ?! — წამოვარდა სერგეი კონსტანტინოვიჩი. — საიდან, გოგონა? — ხელი მოხვია და მოეალერსა. — ჩემი თანამემა-მულე ყოფილა, ვლადიმერ ილიჩ!

შშობლიური ენის გაგონებამ გაახარა ბავშვი. დამშვიდდა და მისი მდგომარეობით დაინტერესებულ ადამიანებს ყველაფერი მოუყავ.

— სასწაულია, საოცრებაა, იშვიათი შემთხვევაა. — იძახდა ნადეჟ-და კონსტანტინოვნა და გოგონას მშობლიურად ეალერსებოდა.

— წავიყვან საქართველომი. — თქვა სერგეი კონსტანტინოვიჩმა, როცა ბავშვის მომავალზე ჩამოვარდა ლაპარაკი. — ნათესავებს ჩავაბა-რებ, ძმას მოვაძებნინებ...

— არა, არა ეგ არ შეიძლება! — შეაწყვეტინა სიტყვა ნადეჟდა კონსტანტინოვნამ. — ჩემს ნაპოვნში წილს არავის დავუდებ. თქვენ კი, სერგეი კონსტანტინოვიჩ, ისედაც მეტად რთული დავალებები გაქვთ შესასრულებელი.

— დიახ, დიახ, სწორია, სწორი. — დაუდასტურა მეუღლეს ვლა-დიმერ ილიჩმა. — ჩვენ როგორმე მოვუვლით... რა გქვია? მზეხა? ა, მზეხა. კარივი სახელია. — ილიჩმა ბავშვს ხელი მოხვია და შუბლზე აკოცა.

გამოთხოვებისას სერგომ მზეხას ბევრი იმედიანი სიტყვა უთხრა, დაამშვიდა. შეპირდა, შენს ძმას მოვძებნი და მივეშველებიო.

* * *

იდგა ზამთარი, ცივი და სუსხიანი. უბერავდა ქარი. ყინავდა. ქუ-ჩებში მოძრაობა ჭირდა. მხოლოდ შეიარაღებული ჯარისკაცები თუ გა-მოჩნდებოდნენ აქა-იქ. იშვიათად ჩაივლიდა შუშებჩალეწილი ტრამვაი, ისიც სანახევროდ სავსე. სავაჭროების მეტი ნაწილი დაკეტილი იყო. ლია მაღაზიებშიც არაფერი მოპოვებოდა. ქალაქი ყინვას გაეთოშა. საკვამუ-რი მილებიც აღარ სუნთქვდნენ.

ბოძებზე, სახლებზე, აივნებზე ვამოკიდებული იყო ლოზუნგები, კარიკატურები, პლაკატები.

ქუჩაში ჯგუფად მიმავალი მუშები წმამაღლა იმეორებდნენ:

გაუმარჯოს საბჭოებს! გაუმარჯოს ლენინს!

დიდ ქალაქში დიდი სიცოცხლე იგრძნობოდა. მიუხედავად ამინდის სიმკაცრისა, ქუჩებში მოძრაობა არ წყდებოდა, თუმცა აღრინდელთან შედარებით ეს უმნიშვნელო იყო.

უჩვეულო მოძრაობა და ხალხის სიმრავლე მხოლოდ სასახლის წინ იგრძნობოდა. მეტი ნაწილი აქ სამხედრო პირები, მეზღვაურები და შეიარაღებული მუშები იყვნენ. შენობის განიერ, ლია კარებში განუწყ-ვეტლივ მიედინებოდა მოზღვავებული ხალხის ტალღა.

ერთ-ერთი კაბინეტის წინ, მოსაცდელ ოთახში, სადაც ქალიშვილი

აწესრიგებდა საშვებს, ამჟამად მხოლოდ სამი კაცი ელოდა კაბინეტში შესვლის რიგს. ეტყობოდა, ქალიშვილი სამთავეს იცნობდა და შინაურულად საუბრობდა მათთან.

ისინი რიგის მიხედვით შევიღნენ კაბინეტში. მალე გამობრუნდნენ და ოთახიც დაიცალა.

ქალიშვილმა კედლის საათს ახედა. მაგიდაზე უწესრიგოდ დაყრილი გაზეთები მიალაგა. უჭრიდან ქალალდში გახვეული შავი პურის პატარა საჭერი და ცოტაოდენი ქონი ამოილო.

ჩვეულებრივი ამბავი იყო: საათის ხუთზე უამრავ მომსვლელთა ნაკადი კლებულობდა, საათის ექვსზე კი მთლიანად წყდებოდა.

ახლა უკვე შვიდი სრულდებოდა და ქალიშვილსაც სრული უფლება ჰქონდა არავინ მიერო.

ის იყო ქალიშვილი სადილს მორჩა და საქმეს უნდა შედგომოდა, რომ კარი გაიღო და ოთახში მაღალ-მაღალი მეზღვაური შემოვიდა.

— მეთორმეტე ჯვშნოსნიდან! — წარუდგა იგი ქალიშვილს. — იარაღისა და სურსათის საკითხზე გახლავართ.

ქალმა თავაზიანად დაუკრა თავი და გაულიმა.

— ნაბრძანები არა მაქს, ამხანაგო მეთაურო!

— მოახსენეთ, რომ საქმეზე ვარ მოსული. — ხმას აუწია მეზღვაურმა.

— იპ, ამას დამიხედეთ, აქ უსაქმოდ არავინ დადის.

მეზღვაური შეკრთა და უკან დაიხია.

— მე მგონია, რომ... — თვალებში ჩააჩერდა ქალიშვილს და უნებლიერ მაგაზე მოავლო ხელი.

— მაპატიეთ, მითხარით ვინა ხართ, საიდან?

ქალიშვილი შეცდა.

— გოგო, მითხარი მზეხა ხომ არა ხარ, ჩემი დაკარგული მზეხა?! — ვაჟს ხელები აუცახცახდა, ტუჩები აუთრთოლდა.

— აა, როგორ თქვი? მზეხა? აპ, მათია! ჩემი მათია ხარ, ბიჭო!!! — ღა ქალიშვილი ვაჟკაცის მკერდზე მიესვენა.



მ ი ს ი ს ა ხ ე ლ ი

მისი სახელი სიმღერად იქცა,
 სიცოცხლეს მისით გაეხსნა კარი;
 გუგუნებს მძლავრად
 და დედამიწას
 ედება, როგორც სინათლის რკალი.
 იგი შუქია პირქუშ ამინდში,
 მტერთა ძლევაა,
 ძმობის ხიდია.
 და თაობები მტკიცე ნაბიჯით
 მისგან გაკვალულ გზებით მიღიან.
 ყველან სითბოს და ღიმილს არიგებს
 ყველა სიძნელის გადამლახველი,
 და ისტორიის ნათელ თარიღებს
 ღროშად მიუძლვის მისი სახელი.
 მისი სახელი გზა არის ხსნისთვის,
 იმედის ტალღად დაუვლის მთა-ველს,
 საღაც ულმობლად იღვრება სისხლი
 და მიწას ცრემლის წვიმებით რწყავენ.
 იგი ბრძოლებში ჭავშნად გვეხურა
 და ნალვერდლებად გვენთო გულები;
 არ გავტეხილვართ,
 არ დავცემულვართ,
 მისი ღროშის ქვეშ შეფიცულები.
 მისი სახელი გვმატებდა ძალას,
 გვწამდა, დავძლევდით ქარბუქს და ქუხილს...
 და რაიხსტაგზე აღმართულ ალამს
 შვენოდა მისი სინათლის შუქი.
 ამ შუქით ბრწყინავს მთები მაღალი,
 ჩამოიცილეს ნისლი ველებმა

და ფრთებშესხმული მისი სახელი
იღვრება სითბოდ და სურნელებად.
თავზე ევლება ბალში ხილნარებს,
საგაზაფხულო კვირტებს აღვიძებს;
ის ყველა სახლში შეალებს კარებს
და მასპინძლურად შემოაბიჯებს.
ხან სიხარული უბადრავს სახეს,
ხან შუბლშეკრული ცხარედ კამათობს,
მიუალერსებს მძინარე ბალღებს
და არწევს აკვნებს ღიმილდანათოვს.
მზით და სინათლით აგვივსო ჭერი,
აპრილის მოსვლა მისით ვიწამეთ;
დაუსრულებელ სიცოცხლედ მღერის
მისი სახელი დედამიწაზე.





ჩამაზ სერმანიძე
ივანე კიჩაკოვი

ს ა მ ი მ ა ნ დ ა რ ი ნ ი

თბილის-ბათუმის მატარებელი სადგურში ჩამოდგა თუ არა, ერთ-ერთი ვაგონიზან სოვეზაგრის ტანსაცმელში გამოწყობილი მგზავრი ჩამოვიდა. ერთ ხელში მოსრდილი ჩემოდანი ეჭირა, ხოლო მეორეში დაწნული კალათი. იგი ზალხის მდინარებას გაჰყვა. სადგურის მოედაზე მოულოდნელად უკან მოიხედა, შეჩერდა, მისკენ მომავალ უანდარმს შეხედა და, თითქოს რაღაც დაავიწყდა, ისევ ბაქანისაკენ წავიდა. ერთი წუთიც არ გასულა, კვლავ გამოჩნდა, ერთხელ კიდევ მოიხედა უკან და ჩქარი ნაბიჯით გაუხვია შეპელოვის ქუჩისაკენ. ათიოდე ნაბიჯზე მას უკვე ორი უანდარმი მისდევდა. ბარიატინსკის ქუჩის გადაკვეთასთან ისინი წამოეწივნენ და წინ აიმართნენ.

— გვაქვს პატივი შეგაჩეროთ, ბატონო, — მიმართა ერთმა მითგანმა და მკლავზე მოკიდა ხელი.

— რაშია საქმე? — განცვიფრებით იყითხა მგზავრმა.

— უანდარმთა სამმართველოსაგან დავალებული გვაქვს სამორიგეოში მიგიყვანოთ, — უპასუხა მეორემ, — იქ გაირკვევა ყველაფერი.

— ბატონი ბრძანდებით, — მორჩილად თქვა მგზავრმა, — სადგურში უნდა დამხვედროდნენ, მაგრამ მგონი ვერ დავინახე, უცნობმა კაცმა ეს ჩემოდანი გამომატანა ვინმე ზოიძეზე გადასაცემად. დავბრუნდები, იქნებ ის უკვე მივიდა და მეძებს. გადავცემ და შემდეგ მიმსახურეთ.

— არა უშავს, მე მოგეშველებით, — თქვა ერთმა უანდარმა და ჩე-

მოდანი ხელისა გამოსტაცა. — სამორიგეოდან დავბრუნდებით და ზოიძეს შემდეგაც მონხხავთ. ახლა კი წავიდეთ.

მგზავრმა კალათი დადო ქვაფენილზე და უანდარმს, რომელსაც ჩემოდანი ეყავა, თავაზიანად უთხრა:

— მე ერთი სოვედაგარი ვარ, ძმობილო. რამდენიმე საათში უკან უნდა დავბრუნდე, ჩემთვის წუთსაც დიდი ფასი აქვს, ნუ დამაყოვნებთ და ფეშაში... — ჯიბეზე გაიკრა ხელი... რამდენიმე თუმნიანი ამოილო უანდარმა ფულს ხარბად დახედა, შემდეგ ამხანაგისაკენ მობრუნდა, როგორც ჩანს, ვეღარ გაბედა და მწყრალი სახე მიიღო.

— როგორ მიბედავ! — დაუყვირა და ოდნავ ხელის კვრით წინ გაიგდო.

— საოცარია, — გაიკვირვა მგზავრმა, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია, კალათი აიღო და გაჰყავა.

უანდარმთა სამორიგეოში გახსნეს ჩემოდანი და კალათი, რომელშიც დასტადასტად ელაგა გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცლის“ რესული, ქართული, სომხური ეგზემპლარები, აქრძალული ბროშურები, პროკლამაციები...

— თქვენ დაპატიმრებული ხართ! — გამოუცხადა უანდარმთა სამმართველოს უფროსმა.

— ვერაფერი გამიგია! — უფრო მეტი განცვიფრება დაეტყო მგზავრს. შემდეგ, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, საპირფარეშოში გასვლა ითხოვა. გაუშვეს. მობრუნებისას კარების მოხურვა ვერ მოასწრო, უანდარმი შემოვარდა.

— ი ეს ქალალი... თქვენო აღმატებულებავ... იქ, საპირფარეშოში იყო, სულ ახლად გადაგდებულია.

პატარა დაჭმულებული ფურცელი გაშალეს. იქ მოკლედ და გარკვევით ეწერა: „როტშილდის, რიხტერის და მანთაშვილის ქარხნების მუშებისათვის 170 ცალი. თუ საჭიროა გამრავლდეს. გამოიყენეთ ხაშიმი. ჩვენთან კავშირს ნუ გაწყვეტთ. კობა“.

— ზუსტად 170 ცალია, თქვენო აღმატებულებავ, — მოახსენა ჩემოდანთან ჩაცუცქულმა უანდარმმა, რომელმაც გაზეთები დათვალა და ახლა პროკლამაციებს ითვლიდა.

დაიწყო დაკითხვა.

— დაასახელეთ რომელი ორგანიზაციის დავალებას ასრულებთ, ვინ არიან წევრები, ვინ არის ხაშიმი, ვისთვის უნდა გადაგეცათ პროკლამაციები და აკრძალული ლიტერატურა?

პატიმრმა თავი შორს დაიჭირა, გაიმეორა, რომ იგი სოვედაგარია, ბათუმში ჩამოვიდა ოქრომშედელთან საგაჭრო გარიგებისათვის, თუ სარფიან საქმეს ვნახავდი, შეიძლება სამსახურიც დამეწყოო.

— ჩემოდანი, ლიტერატურით სავსე რომ აღმოჩნდა, თბილიში

ვიღაც კაცმა მომტა ზოიძეზე გადასაცემად. მაგრამ ბათუმში არავინ დამტკიცილი და და ასე ტყუილუბრალოდ ჩავვარდი. — მერამდენეჯერ იმეორებდა პატიმარი.

დაკითხვამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. ნივთიერი მტკიცების გარდა გამოძიებას არაფერი გააჩნდა, პატიმრის პიროვნებაც ვერ დაადგინეს და იგი ბათუმის ციხეში გადაიყვანეს.

ცხრა თვე საკანში გაატარა. გაუთავებელი დაკითხვები... იგივე პასუხები... გამოძიება ვერაფერს გახდა. პატიმარს ციება შეეყარა, რის გამო დღეში ერთხელ ეზოში გასეირნების უფლება დართეს. ეზოს ირგვლივ: აგურის გალავანი ერტყა. აღმოსავლეთით, რამდენიმე მეტრზე ვაჟთა გომნაზია იყო, ზღვის მხარეს კი ბულვარი. ციხის ეზოდან კარგად ჩანდა გომნაზის მეორე სართულის ფანჯრები. იქიდან ხშირად ისმოდა პატიმრების მისამართით ნათქვამი სიტყვები. ზოგი სიბრალულს გამოხატავდა, ზოგიც ილანძლებოდა. ფანჯრასთან განსაკუთრებით დიღხანს ჩერდებოდა ერთი თმახუჭუჭა ბიჭი, ხან მარტო, ხან ამხანაგთან ერთად. ავადმყოფ პატიმარს ყველაზე უფრო ის მოეჩევნა საიმედოდ, მაგრამ როგორ მიეწვდინა მისთვის ხმა, ეს არ იცოდა.

კოშკურაზე მდგომი მცველები მიჩვეული იყვნენ გიმნაზიელთა ხმაურს და ყურადღებას აღარც აქცევდნენ მათს მოქმედებას.

ერთხელ, გასეირნების დროს ქარი ამოვარდა, ქუჩიდან ქალალდის ნაგლეზი აიტაცა, ჭერ ეზოს თავზე ატრიალა, როცა ქარი ჩაცხრა, ქალალდი ეზოს კუთხეში დაეცა და აეკრა გალავანს სწორედ იმ ადგილას, სადაც ერთი აგური აკლდა. პატიმარმა მიიხედ-მოიხედა, მცველებს დაუცადა, როცა ორივენი სხვა მხარეს იხედებოდნენ, ქალალდი ხელში ჩაბლუჭა.

მეორე დღეს გიმნაზიის ფანჯარაში თმახუჭუჭა ბიჭი და მისი ამხანაგები გამოჩნდნენ.

— ჩავარდი, არამზადავ! — დაიძახა ერთმა მათგანმა და მცველების შიშით ფანჯარას მოშორდა. პატიმარი აენთო, ძირს დაიხარა, თითქოს მიწიდან რაღაც კენჭისმაგვარი მრგვალი საგანი აიღო და ფანჯრისაკენ ისროლა, თან გინებაც მიაყოლა.

— შენ რა, გაგიყდი? — შეულრინა ერთმა მცველმა.

— აი, ისინია გიყები, — მიუთითა პატიმარმა გიმნაზიელებზე.

ფანჯარასთან თმახუჭუჭა აღარ იდგა.

ერთი კვირის შემდეგ ნაცნობი სახე კვლავ გამოჩნდა ფანჯარაში. ეზოში მოსეირნე პატიმრის წინ მსხვილი ხოშკალის მსგავსი საგანი დაეცა. გაგორება აღარ აცალა, ფეხი დააბიჯა, მცველებს ახედა, ძირს დაიხარა, დაგლეჭილი ფეხსაცმლის ლანჩა გაისწორა და „ხოშკალი“ ხელში აიღო. პატარა კენჭს მჭიდროდ ქონდა შემოკრული გასანთლული

ქალალდი, რომელზეც ეწერა: „17 სექტემბერი, 12 საათი. ვოზნესენს კი მომადინად სა და სმეკალოვის ქუჩების კუთხე. გურჯი“.

დათქმულ დროს გიმნაზიელებმა საშინელი ღრიანცელი ასტეხეს. სროლის ხმაც გაასმა. ერთი მათგანი თითქოს გადმოხტომას აპირებდა. მცველებმა მთელი ყურადღება გიმნაზიას მიაპყრეს, მოსწავლეებს თოვლებიც კი მიყღირეს.

პატიმარი გაუსწორდა იმ ადგილს, სადაც აგური იყო გამოვარდნილი, ელვისებურად შეახტა, გალავნის თავზე მოხერხებული კამარა შექრა და ქუჩაში დაეცა... გიმნაზიელთა ღრიანცელმა იმატა, ფანჯარაში პისტოლეტებიც გამოჩნდა. ამასობაში პატიმარი ციხის გალავანს გასცილდა და და ნურიის ტბის მარჯვნივ ბუჩქებში გაუჩინარდა.

სმეკალოვისა და ვოზნესენსკის ქუჩების კუთხიდან ჩაქურაში გამოწყობილმა ახალგაზრდამაც მიაშურა ბუჩქებს.

ათიოდე წუთში ნურიის ტბის მეორე მხარეს, მარინეს ქუჩაზე ორ ერთნაირ ჩაქურაში გამოწყობილ ახალგაზრდას ერთმანეთისათვის ხელები გადაეხვიათ და უდარდელი ლილინით მიდიოდნენ. მათ ჩაუარეს ქალაქის ოვითმმართველობას, ბებუთოვის ქუჩაზე გავიდნენ და № 63 სახლთან შეხერდნენ.

— მე აქ დავრჩები, — თქვა დაბალმა და ორივე ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. — სახელი მაინც დამიტოვე, ძმობილო!

— პატიული კომიტეტის პირველი დავალება შევასრულე. რიცტერის და როტშილდის შავი მუშა ვარ, გურჯიძე, ქობულეთელი, კიდევ შევხვდებით, ბრძოლა ახლა იწყება. — თქვა და ჩქარი ნაბიჭით მოშორდა.

დაბალ კაცს აღარ დაუყოვნებია, № 63 სახლის ეზოში შევიდა, კიბეებზე აირბინა, აიგრძი გაიარა და ექიმ შატილოვის ზარის სახელური გადატრიალა. მასპინძლისათვის არც კი დაუცდია, კარები გამოაღო და ოთახში შევიდა.

— არშა! — წამოიძახა მასპინძელმა. შემდეგ თვითონვე არ მოეწონა სტუმრის ხსნება და ხმა დაიდაბლა. — ბიჭო, როგორ მოხვდი აქ, ასე სად გამოწკიბულხარ! — ეხვეოდა და თან გაოცებული ათვალიერებდა.

— ჯერჯერობით ცუვლაფერი რიგზეა, საშა. ერთი თმასუკუპა გიმნაზიელის მეშვეობით ციხიდან კავშირი დავამყარე ბათუმის კომიტეტთან. დანიშნულ დროს გიმნაზიელებმა ისეთი აყალ-მაყალი ასტეხეს, რომ გეგონებოდა, ამხელა შენობა ჩამოინგრევათ. ვისარგებლე შემთხვევით და გალავნიდან გადმოვხტი. ნურიის ტბათან როტშილდის მუშა მელოდებოდა. ეს ჩაქურა გადამაცვა. ციხის დაგლეგილი ტანსაცმელი ტბაში ჩავირეთ. ახლა ჩემი გასაჭირი თმა და თვალია. მეძებრები ამით მცნობენ. — სტუმარმა ყაბალახი მოიხადა. შავი თმა ჩამოეშალა. თითით მარჯვენა თვალის ქუთუთო ჩამოსწია და თეთრი ლიბრი მეაფიოდ გამოაჩინა.

— არაუშავს, ამას მე შევაჭოთებ, — ხუმრობით უთხრა ექიმმართული გილაზი გილაზი.

ორიოდე საათის შემდეგ ბებუთოვის ქუჩის № 63 სახლიდან თავადის ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი გამოვიდა. ნაცრისფერი ფაფაზიძან მოწითალო თმები უჩანდა. ცალი თვალის თეთრი ლიბრი ისე ოსტატურად იყო შეღებილი, რომ მეორისაგან ვეღარ გაარჩევდით. თავადი საღურში მივიდა და ობილისისაკენ მიმავალ ნასვამ მექორწილეთა ჯგუფს შეუერთდა.

* * *

თბილისის პოლიცმეისტერს რიხიან პოდპოლკოვნიკ ბალაბანსკის არასოდეს სჯეროდა ცუდის მომასწავებელი ნიშნებისა — არც შავი კატისა და არც ცამეტი რიცხვისა: მტკიცედ სწამდა, რომ კარიერა დამოკიდებული იყო თვითონ მასზე. ამიტომ მოქმედებდა თვითდაჯერებით და წარმატებებსაც აღწევდა.

1907 წლის 13 იანვარს, დილით, იგი შესანიშნავ ხასიათზე იყო. მართალია, მან არ იცოდა ზოგიერთი არსებითი დეტალი.

წინადღით ახალგაზრდა კავკასიელი ოფიცერი ქალაქის ფოსტის დარბაზში გავლისას დაეჭახა ფოსტის ჩინოვნიკს გიგო კასრაძეს. ორივემ ბოლიშების კორიანტელი დაყენა, ამასთან, გიგომ, ვითომ სხვათა შორის, ოფიცერს გადაუგდო ერთი სიტყვა — „ხვალ“.

პოლიცმეისტერმა არც ის იცოდა, რომ დილით, როცა ის ლოგინში ნებივრობდა, მამაკა ჯგუფი უკვე იდგა ერევნის მოედანზე, წინასწარ დათქმულ ადგილებზე.

ერევნის მოედანი — ქალაქის ცენტრი, სავაჭრო რიგები, ქალაქის თვითმმართველობა, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბი, საპოლიციო უბანი — მოხერხებული ადგილია. ორიოდე კვარტალს იქითაა მეფისნაცვლის დილებული სასახლე.

ცხადია, პოლიცმეისტერი ამ მოედანს ისე უფრთხილდებოდა, როგორც თვალისჩინს. ბოქაულები თავიანთი თანაშემწერებითა და დაბალი ჩინის მოხელეებით აქ მთელი დღე-ღამე მორიგეობდნენ, აქვე გაივლი-დნენ ხოლმე კაზაკთა პატრულები. თვითმმართველობის შესასვლელში საგუშავოზე შვილი კაზაკი იდგა. ასე რომ, ქალაქის ამ უბნის დაცვა პოლიცმეისტერს არ ადარდებდა.

10 საათზე, როცა პოლიცმეისტერმა წვერი გაიბარსა და საუზმედ დაჯდა, რესტორან „ტილიპუჭურში“ ექვსი ქართველი ახალგაზრდა შევიდა. ისინი ფანჯრის ახლოს, მაგიდასთან ჩამოსხდნენ.

დანაყრებული პოლიცმეისტერი გასასვლელში გავიდა და ცხენის

მეთვალყურეს დაელოდა, სარკესთან მიმოტრიალდა, თან რაღაც „ტრულაილაის“ მსგავსი ჩაილიონა.

როცა იგი უნაგირს მოახტა და სამსახურისაკენ გაემართა, ახალგაზრდა ქალმრთ ფაცია გალდავამ ხელჩანთიდან მტრედისფერი სუნამო მოსურებული ცხვირსახოცი ამოილო და ნიშანი მისცა.

სავაჭრო რიგში მდგომა ბაჭყალი კუპრაშვილმა გაზეთი გაშალა და აუჩქარებლად დაიწყო მოედნის შემოვლა.

ანეტა სულაქველიძემ რესტორანში მსხდომთ თავი დაუქნია. მათ საუჩქის, ხარჯი გადაიხადეს და ხურდას არც კი დაუცადეს, ისევ მოედანზე გამოვიდნენ.

ყოველივე ამაში თითქმის არაფერი იყო უცნაური. მხოლოდ რამდენიმე ახალგაზრდა და კავკასიელი ოფიცერი მოედანზე შეჯგუფებულ ხალხთან მივიღნენ და გააფრთხილეს: გაიქეცით, თავს უშველეთ, ჩქარა მოკურტლეთ აქიდან!

ეს სიტყვები ისე სერიოზულად იყო ნათქვამი, რომ ხალხი მართლაც დაიშალა და გაიქცა.

ამ დროს ლორის-მელიქოვის ქუჩაზე გამოჩნდა ცხენოსან კაზაკთა აზხი, რომელიც სახელმწიფო ბანკის ეტლს ბადრაგობდა. წინმიმავალმა კაზაკებმა მოედანი გაიარეს და სალდათის ქუჩისაკენ გაუხვიეს, ეტლი კი სამხედრო ოლქის შტაბის შესასვლელს გაუსწორდა.

პოლიცმებისტერი მეფისნაცვლის სასახლეს უახლოვდებოდა და ნებივრად ირწეოდა უნაგირზე.

ამ დროს მოხდა... თუმცა, რა მოხდა, კონკრეტულად ვერავინ გეტყოდათ.

ოთხმა აფეთქებამ ჰაერი შეაზანზარა ისე, რომ სახლებიდან მინები ცვივოდა.

მთელი მოედანი კვამლში გაეხვია.

ეტლის ცხენებზე მსხდომნი არ დაზიანებულან, მათ სომხის ბაზრისაკენ გაქუსლეს. ეტლს ბაჭყალი კუპრაშვილი გამოედევნა, ყუმბარა ესროლა და აფეთქების ტალღით უკუჩცეულმა გრძნობა დაკარგა.

დათიკ ჭიათურიშვილმა ეტლიდან ტომარა გადმოილო და გადაუგდო კავკასიელ ოფიცერს, რომელმაც ცხენით ჩამოიქროლა; მან დაიძახა: — ადგილებზე! — ავიდა სასახლის ქუჩაზე, მოუხვია გოლოვინის პროსპექტზე და აქ მეფისნაცვლის სასახლესთან შეხვდა პოლიცმებისტერს.

— შესდეგ! — მრისხანედ დასჭყივლა პოდპოლკოვნიკმა და მაუზერი შემართა. — რა არის ტომარაში? — ოფიცერი წამოიწია და ხმამაღლა. მოახსენა:

— გადარჩენილი ფული. იჩქარეთ მოედანზე. იქ დახმარებაა საჭირო.

ბალაბანსკიმ მაუზერით გამარჯვებულის მოძრაობა გააკეთა, ცხენს და შეფილდება მოახსენებდა:

— თავდასხმა თავისი უტიფრობით გაუგონარია. თვითმხილველთა გან არავის არ შეუძლია განაზღვროს თავდამსხმელთა რიცხვი, ადგოლი, საიდანაც ისროლეს ყუმბარა და მიმართულება, საითაც მიმალნენ ავისმზრახველნი.

— სადღაა დაცვა?

— მოედანზე მყოფი სამხედრო და საპოლიციო მოხელეთაგან მხოლოდ ერთმა ჯარისკაცმა გაისროლა.

— ოპო, ყოჩალ!.. ფული რამდენი იყო?

— 250 ათასი! მადლობა ღმერთს, გადავარჩინეთ. თქვენმა ოფიცერმა გამოაწროლა იგი სასახლეში.

— რომელმა ოფიცერმა?

— კავკასიელმა, თქვენმ მაღალკეთილშობილება!

— თქვენ გესმით, რას ამბობთ?

— ნამდვილად! მე მას შევხვდი თქვენს სასახლესთან...

მაგრამ აქ დიალოგი შეწყვიტა ძლიერმა გარტყმამ... და პოლოლკონიერის ყურში სამგლოვიარო ზარმა დარეკა.

* * *

თბილისში მომხდარი ამბის შემდეგ რამდენიმე დღე იყო გასული, რომ სადგურ კუოკალს მახლობლად, ყრუ ბილიკზე ორნი შეხვდნენ ერთმანეთს.

— იცოდეთ, ამხანაგო კამო, დიდ ხმაურს ასტეხენ მენშევიცები!

— კავკასიაში უკვე ასტეხეს ხმაური, ამხანაგო ლენინ, საშინლად გვლანდავენ.

ლენინმა მას მკლავი გაუყარა და ტყის სიღრმისაკენ წაიყვანა.

— მე ვიცი, თქვენ თვალი დაიზიანეთ.

— ვითომ მემჩნევა? — შეშფოთებით იკითხა კამომ.

— თუ დაკვირდები, შესმჩნევია.

— აღრე ისეც მემჩნეოდა, მაგრამ ბათუმელი ექიმი ალექსანდრე შატრილოვი დამეხმარა. იქნებ იცნობდეთ, ვლადიმერ ილიას ძევ. ჭერ მოსკოვში 53-ის პროცესში გაღიოდა, შემდეგ დერბტის სტუდენტთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი და ხელმძღვანელი იყო. თბილისში პირველთაგანი შევიდა ამ პარტიის კომიტეტის წევრად. როცა ბათუმში ქოლერა გაჩნდა, იგი იქ ჩავიდა, მონაწილეობდა ეპიდემიის ლიკვიდაციაში, და რაც მთავარია, დიდი დახმარება გაგვიწია სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების ჩამოყალიბებაში. სწორედ ამისათვის მოხსნა იგი სამუშაოდან ბათუმის გუბერნატორმა.

— დერბის უნივერსიტეტის მეამბოხე სტუდენტებზე ბევრობით მსმენია, — თქვა ილიჩმა. — იქ ძლიერი წრეები შეიქმნა. სასტიკი რეპ-რესიტის მიუხედავად პოლიცია ვერას გახდა. სტუდენტები სათვისტო-მოებს, კლუბებს ქმნიან, აწყობენ საღამოებს. სხვათა შორის, გადმომცეს, რომ იქ ყველაზე ძლიერია ქართველ სტუდენტთა სათვისტომ, რომე-ლიც ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს. მასში 70-მდე თქვენი თანამემა-მულეა გაერთიანებული. რაც შეეხება შატილოვს, პირადად არ ვიც-ნობ... მაგრამ, როგორც გითხარი, ჩვენს მხარეზე დგებიან მთელი პროვ-რესული ძალები, ინტელიგენცია, ეს კარგია. მაგრამ რეაქცია მძინვა-რებს. ასობით ამხანაგი ციხეებში იტანჯება. უნდა მოვაწყოთ გაქცევა. მოძრაობა რომ არ შენელდეს, აუცილებელია არალეგალური სტამბები. ამიტომ გვჭირდება ფული ისე, როგორც ჰარი. დეე, გვლანძლონ მენშე-ვიკებმა... თქვენ დიდი, საჭირო საქმე გააკეთეთ!

კამო გაწითლდა და უხერხსულად ჩაახველა.

* * *

ახალი წლის წინა დღით, როცა ნიკოლოზი სასაღილოში წასასვლე-ლად ემზადებოდა და ვერანდაზე თავის ველოსიპედთან გახირობდა, გა-მოცხადდა პოლიციელი.

— ბატონი სემაშვილი, — თქვა მან ლიმილით, — თქვენ სასეირნოდ ემზადებოდით, მე კი იძულებული ვარ წაგიყვანოთ კომისართან.

ნიკოლოზი აიმართა და ყურადღებით ჩაათვალიერა მოსული.

— ეს ისე, პატარა სიზუსტე რომ შევიტანოთ პასპორტში. ველოსი-პედი შეგიძლიათ თან წამოილოთ. დიდხანს არ გაგაჩერებენ. ჩვენგან პი-რდაპირ წახვალო საქმეზე.

— რას ვიზა, მზად ვარ გემსახუროთ, — უთხრა სემაშვილ და ცოლს თვალებით რაღაც ანიშნა.

გზაში მას პოლიციელი უმტკიცებდა: რუსები წვერს ატარებენ იმი-სათვის, რომ ლოვები და ნიკაპი ყინვისაგან დაიცვან.

სემაშვილ გულით იცინოდა.

— ველოსიპედი აქ დატოვეთ, — თქვა პოლიციელმა, როცა ისი-ნი დერეფანში შევიდნენ. — ხელს არავინ ახლებს.

ვიწრო და გრძელი დერეფნით ეზოში გავიდნენ.

ნიკოლოზმა მიმითხდა: ქვის მაღალი კედლები, ზემოდან ეკლიანი მავთულების რიგები, კარებთან გუშაგები...

— რა არის ეს?... — იყითხა აღელვებულმა.

— ჩუმაღ! — უყვირა პოლიციელმა და მეთერთმეტე საკანისაკენ მიუთითა.

* * *

მეფის ციხეებში სემაშკო უკვე სამჯერ იყო, მაგრამ აქაური კანონები ყველაზე საშინლად მოეჩვენა. ლოყები ჩაუცივდა, გახდა, წვერი წამოქარდა და გულზე დაეფინა. ბოლოს და ბოლოს გამოიძინა გამომძიებელმა და პატიმარმა პირდაპირ დაუსვა კითხვა: — რაში მაღანაშაულებენ? გამომძიებელმა გახუმრება სცადა.

სემაშკო გაცხარდა.

— მომისმინეთ, ჩვენ ხომ ჰქვიანი, კულტურული ხალხი ვართ. მოღით, ვისაუბროთ გულახდილად, პირველ რიგში იმაზე, თუ რაში მაღანაშაულებენ.

— თქვენი აქ ყოფნა დაკავშირებულია თბილისში ბანკის გაძარცვასთან.

სემაშკო ყურს არ უჭერებდა, ნერვიულად გაიცინა.

— ამ საქმესთან მე არაფერი მაქვს საერთო.

— შესაძლებელია.

— მთელი წელი მე უენევაში ვცხოვრობდი.

— ეს ჩვენთვის ცნობილია.

— მაშ, რაშია საქმე?

— საქმე იმაშია, მუსიე სემაშკო, რომ რუსეთის ხელისუფლება თხოულობს თქვენს დაბრუნებას.

— მაგრამ მე პოლიტიკური ემიგრანტი ვარ და შვეიცარია...

გამომძიებელს გაელიმა და ხელი ასწია.

— ... თხოულობს გადაგცეთ თქვენ არა როგორც პოლიტიკური, არა-მედ, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე. სადღაც იქ, რომელილაც ქალაქში, ვოლგაზე თქვენ ჯარებს ესროლით. თანამონაწილე ხართ თბილისის საქმეშიც.

— როგორ?

— ეს მე არ ვიცი. ამას რუსეთში აგიხსნიან.

— და მე გადამცემთ?

— ალბათ.

სემაშკო ჩაფიქრდა — მეფის ხელისუფლებაზე გადაცემა გადასახლებას ნიშნავდა.

— რა უნდა ვქნა? — ძალაუნებურად აღმოხდა მას და გამომძიებელმაც თანაგრძნობით შეხედა.

— დიახ, თქვენ ცუდად გაქვთ საქმე.

— მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.

— პირველ რიგში უნდა დაამტკიცოთ, რომ თქვენ სოციალ-დემოკრატი ხართ და არა მძარცველი.

...საკანში სემაშკო თვის მდგომარეობას ჩაუფიქრდა და ოდნავ და-

შშვილდა. — არაფერია, — ამბობდა იგი, — ჩვენები ალბათ ახლა უყოფისათვედა
ველ ღონეს ხმარობენ ჩემს გადასარჩენად. ბიძაჩემიც* დამექმარება. ბო-
ლოს მარტოვი, აქსელროდი და დანი უარს არ იტყვიან, რომ მათთან
ერთად ვიყავი შტუდგარტის კონგრესზე. მაგრამ რატომ დუშის „თავისუ-
ფლება“? რატომ?

ამ კითხვის პასუხი მას ვერაფრით ვერ მოენახა.

ბოლიციის დეპარტამენტს არ ეძინა...

მთელი ამ აურზაურის მიზეზმა, კამომ უკვე მოინახულა პარიზი,
ლიეჟი, ბერლინი, ვენა, ბელგრადი, სოფია, ციურიხი, სადაც ყიდულობ-
და პარტიისათვის აუცილებელ იარაღს.

იგი ბერლინში დაბრუნდა ავსტრიის ქვეშეგრომის, დაზღვევის ავე-
ნტის დიმიტრი მირსკის პასპორტით და ელზასშტრასეზე № 14 სახლში
დაბინავდა, მაგრამ მის თავზეც იქუფრებოდა ლრუბლები.

* * *

ოქტომბრის ღრუბლიან დღეს ბერლინში, ფრიდრიხშტრასეზე პაპი-
როსების გამყიდველი უცნაური სურათის მოწმე გახდა: გამვლელთა
ბრბოში ერთმანეთს შეეჩენენ ორნი — გარეგნობით უცხოელები. მათ
ხვევნა-კოცნას, სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იქვე, ოდნავ მოშო-
რებით იდგა მესამე, პირსავს კაცი. იგი მოკრძალებით იღიმებოდა. შემ-
დეგ სამივენი რესტორანში შევიდნენ.

— გაიცანით, — თქვა ერთმა, თან სკამები მოაჩოჩა. — ეს ჩემი
ბათუმელი ამხანაგია, ექიმი მაღალოვი; ეს კი, — პირსავსეზე მიუთითა,
— ესეც ექიმია, ჩემი აღმზრდელი — უიტომირსკი.

ორმა ექიმმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვა.

— აღმზრდელზე მე, რა თქმა უნდა, ხუმრობით ვთქვი, — გაავრძე-
ლა „დაზღვევის ავენტრა“, — ჩვენი მეგობარი, — მან უიტომირსკის
ბეჭებე დაადო ხელი, — ძველი ბოლშევიკია, პარტიულ კავშირს ამა-
რებდა რუსეთში, იყო ლონდონის ყრილობაზე.

— კამო, ძვირფასო, — უთხრა უიტომირსკიმ, — არ კმარა ჩემი და-
ხასიათება?

— აი ხედავთ, — ძალზე ფხუკიანია! — შეაწყვეტინა კამომ, — პა-
ტარა რამ და, მაშინვე ეწყინება, როგორც ქალიშვილ!

და ხმამაღლა გადაიხარხარა...

ისადილეს, ბევრი იხუმრეს და იცინეს.

— ეხ, რამდენმა წყალმა ჩაიარა ჩვენი უკნასკნელი შეხვედრის შე-
მდეგ! — თქვა კამომ. — როგორ მიდის საქმე ბათუმში? ნეტავ როგო-
რაა გურჯიძე, ქობულეთელი?

* 6. ხემაშვილ ს ბიძა იყო გამოჩენილი რუსი მარქსისტი გ. პლეხანვი.

მაღალოვი თავადაც რამდენიმე წელს მუშაობდა ბათუმში დაკავებისათვის გად იცნობდა მაღალი ტანის, წარმოსადეგ გურჯიძეს. ჯერ კიდევ 1897 წელს ჩამოვიდა იგი ქობულეთიდან და რიხტერის ქარხანაში დაწყო მუშაობა, შემდეგ როტშილდის ქარხანაში გადავიდა. აქ იგი დაუახლოვდა მოწინავე მუშებს და მონაწილეობა მიიღო სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების მუშაობაში. 1905 წელს მუშათა მებრძოლ რაზებს ამარავებდა იარაღით. ბათუმის კომიტეტმა მისი მეშვეობით დაამყარა კავშირი გურიის აჯანყებულ გლეხობასთან. ნასაკირალში მან აჭარიდან 30-კაციანი რაზმი ჩაიყვანა და დიდძალი იარაღი ჩაიტანა.

გურჯიძემ სხვა მოწინავე ბათუმელებთან ერთად ჩაშალა დაშნაკების ბოროტი განზრახვა; მათ სურდათ სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მუშათა შორის შუღლი ჩამოვედოთ და სისხლისლვრა გამოეწვიათ. 1907 წელს ბათუმში მასზე თვალყურის დევნება გაძლიერდა, დაპატიმრებაც განიზრახვეს. ამიტომ შერვაშიძის პასპორტით როსტოკში ჩავიდა, მაგრამ იქ შეიძყრეს.

— სწორედ როსტოკში შევხვდი გურჯიძეს, — დაუმატა კამომ. — ამ ქალაქშიც არ ჩამოსულიყო ხელუარიელი — ყუთებით იარაღი ჩამოეტანა. ზემოდან მანდარინი დაეყარა, ყველას პლანტატორად. შუქრიიბეგ შერვაშიძედ აცნობდა თავს. როცა იარაღი „გაასაღა“ ჩვენს ამხანაგებში, დარჩენილი მანდარინებით სავსე პატარა ყუთი მე გადმომცა. ამ მანდარინების ნაწილმა უენევამდე ჩააღწია, იქ კი ყუმბარებზე ნაკლები საქმე როდი გააკეთა. ეჭ, გურჯიძე! არ მჯერა, რომ ასეთმა არწივმა დაუშვას ფრთები, — თქვა კამომ, — იგი აუცილებლად გაიქცევა.

— რა თქმა უნდა, — დაემოწმა მაღალოვი; — იგი ციხეშიც მოქმედებდა, როგორც ნამდვილი რევოლუციონერი. სანიტრად მოწყო. ვითომ მკვდრებიაო, კუბოებით რამდენიმე ამხანაგი გამოიყვანა. სცადა მიწისქვეშა ხერელის გაკეთება, მაგრამ...

მაღალოვი გაჩუმდა.

კამოს შეერა ჩაუქრა.

— ალბათ პროვოკატორი გამოჩნდა.

მაღალოვმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

— უანდარმებმა იყნოსეს გურჯიძის საქმეები, სასამართლომ სიკვდილით დასჭის განაჩენი გამოიტანა.

კამო წამოხტა.

უიტომირსკიმ იგი ხელით შეაჩერა.

— დამშვიდდი, კამო, — თქვა მაღალოვმა, — ასეთი ხალხი აღვილად არ ქრება.

— ვინ დაეხმარა? — იკითხა კამომ.

მაღალოვს გაეღიმა.

— როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, დაეხმარა ბათუმელი ბოქა-
ული ჯაფარიძე და როსტოვში მყოფი გენერალი თაყაიშვილი.
კამოს გაეცინა.

— დიახ, — აგრძელებდა მაღალოვი, — მათ ისეთი საბუთები შეად-
გენინეს, რომ სიკვდილის განაჩენი შეუცვალეს.

— ესე იგი, მუდმივი კატორლა? — იკითხა კამომ.

— ეს არც ისე საშიშია, — თქვა მაღალოვმა, — რაც მთავარია,
ცოცხალია. კატორლიდან ჩვენ მას გავანთავისუფლებთ.

უტომირსკი ჩუმად იჯდა, ხანდახან სახუმარო ფრაზებს ჩართავდა
საუბარში.

* * *

ამანათები ოთხშაბათობით მოპქონდათ.

სემაშვილ არაფერს არ მოელოდა. და უცებ გაისმა ციხის ზედამხედ-
ველის ხმა:

— მეჩვიდმეტე! ამანათია!

ეს ხომ სემაშვილს ნომერია ციხეში! იგი მობრუნდა.

ზედამხედველს ხელის გულზე ედო... სამი მანდარინი.

მთელს საკანში სიცილმა იფეთქა.

იცინდა ზედამხედველიც.

ყველას გაუკვირდა, რომ ამდენი დღის შიმშილობის შემდეგ პატი-
მარს სამი მანდარინი შემოუგზავნეს.

სემაშვილ აიღო მანდარინები და თავაზიანად დაჭარა თვი — მე-
რსი!

„რა არის ეს?“ — ფიქრობდა იგი და ესიყვარულებოდა ოქროსფერ
ნაყოფს. „ვის მოუკიდა აზრად!“ „რას ნიშნავს ეს!“

სულმა წასძლია...

ერთი მანდარინი საღამოსათვის უნდოდა შეენახა, მაგრამ ვეღარ მო-
ითმინა, დაიწყო ოდნავ შემხმარი კანის შემოცლა და... დაინახა ოთხად
დაკეცილი გასანთლული თხელი ქაღალდი.

გული შეუქანდა.

აი, თურმე რატომ შემოუგზავნეს მანდარინები!

საკანი მიწყნარებული იყო. ბევრს ეძინა, მხოლოდ ორნი გართულიყ-
ვნენ ზარის თამაშით. წერიალებდნენ ალუმინის ყულაბები.



ქალალდი ფრთხილად გაშალა და წაიკითხა: „არ შეშინდე. ლენინინი ჩამოვიდა და შენს საქმეს მოჰკიდა ხელი“.

დაჭმუჭნილი ქალალდი დააგორგალა და მანდარინის ლებანთან ერთად გადაყდაპა. მეტმე წამოხტა და ფანჯარასთან მიიჭრა. „ლენინი ჩამოვიდა! ლენინი ჩამოვიდა!“ — უცემდა საფეთქლებში: — „არ შეშინდე, მან შენს საქმეს მოჰკიდა ხელი“.

ნიკოლოზმა თავისუფლად ამოისუნთქა.

* * *

გავიდა წლები...

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი სემაშკო ხშირად დადიოდა ავაღმყოფ ლენინთან. ერთხელ მას ახლდა ქართველი სტუმარი.

— შეიძლება? — იკითხა ნიკოლოზმა, შემდეგ კარები გაალო და წინ გაიძლოლია ახოვანი ვაჟუკაცი.

— ეს ჩვენი მეგობარია აჭარიდან, ქობულეთელი, უფრო სწორად მემედ გურჯიძე. — წარუდგინა სემაშკომ. — რევოლუციისათვის ბევრი რამ გააკეთა, ახლა კი ჩვენს ქართველ მხანაგებს სურთ მას აჭარაში სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმის ხელმძღვანელობა მიანდონ.

ილიჩი მემედთან მივიდა და მაგრად ჩამოართვა ხელი.

მემედს სახე შეუფაკლდა.

— კამო და თბილისი ხომ გახსოვთ? — ფრთხილად ჰკითხა სემაშკომ ილიჩს.

— მახსოვს და მეტი არა? — და წუთით დადუმდა. — იცით მაშინ ვინ გასცა კამო? — უიტომირსკიმ! ესწრებოდა ყრილობებს, შედიოდა საზღვარგარეთის ბიუროს შემადგენლობაში და ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში სულ გვლალატობდა და გვლალატობდა!

ლენინი შებრუნდა, უკან დაწყობილი ხელები დაემუშტა.

სემაშკომ ქართველ სტუმარს რაღაც გადაუჩურჩულა, იმანაც აღარ დააყოვნა, ჯიბიდან. სამი მანდარინი ამოილო, ხელისგული სწრაფად გადაუსვა და ღიმილით გადასცა კომისარს. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძემ ილიჩის მობრუნებამდე მანდარინები მის მაგიდაზე დააწყო. ლენინი მაგიდასთან მივიდა, დააპირა სავარძელში ჩაჯდომა, მაგრამ... მანდარინებს მოჰკრა თვალი და შეჩერდა.

— ეს რაღაა?

- მანდარინები.
- ვხედავ, რომ მანდარინებია, მაგრამ ვისი?
- ოქვენი.
- ეეჲ, ჩემო კეთილო, რამდენჯერ გითხარით: არავითარი ნობათები! ზველაფერი გაუგზავნეთ ბავშვთა სახლებს!
- ეს ნობათი არაა, ილიჩ, ეს... გახსოვთ?
- ლენინმა სემაშვილს ახედა, „ნობათი“ აიღო, დაყნოსა, ხელში აათა-
მაშა და ოქვა:
- არ დაიგიშვიოთ ამბავი სამი, სამად სამი მანდარინისა. როცა ამას
გაიგებს საქართველო, მისი აშუღები შექმნიან სამო სიმღერებს, ხალხი
კი მუდამ მოიგონებს იმ ადამიანს, რომელმაც აჭარიდან შვეიცარიაში
ჩამოიტანა რევოლუციის იარაღად ქცეული მანდარინები.



ନିମିତ୍ତ ପଲାନ୍‌ନିଃଫିଲ୍ସ ଘରଟ

1

ଜ୍ୟୋତିଶ୍ଚାନ୍ଦ୍ର ହିତେନ୍ ମତ୍ତୁକିଳ୍ପ ଓ ମ୍ୟାର୍କି,
 ଖରଦିଆ ମାର୍କଟ୍ ସାନାକାନ୍ଦିଆ,
 ଅଳ୍ପ ଫରା ଫାଲଗା, କୌଳା, ସାମ୍ୟାରନ୍ଦୀ
 ଶ୍ରେଷ୍ଠାର ଉପୁର୍କ୍ଷେତ୍ର ହେଠି ତାଙ୍କା,
 ଅଳ୍ପ ପ୍ରେଲାଭ୍ୟେର୍ଲ ଗାନ୍ଧୀ ପ୍ରତିକ୍ଷେତ୍ର ଓ
 ଅର୍ଦ୍ଧାବିତାରୀ ଏଣ୍ ମିନଦା ଗ୍ରିମି,
 ତଥିତିନ୍ ପ୍ରେଲାଭ୍ୟେର୍ଲ ବନ୍ଦରକ୍ଷାରୀ ଏଣ୍ ମନ୍ଦା,
 ମେ ଏଣ୍ ପ୍ରେମିଲେ ଗାନ୍ଧୀବାରତ ଗମିର୍ଦୀ,
 ହେମୀ ପଲାନ୍କ୍ରେଟ୍ ଲେଖି ମନ୍ତ୍ରେ ଉପଲିଲେ,
 ହେମିଶ୍ଚ ଅନ୍ତିମକାଳୀ ହେମୀ ମେଗଦା
 ଓ ପ୍ରେଲାଭ୍ୟେର୍ଲ ଅନ୍ତିମିନ୍ଦର୍ଦ୍ଦିଶୀ
 ମିନିଲେ, ଖରଗନ୍ଦିର୍ବ ମେମ୍ୟାଲ୍ଫର୍ଦ୍ରେନ୍ଦ୍ରୀନ୍
 ଏନ୍ଦ୍ରମୁଖ, ପାରିଶୁଲ୍ଲି ଓ ମନମାଵାଳୀ,
 ସାମ୍ୟାବ୍ଦୀ ଫରନ୍ଦୀଲେ ସାମ୍ୟାବ୍ଦୀଲ୍ଲେ ଆଶେଦ୍ରୀ,
 ଏମିଲେ ମନ୍ତ୍ରେମ୍ଭେବା ପ୍ରେଲ୍ଲୀ ମରାଵାଳୀ,
 ଡାସାଦାମିରାନ୍ ପ୍ରେଲ୍ଲୀ ଏବେ.
 ଫରନ୍ଦୀ ଉପିଦର୍ଶେବା ଏକାମିନ୍,
 କୁତ୍ରୀଲେ ପର୍ବତୀ ଅନ୍ତିମ ଏକାମିନ୍,
 ଦେବରମା ଗରୀଗାଲ୍ମା ଗାନ୍ଧୀବାରା
 ଏଲ୍ଲାଶ୍ରୀ ପିତ୍ରାଭ୍ୟେନ୍, କୁନ୍ତେନ୍ଦ୍ରୀଶ୍ଵର ମନ୍ଦିରାଳ୍.
 ସାମ୍ୟାରନ୍ଦୀ ପ୍ରେଲ୍ଲୀକାଳ ତାଙ୍ଗାମେତ୍ରେବିତ,
 ଉପାଶର୍ମାଲ୍ଲାବା ଗର୍ବିଦଲ୍ଲାବା, ଗର୍ବିତୀପ୍ରେବି
 ତୁମ୍ଭୁରୀ ଗର୍ବିକମିନ୍ଦର୍ବ ଶ୍ରେଷ୍ଠ ପଲାନ୍କ୍ରେବି,
 ମାଗରାମ ମେ ମାନିନ୍ ପରିହେବି ମିନ୍ତାଶ୍ରୀ.
 ପାରିମତ୍ରାପୁର ଏଣ୍ ମନ୍ତ୍ରେ ମନ୍ତ୍ରେତାନ ତାମାଶୀ,
 ମନ୍ତ୍ରେ ତାଙ୍କୁ ପ୍ରେଲ୍ଲୀବା ପଲାନ୍କ୍ରେତ୍ରୀ ହେମି,
 ମେପ ହାରତୁଲ୍ଲି ବାର ମନ୍ତ୍ରେ ସିଲ୍କ୍ରେମାଶୀ
 ଓ ଏକାମିନ୍ଦିଶୀ ଏରତଗୁଲ୍ଲି ପରିହେବି.
 ମିନ୍ଦିଶୀ ପ୍ରେଲ୍ଲୀବା ଏକାମିନ୍ଦିଶୀ ଏବେ

გული ხვალინდელ დღესთან საუბრობს,
 ჩემი კაცური ვალი მავალებს,
 რომ მომავალი მიყვარდეს უფრო.
 მადლობის მეტი აბა რა მეთქმის,
 და თავი მომაქეს მიზნის სრულობით,
 მიწაზე ვრჩები, მიწას რამეთუ
 დიდი აქვს ძალა მიზიდულობის.

2

ახლა ეპოქაშ ფეხს აუჩქარა
 და დრო იჩქარის ფიქრებზე სწრაფად,
 და სწორედ ახლა სხვა რამ კი არა,
 დრო, დრო იგრძნობა ყველაზე მძაფრად.
 დრომ კარგად იცის თავისი რიგი,
 შვეუნად ყველაფერს თავისი დრო აქვს,
 შვეუნად ყველაფერს დრო აწესრიგებს, —
 ანგრევს, აშენებს, მიაქვს და მოაქვს.
 ეს ჩვენ შევძელით დროსთან კამათი,
 დროც ჩვენს მხარდამხარ იბრძვის და ილტვის,
 დრო გაგვამტყუნებს, დრო გაგვამართლებს,
 დრო თავის დროზე ყველაფერს იტყვის.
 დრო ყოვლისშემძლე თუმცა მძვინვარებს,
 ვერ აუხილა თვალები ზოგს ჯერ,
 დროს ბევრ დროს ართმეც ბევრი წვრილმანი,
 დროც უდრობას უჩივის ზოგჯერ.

3

მე ჩემს საკუთარ ფეხებზე ვდგავარ,
 ორივე ფეხით ვდგავარ მიწაზე,
 მე ამ სამყაროს რაღაცით ვგავარ
 და სამყაროზე ფიქრი მიტაცებს.
 მე სამყაროზე მიტაცებს ფიქრი
 და რაც მეტს ვფიქრობ, უფრო მაკვირვებს,
 რომ ყველაფერი, რაც არის ქვეუნად,
 არის რთული და არის მარტივიც.
 ისე რთულია ეს სიმარტივე,
 ისე დიადი ეს სისადავე,
 ვერ მოვიხელთე მისი მოტივი,
 ვერ მივაგენი მისი სათავე,
 აქ არაფერი არ არის მეტი,
 აქ ყველაფერი ერთმანეთს აცსებს,

აქ არაფერი არ არის კენტად
 და მსგავსს თავისი დაეძებს მსგავსი.
 კვლავ სამყაროზე მიტაცებს ფიქრი
 და რაც მეტს ვფიქრობ, უფრო მაკვირვებს,
 რომ ყველაფერი, რაც არის ქვეყნად,
 არის რთულიც და არის მარტივიც.
 ეს სიმარტივე ისე რთულია,
 ხოლო სირთულე ისე მარტივი.
 ჩემთვის ცნობილი გახდა სრულიად
 მისი ყოველი ხმა და მოტივი.

4

მე ვარ სამყაროს ერთი ნაწილი,
 დადი ნაწილი, რთული ნაწილი.
 და რაც სამყაროს თვით გააჩნია.
 მეც ყველაფერი გავინაწილე.
 ერთმანეთს უნდა მუდამ ვავსებდეთ
 მისაღებია ეს ანგარიშში,
 ვერა, სამყარო ვერ იარსებებს
 თვითონ უმწეო მწერის გარეშეც.
 სამყარო ჩვენი გვაოცებს ამდენს
 და მიმზიდველიც სწორედ მით არის,
 ეს დედამიწა ყველაფრობამდე
 არის სავსე და არის მდიდარი.
 აქ ყველაფერი ერთმანეთს ავსებს
 და ენაცვლება ერთიმეორეს,
 მაგრამ არასდროს იმავე სახით
 იგი არაფერს არ იმეორებს.

5

სულში შემოდის ეს ცა კრიალა
 და დრო ისწრაფვის ფიქრებზე სწრაფად,
 და აი, ახლა, სხვა რამ კი არა,
 დრო, დრო იგრძნობა ყველაზე მძაფრად.
 მე დროის ძალა ერთბაშად ვცანი.
 ამაში თვითონ დრომ დამაჯერა,
 უსასრულობის ვიყავი მგზავრი
 და ამ მიწაზე დრომ შემაჩერა.
 დროზე ყველაფერს დრო გვეუბნება,
 დრო ბევრი რამის არის მოწამე.
 დრომ დამარტმუნა, რომ თვით ბუნება

არის მკაცრიც და არის მოწყალეც.
 დრო ხომ ზღუდებს აგებს და ანგრევს
 და სულშიც დროის ექო ხმიანებს,
 ვაითუ ქვეყნად მოვედი ადრე,
 ვაითუ მოსვლა დავაგვიანე.

6

ახლა ნამდვილი სახე ვპოვე და
 არავითარი არ მინდა გრიმი,
 ცხოვრება თვითონ ბობოქარი არის პოემა,
 მე ამ პოემის გახლავართ გმირი.
 ვულზე მეხლება ცხოვრების ზვირთი
 და მხრებით მიმაქვს ეპოქის ტვირთი.
 წლები რა არის, მე ჩემს ასაკად
 საუკუნეებს ვითვლი და ვითვლი,
 თუმცა ძიება ამდენი მეყო,
 მაგრამ ძიებას გული არ იშლის,
 და არაფერი არ ხდება ქვეყნად
 დროის მიღმა და დროის გარეშე.
 ახლა ამაზე არ ღირს კამათი,
 ფიქრებზე სწრაფად რადგან დრო ილტვის,
 დრო გაგვამტყუნებს, დრო გაგვამართლებს,
 დრო თავის დროზე ყველაფერს იტყვის.

7

მწვანე ბალაზზე ვწევარ გულალმა,
 ლურჯი ცა სულმი ჩამჩერებია,
 საყუთარ თავთან მუდამ გულახდილ
 გულლია ფიქრი დამჩერებია,
 სივრცეები რომ გადაულახავს,
 ეს ჩემთა ფიქრთა ჩანჩქერებია.
 მე ახლა ჩემი თავი შევიცან,
 და ჩემი ვალი მე კარგად მესმის,
 თავზე ჭულივით მხურავს ჩემი ცა,
 მიწის სიღრმეში გავიდგი ფესვი.
 გულში რწმენამ და ძალამ იმატა,
 უსასრულობის დავდექი კართან,
 მე უარვყავი ყველა პრიმატი
 ადამიანის პრიმატის გარდა.
 ჰველა დიდებას ზურგი ვუჩვენე
 და დავივიწყე ყველა ტიტული,

და ღიღებამ გაძლოს უჩემოდ,
 მე ჩემი ფიქრით ვარ დატვირთული-
 სამყაროს ჩემი ძალა ვუჩვენე
 და ნუ დამძრახვს ქვეყნად ნურავინ,
 დე, უკვდავებამ გაძლოს უჩემოდ.
 მე უფრო ღიღი მაქვს საზრუნავი.
 მე კოსმოსს ვუტევ მიწის სახელით
 და მაქვს ოცნება ცასავით წმინდა,
 და ოუ ფასი აქვს ფიქრებს გამხელილს,
 მე უკვდავება მიწისთვის მინდა.
 დასაბამიდან მიწის წინაშე
 მუხლებს იყრიან და ქედს იხრიან,
 მიწა მიწა, მაგრამ სულ სხვაა
 ის, რასაც შენი სამშობლო ჰქვია.
 მიწაზე გავჩნდი, მიწაზე დავრჩი
 და ჩემი ბედი მიწაზე ვცალე,
 მიწა ძმასავით შემიდგა მხარში
 და ამ მიწიდან ავმაღლდი ცამდე.
 სულში მეღვრება ახლა ცხელი მზე,
 სულში მეღვრება ახლა ჩემი მზე.
 მე ჩემი თავი ახლა შევიცან,
 მე ჩემი ძალა ახლა შევიგრძენ.
 მე ქხარობ მიწის ფერისცვალობით
 და ჩემი ჭალა მიწაზე ვცალე,
 ჯერ თვით ავმაღლდი მიწის წყალობით
 და მერე მიწა ავზიდე ცამდე.

8

დრო გავიდა და ახლა სრულებით
 დრომ გაამართლა ჩემი გაჩენა.
 ვიყავი მეზავრი უსასრულობის
 და ამ მიწაზე დრომ შემაჩერა.
 ას შემდეგ მიწის ერთგული დავრჩი.
 მზე გავიცანი, ცა გავიცანი,
 ჩემი სხეულის თვითეულ ძარღვში
 ეპოქის მაჯა მეც ავიცარი.
 ჩემი გონება ყველაფერს მიწვდა.
 მე გადავლახე დრო და მანძილი.
 მაგრამ ყოველთვის მეძახდა მიწა,
 მიწის გარეშე მე ვერ გავძელი.

ჩემი პლანეტა ისევ მზეს უვლის,
 ჩემში აღზევდა ჩემი მეობა
 და ყველაფერი ამჯვეყნიური
 მივიღო როგორც მემკვიდრეობა.
 ჩემი პლანეტა მზით არის სავსე,
 სავსე სიცოცხლით, სინათლით სავსე,
 აქ ყველაფერი ერთმანეთს ცვლის და
 აქ ყველაფერი ერთმანეთს ავსებს.
 მაგრამ მე მესმის, მაგრამ მე ვიცი,
 სხვა პლანეტების მოაღწევს რიგიც,
 სწორედ ამიტომ ჯერ პირველ რიგში
 ეს მიწა უნდა მოვაწესრიგოთ.
 ჩემი პლანეტის დღე არის ახლა,
 ჩემი პლანეტის დრო არის ახლა,
 და თანამგზავრზე სწრაფად და მაღლა,
 ელვაზე სწრაფად, ქუხილზე მძაფრად,
 საუკუნეთა ზღუდეებს იქით,
 დროის იქით და სივრცეებს იქით
 მიფრინავს ჩემი ლამაზი ფიქრი,
 მეც გამიტაცა მზესთან თამაშეა,
 მზეს თავს ევლება პლანეტა ჩემი,
 მეც ჩართული ვარ მზის სისტემაში
 და დედამიწის ერთგული ვრჩები.
 ისევ ვოცნებობ მე მომავალზე,
 გული შორეულ დროსთან საუბრობს,
 ჩემი პლანეტის აწმყო მავალებს,
 რომ მომავალი მიყვარდეს უფრო.
 აწმყო, წარსული და მომავალი,
 სამივე დროის საწყაულს ავსებს,
 წელი წელს ასე მისდევს მრავალი
 და ეს ცხოვრება გრძელდება ასე.





ამიგან შეაცაშიძე

ინასა არმანდი

ვაზოზოფი გამუხა

მღიღრული სახლის სასტუმრო დარბაზი. პოლკოვნიკი სეკერჟინსკი, ვადიმ ვიკენტიევიჩი და გერმან მიხაილოვიჩი.

სეკერჟინსკი — მეოთხე თევა ლენინის მთავრობა პეტერბურგიდან მოსკოვში ვად-მოვიდა. ვერც გარეშე და ვერც შინურმა მტრებმა ვერ იქნა და ვერ მოუგრიხეს კისერი ამ აღვირახსნილ უშურბატორებს. საიდან აქვთ ამ ჩამორჩენილსა და ბერ მასებს ამღენი ძალა და უნარი!

ვადიმ ვიკენტიევიჩი — გამოდის, ოქვენ მათ ხოტბას ასხამთ.

სეკერჟინსკი — იმათ კი არა... მათ მოხერხებულობას, უნარსა და ნიშას, მათ ერთგულებას საქმისაღმი, ჭუჭყიანი და ამაზრზენი, მაგრამ მაინც საკუთარი საქმისაღმი.

ვადიმ ვიკენტიევიჩი — ადამიანი განსაკუთრებით დასაფასებელია თუ მის უნარსა და ღირსებას მისივე მოშურნენი და მტრებიც კი აღიარებენ.

სეკერჟინსკი — სამწუხაროდ, ფაქტს ვერსად წაუხვალ.

ვადიმ ვიკენტიევიჩი — დიახ, ყველაფერი ეს ფაქტად იქცა. ჩვენ ყოველთვის გვეგონა, რომ ისინი უგუნური, ბერლი და ბრიყვა მასებია. სრულებით დავივიწყეთ ის, რომ ადამიანები მხოლოდ მაშინ არიან მოტყუებულნი და წაგებულნი, როცა მოწინააღმდეგაზე უფრო ჭვეინად თვლიან თავის თავს.

გერმან მიხაილოვიჩი — ბატონებო, გევოფა! ლაპარაკი კი არა მოქმედება საჭირო. როგორც თქვენთვის ცნობილი, ჩვენი ძალები უკვე შზად არაან და ელიან ხელსაყრელ მომენტს გამოსვლებისათვის. ეს მომენტიც დადგა. მემარცხენე ესერები ბოლშევიკებს ისეთ სიურპრიზს უმზადებენ, რომ ლენინის მთავრობას ბოლო მოედება, ჩვენ კი არც ესერები უნდა გავიხაროთ. (შემოდის რევინი).

პიყსაში ასახულია ვ. ი. ლენინის უახლოესი თანამებრძოლის, შესანიშნავი რევოლუციონერის ქალის ინესა არმანდის მოღვაწეობის ცალკეული ეპიზოდები. ვაჭვენებთ პიყსის ნაწყვეტს. რედ.

რეგინა — ბატონებო, ინებეთ ყავა!

გერმან მიხაილოვიჩი — მაღლობა ღმერთს. რომ ვერნერის წყალობით ჯერ არ ვშიძ-
შილობთ. (გადაინ. ბასით შემოდიან მაქს ვერნერი და არნოლდ ოსკაროვიჩი ბოთლი-
თა და ჭიქით ხელში).

ვერნერი — მოსკოვს ახლა დენთის სუნი ასდის, სადაც არის აფეთქდება.

არნოლდ ოსკაროვიჩი — გიკვირთ? დროა შეეჩიოთ!

ვერნერი — (ბოთლზე მიუთითებს) დროა გადაეჩიოთ.

არნოლდ ოსკაროვიჩი — ეს სულის სიმშვიდის ერთადერთი საშუალებაა. დავლიოთ
ვერნერ.

ვერნერი — არ მინდა.

არნოლდ ოსკაროვიჩი — არ მიკვირს... საელჩინებში ალბათ ფრანგულ კონიაქსა და
ესპანურ ლენონებს მიირთმევთ (დაისხამს და შესვამს). როგორ ფიქრობთ, შვეიცარიაში
კარგი ცხოვრება?

ვერნერი — გარბიხართ?

არნოლდ ოსკაროვიჩი — აქ ვერაფერს ველარ გავაკეთებ, შვეიცარიას მაინც
ვნახავ, ამობიძენ ლამაზი მხარეა.

ვერნერი — იქ რუსულ არყის ხეს ვერ შეხვდებით. მაგრამ სამაგიეროდ არის ლპები.

არნოლდ ოსკაროვიჩი — უარყოდაც გავძლებ... ოლონდ რომი იყოს საკმაოდ, იგი
ყველასთან დაგანათესავებს, სხვის მიწასთან და სხვის ჩვეულებასთანაც.

ვერნერი — კი, მაგრამ, სამშობლო?

არნოლდ ოსკაროვიჩი — სადაც კარგად ვარ, ჩემი სამშობლოც იქ არის.

ვერნერი — ეს კი, სწორია. შევუღდეთ!

არნოლდ ოსკაროვიჩი — აქ ყველაფერია (ქალადს ამოიღებს და გაუწვდის).

ვერნერი — (მას შემდეგ, როცა იგი ქალადს გადახედავს) აი, მიიღეთ უცნევის
ბანკის ჩეკე. მე მხოლოდ თი პროცენტი დაგაედიოთ, ვინაიდან თქვენთვისაც კარგად
არის ცნობილი, რომ ეს საქმე საჭერა.

არნოლდ ოსკაროვიჩი — აქაც გამჭურდე? შენი... (არნოლდ ოსკაროვიჩი სკამს წა-
ვლებს ხელს, მაგრამ თავს შეიკავებს, ხელს ჩაიქნებს, მიდის, კუთხებში შეჩერდება) ტუ-
ტუცი. მას ჰგონია, ბოლშვევიკების აღსასრული მოვიდა და ჩემი ფაბრიკა თუ შეისყიდა,
მისი მეპატრონე განდება. გაუთლელი და კუუამოკლე ტუტუცი! (გადის)

ვერნერი — ტუტიცი. ტუტიცი და კუუამოკლე... მას ჰგონია, ბოლშვევიკები სამუდა-
მოდ დარჩებიან ხელისუფლების სათავეში და თოოქმის ჩალის ფასად მომყიდა თავისი
ფაბრიკა. სულელი! მისი დანარჩენი სამდიდრეც უნდა ჩავიგდო ხელში, ყველაფერი, რაც
იურიდიულად მისია, მაგრამ ფაქტიურად უკვე ჩამოართვეს, არნოლდ ოსკაროვიჩ, არ-
ნოლდ ოსკაროვიჩ...

არნოლდ ოსკაროვიჩი — (შემბრუნდება) ჰო, რა, წურბელავ?

ვერნერი — მოყიდეთ თქვენი ოქროს ბუდა, მის გატანას საზღვარგარეთ თქვენ ვერ
მოახერხებთ... იყოდეთ, სიმუნწეს არ გამოვიჩნ, დაუ თანხას მიიღებთ, არნოლდ
ოსკაროვიჩ!

არნოლდ ოსკაროვიჩი — ხედავთ, როგორ მოვიდა მადაზე... აი, მიიღე! (ბრანწლ უჩ-
ენებს და გადის. უკან მიყვება მაქს ვერნერი. შემოდიან რევინა და ელიზავეტა
ბორისოვნა)

ელიზავეტა ბორისოვნა — მდიდარი ქვრივი ვიყავი, ბედნიერი და თავისუფალი,
რა ღმერთი გამიშურა ცოლად რომ გავუვი გაიძერა ინუინერ ფორტუნატოვს?

რევინა — ელიზავეტა ბორისოვნა, რა დაგემართა, თქვენ ტირით?

ელიზავეტა ბორისოვნა — დავიღუპე, განადგურებული ვარ, ძვირფასო რევინა!

რეგინა — იქნებ მითხათ, რა მოხდა?

ელიზავეტა ბორისოვნა — ო, რა გილლო მერგო იმდენი მსხვერაბლის, ერთგულური და უწყვეტი სიყვარულის საზღაურად. არ მეგონა, არასოდეს არ მეგონა, რომ მისი უზენობა ასეთ საძალობამდე მივიღოდა.

რეგინა — მაღლობელი ვიქნები თუ პატივს დამდებო და ამისსით თქვენი უბე-დურების შინებს.

ელიზავეტა ბორისოვნა — ლაფში გამსვარა, გამანადგურა, მზად ვარ ყელი გამოვლა-დრო, დავხოცო ყველა, ყველა! თთქმოს საკმარისი არ იყო, ბოლშევიკებმა რომ გაგვა-რცვეს... და ახლა ესეც დამემატა... გაყიდა, ყველაფერი გაყიდა... თან წარო ჩენი დანა-ზოგი, ტვირფასეულობა, მთელი ჩენი ქონება და საფრანგეთს მიაშერა... თან წაიყვანა ის საზიღარი ფრანგი ქალი, რომელიც ვითომ მოსამსახურედ მომითრია სახლში.

რეგინა — ვინ? თქვენმა ქმარმა?

ელიზავეტა ბორისოვნა — ჰო, ფორტუნატომა. ღმერთმა ისე წარმართოს შენი ფორტუნა, არამზადა ფორტუნატოვო, რომ ცოცხალი აღარ მიაღწიო პარიზამდე. რამდენ წვალებად, რამდენ ცრემლად და მწარე წუთებად მიღირხარ ჩემო დამღუბველო ქმარო! რაღა ვარ ახლა მე? (კარგბში ვერნერი გამოწინდა და უსმებს) ლატაკი, გარდა სულისა არა-ფერი გამაჩინია, სრულებით არაფერი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მამისეულ შაბუ-ლებს, ბოლშევიკებმა რომ ჩამომართვეს.

ვერნერი — (თავისთვის) ლატაკი... აქ დატჩენილი მისი უძრავმოძრავი ქონება რამ-დენიმე მილიონი ერიარება. მერე რა ვუყოთ, რომ ჩამოგართვეს, დავბრუნებთ... ლატაკი კი არა, მდიდარი და ლამაზი სულელი ხარ, აბა შენ იცი, ვერნერ, იძოქმედე!

რეგინა — მვინი ვიღიაცა მოვიდა.

ვერნერი — მე ვარ, მშვენიერნო... რა საოცარი დამთხვევაა. სამივენი ერთ ბეღვეშ ვართ... (რეგინას) თქვენ პერემიშლის გმირის ქვრივი ბრძანდებით... (ელიზავეტა ბორი-სოვნას) თქვენი ქმარი, მაპატიეთ, მაგრამ სულელი ყოფილა, რომ მიგატოვათ. ჩემმა მეუ-ლებ კი, უკვე მეორე წელიწადი თავისი ადგილი დამკვიდრა სამუდამ სასულეველში.

რეგინა — ჩენ საშინელი მწუხარება გულს გვიღირდნის, თქვენ კი ამ დროს ხუმრო-ბის ხსიათზე ბრძანდებით.

ვერნერი — ტვირფას ელიზავეტა ბორისოვნა, რაყი აქ მოიტანეს სიტყვა „ხუმ-რობა“, მეც მინდა ხუმრობით გადმოგცეთ საჩუქრად ეს სათამაშო, თქვენდამი ღრმა პა-ტივისცემის ნიშნად. (ტვირფას ყელსაბამს, რომელსაც ვერნერი ელიზავეტა ბორისოვნას გადასცემს, აღტაცებაში მოპყავს ქალები).

ელიზავეტა ბორისოვნა — ო, ეს ყელსაბამი კი არა, მთელი სიმღიდერა, ხუთი ბრი-ლიანტი, თთო რამდენიმე კარატიანია... და ეს ჩემია?! (ვერნერი თავს დაუქნევს, ელი-ზავეტა ბორისოვნა გადახვევა ვერნერს და კოცნის).

რეგინა — თქვენ ნამღვილი სასწაულო ხართ, ჰერ ვერნერ!

ვერნერი — გმადლობთ, ფროლან რეგინა! სად არის მამა?

რეგინა — თავის კაბინეტშია და რომს შეეჭივა.

ვერნერი — მე მას განკურნავ ამ დამღუბველი სენისაგან.

რეგინა — ოღონდ... და, მე მუდამ თქვენზე მლოცველი ვიქნები.

ვერნერი — ჰო, სად არის დაშა? აქ... (საკვითაუზე მიუთითებს) სურსათია საელჩიოდან.

რეგინა — დაშა! (შემოდის დაშა. რეგინა საკვითაუზე მიუთითებს. დაშას საკვითა-ზი გააქვს)

ელიზავეტა ბორისოვნა — ეს ის ღაშაა?

რეგინა — ჰო, ის არის. უკვე თორმეტი წელიწადია ჩენითან არის. მამამ ხელშე მოსამსახურედ აიყვანა.



ელიზავეტა ბორისოვნა — (ყელსაბამს დასცემის) რა საუცხოო ადამიანია ვერნერი? კარგი მოხდა, თქვენ უძრავი ერთის ქალი იქნებით.

ელიზავეტა ბორისოვნა — ჩეგინა, ჩემო ძირიფასო! თიოქოს ღმერთმა მოგავლინა ჩემი გულის დასაშვიდებლად.

ჩეგინა — ბატონი, ვერნერი კი თქვენს მფარველ ანგელოზი კი ისეთი კერპი და მრისესანე გახდა, რომ მეშინია კიდეც. მაგრამ მიყვარს, ძალიან მიყვარს.

ელიზავეტა ბორისოვნა — ლავროვი ულამაზესი მამაკაცია... მის გვერდით ჭოჭოხე-თაც კი სამოთხედ მოგეჩენება... ოო, ლავროვი აპოლონია.

ჩეგინა — თუ არაფერი გამოვიდა და მდგომარეობა არ შეიცვლება, მაშინ მაგ აპოლონთა ერთად შვეიცარის მივაშურებთ, მამაჩემიც ასე ფიქრობს.

ელიზავეტა ბორისოვნა — კი, მაგრამ რომელი კაპიტალის იმედით ფიქრობთ აქცხოვებას?

ჩეგინა — ამისათვის მამაჩემი და ჩემი აპოლონი ზრუნავენ.

ელიზავეტა ბორისოვნა — საკვირველია, შენი საქმრო ოდესლაც რევოლუციონერი იცო და... უცებ ასეთი მეტომორფოზა!

ჩეგინა — ჩემი საქმრო ყველსათვის გამოუწოდ და საკვირველ ვინჩედ იქცა. აქლა იგი არც ბოლშევკიი, არც ესერი, არც მონარქისტი, არც ეშმაკი და არც ანგელოზი. იგი მთელ ქვეყანას უშანყდა, ყველაფერზე მაღლა საკუთარი „მე“ დგასო, სხვა დანარჩენა კი სისულელეათ. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, იგი ახლა ფრიად მნიშვნელოვნი პოტენციურ ძალას წარმოადგენს.

ელიზავეტა ბორისოვნა — საინტერესოა, რა ძალა ჰყავს ლავროვს!

ჩეგინა — ნუ გვიკირთ... მას ძლიერ ბევრი მიმდევრები ჰყავს. ისინი ყოველ დღი და ყოველ საათში ელიან ჩაბამს სამყდრო-საიციცხლო ბრძოლაში საჭიროა ხელისუ-ფლების წინააღმდეგ. მან, როგორც ამბობენ, კავშირი დამაყარა მაქს ვერნერთან და გერმან მიხაილოვინთან, რომლებიც ანგრიბოლშევიურ ორგანიზაციის ხელმძღვანელობენ, და ამ ორგანიზაციას, გამარჯვების შემთხვევაში, დროებითი მთავრობის მთელი შემადგენლობაც კი ყავს. მათ დიდ დახმარებას უწევენ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები.

ელიზავეტა ბორისოვნა — აი თურმე როგორ არის საქმე... მაშ ჩევნ არცუო ისე წყალწლებული ვალილვართ (კულისებიდან ისმის არნოლდ ოსკაროვიჩის სიტყვები: „რეგინა, ბატონ ვერნერთან ერთად ქალაქში მივიდვარ და ჩეარა დავბრუნდებით“)

ჩეგინა — ვაშშიმი მალე იქნება, არ დააგვიანოთ!

ელიზავეტა ბორისოვნა — როგორც ხედავთ, დროებით თქვენთან ვრჩები საცხოვრებლად და ცუდი არ იქნებოდა თუ ამ საუცხოო ყელსაბამსა და კიდევ სხვა ძირიცხულობას, არც გამაჩინა, შემინახვთ თქვენს სეიფში.

ჩეგინა — ახლავე. (ჩეგინა გადის).

ელიზავეტა ბორისოვნა — რა ბეგნიერებაა, რომ ამათთან დავბინადედი... მხოლოდ აქ შემიძლია გადაუუჩი ამ საშინელი ღრიას ყველა განსაცდელს. (შემოდის რეგინა, რომელსაც ორი შვილი ყუთი შემთავს თან. ყუთებს მაგიდზე დებს და ორთავს სახურავს ახლის)

ჩეგინა — აი, მთელი ჩემი იმედი.

ელიზავეტა ბორისოვნა — ო, ღმერთო... ეს ხომ სიმდიდრეა და მერე რა სიმდიდრე! ეს რალა?

ჩეგინა — (მოზრდილ ყუთიდან ამოიღებს ოქროს ბუდას) ეს ბუდაა. შთლიანად ოქროსა და პლატინისაგანა ჩამოსხმული. თვალება, შეხედეთ, როგორი თვალები აქვს, ეს იშვიათი, ცისფერი წყლის ბრილიანტებია.

ელიზავეტა ბორისოვნა — ამ სიმდიდრით ნახევარ შვეიცარიას იყიდით.

რეგინა — ნახევარ შვეიცარიას, რასაკვირველია არა, მაგრამ ცხოვრება კი შეიძლება... ახლა კი, ჩადევთ აქ, რაც გაგაჩნიათ და... (მოულოდნელად შემოდის ორი შეიარაღებული წითელგვარდიელი, ერთი — ვეებერთელა და უხეში — ღორმიდონტ კვასკინი, მეორე — ნახევრად მეზღვაურის ტანსაცმელში — ვასია მორიავი).

ღორმიდონტი — ეტყობა, გველოდნენ. თვითონვე მოამზადეს.

რეგინა — როგორ ბედათ?

ელიზავეტა ბორისოვნა — აქ როგორ მოხვდით?

ღორმიდონტი — ცოტა ხმადაბლა, თქვენი უმაღლესობა! (მარმარილოს ბიუსტზე პიუთითებს) ვასი ტეგლია?

ელიზავეტა ბორისოვნა — ეს ძეგლი არ არის, ლომონოსოვის ბიუსტია.

ვასია მორიავი — ალბათ, მეფის ჩინოვნიერია.

რეგინა — ბრიყვები!

ვასია მორიავი — შაშხელ, ნუ ხმაურობთ!

რეგინა — რა გნებავთ ჩვენგან?

ვასია მორიავი — რაში გვჭირდებით.

ღორმიდონტი — წარმავალო კლასო! ჩვენ რევოლუციის სახელით მოვედით. ჩაგვა-ბარეთ თქვენი კაპიტალი! (ოთახის მდიდარ მორთულობას გადახედავს). ვასია, ხედავ, როგორ გამძლარან ჩვენი სისხლით, ჩვენი იფლით?

ვასია მორიავი — ღორმიდონტ, იქნებ არ უნდა, ა? ჩვენ ხომ ამის შესახებ არც ბრძანება და არც მითითება არა გვაქვს.

ღორმიდონტი — კი, მაგრამ... საკუთარი მოსაზრება? რას გვეტყვიან, როცა ჩვენები ვარებენ, რომ იყო ასეთი შემთხვევა და ჩვენ კი ვერ ვივარგეთ. ესენი თავიანთ განძსა და სიმძიდრეს ისე მაღავენ. რომ ეშმაკიც ვერ მიაგნებს.

ვასია მორიავი — მაშინ, მიდი!

რეგინა — არ გაბედოო, მე ინესა არმანდის ნათესავი ვარ.

ღორმიდონტი — შეგვემალათ... იქნებ რომის პაპი ბრძანდებით! (ყუთები უნდა აიღოს, მაგრამ რეგინა გადაელობება).

რეგინა — არ გაბედოო, უფლება არა გაქვთ! მე პროტესტს ვაცხადებ!

ღორმიდონტი — გესმის, ვასია? პროტესტი გამოვიცხადა, თქვენ რევოლუციის წინააღმდეგი ხართ?

ელიზავეტა ბორისოვნა — თქვენ მძარცველები ხართ... ბოლოს და ბოლოს არსებობს თუ არა რამე კარინი?

რეგინა — თუმცა ბრიყვებისათვის იგი არსად წერია (ღორმიდონტი ყუთებს წაავლებს ხელს).

ელიზავეტა ბორისოვნა — ყაჩაღები! (ღორმიდონტი ვასია მორიავს ყურში ჩასჩურდებს).

ღორმიდონტი — გესმის?

ვასია მორიავი — იქნებ არ უნდა, ა?

ღორმიდონტი — შენ ჩვარი ყოფილხარ, რევოლუციას მსხვერპლი სჭირდება, შენ კი ქალის ცრემლმა გული აგიჩუყა. (რეგინას) ახლა კი გადმოალაგეთ კიდევ რაც გაქვთ, ცოცხლად, დრო არ იცდის.

ვასია მორიავი — (მრისხანელ) გეუბნები, არ უნდა... ჩვენ მეტისმეტს ვბედოვთ... ჩვენ თვითონებურად ვმოქმედებთ...

ღორმიდონტი — (მოტყედება) თანახმა ვარ, ჯერჯერობით საქმარისია, წავიდეთ! (ღორმიდონტი ყუთებს იღლიაში ამინისრის და სასწავლო გადის. მას უკან მიყვება უქაყოფილო ვასია მორიავი, რეგინა და ელიზავეტა ბორისოვნა ერთმანეთს გადახედავენ და შეარედ ქვითინებენ).

ლორმიდონტი და ვასია მორიაკი

ვასია მორიაკი — ჩვენ მაინც მაგრად გავამათრახებენ, რომ თვითნებურად ჩავატარეთ ეს ოქტომბერია. მაგრამ, იქნებ გვაპატიონ, რაც არ უნდა იყოს, სახელმწიფოს სასარგებლოდ გავაკეთოთ.

ლორმიდონტი — იფი რას გეტუვი? ასეთი ბეჭი კარს მოგვადგა და... ნუ ვიქნებით სულელები... მოდი გავიყოთ... მე შენ არ გაწყვეტინებ... ცოტას არ მოგცემ.

ვასია მორიაკი — სულელური ხუმრობაა...

ლორმიდონტი — არ ვეხმრობ... და მართლაც, ნუ ვიქნებით სულელები. ეს სიმღიღა ბატონიით გვაცხოვრებს არა მარტო ჩვენ, იგი ჩვენს შთამომავლობასაც ეყოფა.

ვასია მორიაკი — ნუ ლაყბობ, წავიდეთ.

ლორმიდონტი — თუ ასეა, წადი და მე მალე დაგვწევი.

ვასია მორიაკი — არა, ჩვენ ერთად წავალთ.

ლორმიდონტი — წადი მეთქი.

ვასია მორიაკი — ჩემთან ერთად წამოხვალ.

ლორმიდონტი — ჩემმეხსენი (ლორმიდონტი რეკოლეტეს იშიშელებს).

ვასია მორიაკი — შენ რა, მძარცველი ხარ?

ლორმიდონტი — თუ სიცოცხლე არ მოგძულებია, არ მომეკარო.

ვასია მორიაკი — მოიტა ეგ ყუთები და ჯანდაბამდე გზა გქონია.

ლორმიდონტი — არ მოგვერ.

ვასია მორიაკი — მომცემ! (ვასია მორიაკი მთელი ძალონით დაეტაკება ლორმიდონტს, მაგრამ ლორმიდონტი დაასწრებს და ესკრის. დაჭრილი ვასია მორიაკი მაინც არ დაეხსნება ლორმიდონტს და მათ შორის გაიმარტება ხელჩართული ბრძოლა. ლორმიდონტი დანას ჩარტყამს და ვასია მორიაკი უსულოდ დაეცემა. შეშინებულმა ლორმიდონტმა არ იცის, როგორ მოიქცეს, მაგრამ გონის მოდის. ყუთებიდან ჭირფასეულობას ამოიღებს და უბეჭდში და ჭიბეჭდში იტენის. ყუთებს გადაგდებს. სიბძელიდან მოისმის სიტყვები: „არ დაიძრათ, თორემ გესკრით!“ ლორმიდონტი მოასწრებს ჯიბილან ოქროს სამაჭურის ამოღებას და მოკლულ ვასია მორიაკის მკერდზე დაგდებს. (შემოდის ნოვიკოვი წითელგვარდიილთან ერთად).)

ნოვიკოვი — აა, ლორმიდონტ კვასკინი? (მოკლულ ვასია მორიაკს უცქერის) ვასია მორიაკი?! კინ მოკლა?

ლორმიდონტი — მე მოვკალ. იგი მძარცველი და ყაჩაღი აღმოჩნდა.

ნოვიკოვი — როგორ ბედავ... ვასია მორიაკი ჩვენი...

ლორმიდონტი — კი, ჩვენი კარგი ამხანაგი იყო, ერთგული რევოლუციონერი იყო. მაგრამ სინამდვილეში მძარცველი ყოფილა. (ლაზნიქება, ოქროს სამაჭურს აიღებს და ნოვიკოვს გაუწიოდებს). აა, მისი ვაკეაციბის საბუთი.

ნოვიკოვი — რას ნიშნავს ეს?

ლორმიდონტი — ეს ოქროს სამაჭური, მოკლის მუქარით, ხელიდან აძრო გამვლელ ქალს და როცა მე მოვუწოდე უკან დაებრუნებინა პატრიონისაოვის, დანით მოკლა მომინდობა, მაგრამ საბედნიეროდ ვაჭობე და აპა ისიც, ჩვენი შემარცხვენელი ყაჩაღი და მძარცველი.

ნოვიკოვი — (ოქროს სამაჭურს ხელზე ათამაშებს და ისე დასცემერის მოკლულ ვასია მორიაკს) აა, ვასია, ვასია მორიაკო... ნუთუ ეს შენა ხარ, ვასია... (ლორმიდონტს შეაცრად) წამოდი.

კურემლის კედელთან. ვასო, ნოვიკოვი, ღორგილიშვილი და წითელგვარლიელები.

ღორგილიშვილი — ეს როგორ, ამხანაგებო, იმან თვითონ გამიმტერა სასიცვლილოდ.

ნოვიკოვი — შენ ვინ მოგცა იმის უფლება, რომ თვითნებურად გაუსწორდი და მერე ვის...

ღორგილიშვილი — ვის და ყაჩალსა და რევოლუციის შემარცხენელს, ჩვენი საქვის მოღალატეს.

ნოვიკოვი — შენ გინდა მძარცველად და მოღალატედ გამოაცხადო ვასია მორიაკი? ის, რომელმაც ჩვენთან ერთად აიღო ზამთრის სასახლე? ის, რომელმაც...

ღორგილიშვილი — არ უნდა... მე ყველაფერი ვიცი... მაგრამ ყველაფერი ეს მას არა- ვითარ შემთხვევაში არ აძლევდა უფლებას მძარცველობა დაწყო. მასეთი არამარტობა არ არია სიცოცხლის ღირსი. დღეს მან ქალს ხელიდან აკცლა ოქროს სამაჯური, ხვალ რევოლუციის გაყიდა. იმიტომ იყო, რომ ბოლო ხანგბში სულ მეუბნებოდა: დევ ჩქარა დამთავრდეს ეს ჩხები და დავიდარაბა, აწი შეიძლება კარგად იცხოვრო. (ვასო შესცე-რის კვასინის, რომელიც ვერ უძლებს მის მრისხანე თვალებს და უკან იხევს)

ვასო — შემოხსენ ქამარი.

ღორგილიშვილი — (შეშინებული) რისთვის?

ვასო — შემოხსენი, შენ გეუბნებიან!

ღორგილიშვილი — რისთვის? (ღორგილიშვილი შეტრიალდება და გაქცევას დააპირებს, მაგრამ ნოვიკოვი ხელს დავილებს და ქამარს შექსნის... ღორგილიშვილი კვასინის უბიღან ცვივა უვირფასეულობა, მათ შორის ოქროს ბუღა).

ვასო — შენია?

ღორგილიშვილი — არა.. საიდან? საიდან უნდა მჭირდეს მე ასეთი განძი.

ვასო — შენ გაძარცვე... თვალებში გატრიბ, შენ ვილაცა გაძარცვე.

ღორგილიშვილი — ისინი რომ გვარცვადნენ? ისინი რომ ჩვენს სისხლს სამამინენ? მე ჩემი ისისხლის, ჩემი ოფლის საფასური ავიღე. მაგ მამაძალების სამსახურში იცი წე-ლოწადი წელი არ გამიმართა. ჩემი შრომის სამაგიერო ავიღე... თვისით მიხედა, რომ მოვალე იყო, თვითონ მომცა.

ვასო — როგორ გაბედე?

ღორგილიშვილი — თქვენთვის დამითმია, ალარ მჭირდება. უმაგისოდაც გავტლებ.

ნოვიკოვი — (იარაღ იშიშვლებს) შენ ტრიბუნალი გაგასამართლებს.

ვასო — წაიყვანეთ!

ღორგილიშვილი — (დაიჩოქებს) ძმებო... რას მიშვერებით?.. არ დამლუბოთ. ძმებო!

ნოვიკოვი — წამოდი მეთქი. (წითელგვარლიელებს ნოვიკოვის მეთაურობით ძალით გაყიდა. კულისებიდან მოისმის ღორგილიშვილი კვასინის სიცვები: „ძმებო, არ დამლუ-ბოთ, ძმებო! მიშველეთ!“)

ვასო — მომავალში მხოლოდ ასეთებს შეუტლიათ დალუპონ რევოლუციის მონაცო-ვარი. გესმით, მომავლის შვილებო? უფრთხოლით ასეთებს. რევოლუცია წმინდა უნდა იყოს, კრისტალურად წმინდა... მხოლოდ მაშინ იქნება იგი ნამდვილად სახალხო და ხალხისათვის.

ჩამობნელ დება

230 20 0 0 0 0

ისევ არნოლდ ოსკაროვიჩის ბინის დარბაზი. შემოდის არნოლდ ოსკაროვიჩითავისი განუყრელი ბოთლითა და ბაჟალით.

არნოლდ ოსკაროვიჩი—გაიძევრა პერ ვერნერი კიდევ არ ცხრება... იგი თურმე რუსე-თის საკეთილდღეოდ იღწვის, დიახ, გერმანელი ბოურგერი იღწვის ჩვენი შვეიცარიისათვის



და არა საკუთარი სიკეთისათვის, რომელიც თითქმის მთლიანად გაუსხლტა ხელიფანების გადასაცემა. როგორი ფარისეელობა! ადამიანი კი არა, სატანა ყოფილხარ, ჰერ ვერნერ!

ადამიანებო, სად არის თქვენი სინდისი? ხა, ხა, ხა. აი, სინდისი... (დაისხამს, შეს-გამს) ჰერ ვერნერი თურმე მართლა ფიქრობს, რომ მე ემიგრაციაში წავალ და ისიც მაინცა და მაინც შევიცარიაში... ალბები... ძალიან მჭირდება თქვენი ალბები! აი, ჩემი ალბები (ისევ დაისხამს და სვამს). დაიხ, აქ მე ნამდვილა ალპინისტი ვარ. (პაუზა) „მიწა გლეხებს. ფაბრიკები და ქარხნები მუშებს“. მაგრამ ვისა ეს მიწა, ეს ფაბრიკები, ეს ქარხნები. ვისი? გავდარცვეს, თავით ფეხამდე გავდარცვეს. ჩვენ კი? საჭიროა მოქმედება... უნდა ვკლათ, ვხელოთ, გადავბუგოთ, გავინაღუროთ. კი, საჭიროა მოქმედება... და მაქს ვერნერი მოქმედებს, იგი ჩვენს წისევილზე ასხამს წყალს. გერმანელები გვეხმარებიან. მე რუსი ვარ, მაგრამ ახლა ძმები ვართ... გესმის, ჰერ ვერნერ? მტრებთან ბრძოლაში ხომ შეიძლება ეშმაგასაც დაუშეგვობრდე! კი, ეშმაგასაც... თუ კი იგი შენი მოკავშირე გახდება. ამბობენ წყალში ჩავარდნილი გველსაც კი წაგაორინებათ. ჩვენი მეგობრობის სადღესასრულ უნდა შევსვა, გესმის, ჰერ ვერნერ? სადა ხარ? ხმა გამეცი სატანა, მორიელო, ფალანგავ (შემოდიან ელიზავეტა ბორისოვნა და რევინა).

რეგინა — მამა, შენ კიდევ სცმე?

არნოლდ ოსკაროვიჩი — ეს ერთადერთი გამოსავალია მდგომარეობილან.

ელიზავეტა ბორისოვნა — ქალქში ისევ საშინელი ამბები ტრიალებს: საბუთების გასინჯვა, დაბატიმება, სროლა.

არნოლდ ოსკაროვიჩი — რეგინა, ფრთხილად იყავი, გარეთ წუ გახვალ.

ელიზავეტა ბორისოვნა — სამაგიეროდ ისინი თვითონ ცხადდებიან ჩვენთან. (რეგინა ანიშნებს, განტუმდეს. მოისმის სროლა) ეს სროლა და აურ-ზაური ნერვებზე მოქმედებს, ისევ იღვრება სისხლით... ისევ ჰელავენ, ისვრიან, იქერენ. ადამიანები ილარ ინდობნ ერთმანეთს. ჭოჭოხეთია.

რეგინა — ო, რომ იცოდეთ, როგორ ვიჩქარი შევიცარიისავენ. იქ სულ სხვა სამყაროა, სხვა ადამიანები... იქ სიმშეიდეა. იქ არ არიან გიუგები და კაცის მკულელები.

არნოლდ ოსკაროვიჩი — იქაც რომ ასე მოხდეს?

რეგინა — არა... არა... იქ მთავრობაა, იქ პრეზიდენტია, იქ ასეთ რამეებს არ და-შევებენ.

არნოლდ ოსკაროვიჩი — აქ კი, პრეზიდენტი — ანარქია და ამ პრეზიდენტისაგან დაირაფერი შეგვრჩა. შვილო, იქნებ რამე კიდევ დარჩა დასალუვი.

რეგინა — რატომ, რისთვის სხვამ ამდენს?

არნოლდ ოსკაროვიჩი — ამქვეყნად ცველაფერი მუქ ფერშია გახვეული. არაყი კი საშუალებას მაძლევს ისეთი დავინახო ქვეყანა, როგორიც მე მსურს. წავალ, იქნებ ბუ-ფეტში კიდევ დარჩა რამე... (გადის).

რეგინა — (ელიზავეტა ბორისოვნას) კარგი, რომ არაფერი წამოგცდა გაძარცვაზე. თორებ დაბმბლა დაეცემოდა.

ელიზავეტა ბორისოვნა — მაგრამ იური პავლოვიჩის ამბავი რომ წეიღუოს? (შე-მოდის არნოლდ ოსკაროვიჩი).

არნოლდ ოსკაროვიჩი — იური პავლოვიჩი? ლავროვი? სად ნახეთ? ნუთუ იგი კი-დევ ბოგონებს ცოდვილ მიწაზე?! ყაჩაღი, არამზადა... სხვებთან ერთად გამოუშებათ ცი-მბირიდან... ამბობენ მოსკოვში დახვეტებათ... მაქს ვერნერთან დატვრება თურმე... ამბო-ბენ, ახლა ჩვენი მომხრევათ... არა, არა... ლავროვი არ დამანახოთ. შვილო, ამბობენ, იგი შენთან ყოფილა, მაგრამ მე იმდე მაქსს, ასეთი ასმ ალარ განმეორდება.

რეგინა — მამა, მეც მაქსს სათქმელი, თუ მომისმებ!

არნოლდ ოსკაროვიჩი — წამოდი (ისინი გადიან, ელიზავეტა ბორისოვნა მარტო).

ელიზავეტა ბორისოვნა — საბრალო... მას მართლა ჰელინა, რომ იური პავლესტიმადი
(შემოდის ლავროვი). იგი შეიარაღებულია.

ლავროვი — ელიზავეტა ბორისოვნა!...

ელიზავეტა ბორისოვნა — იური პავლოვიჩ! (გადაეხვევიან და გადაკოცნან ერთმანეთს)

ლავროვი — შენ ისევ ჩემი ხარ, მაგრამ ისევ მიღალატებ.

ელიზავეტა ბორისოვნა — არა, არასოდეს... (კოცნის) მაგრამ რევინა?

ლავროვი — იგი გამოუცდელი მეოცნება. შენ, მხოლოდ შენ იქნები ჩემი...

ელიზავეტა ბორისოვნა — არა, ეს არასოდეს არ განმორდება. მაატიო იური, დამნაშავე ვარ, მაგრამ არც შენ იყავი პირნათელი ჩემს წინაშე... ჩვენი სიყვარული გასართობად, თამამდე გადაქციო... მე კი, შენგან შეუტაცხოფილი, შურისძიებამ შემიპყროდა სხვას მიითხოვდი... მაგრამ სასტიკად მოვტყუვდი... ახლა მე...

ლავროვი — ახლა შენ უფრო საღად უნდა უცქირო ცხოვრებას.

ელიზავეტა ბორისოვნა — თუ გვიან არ არის.

ლავროვი — შენთან უნდა მოვიდე.

ელიზავეტა ბორისოვნა — მაგრამ ჰერ ვერნერი?

ლავროვი — იმინ ყველაფერი იცის და იგი თანახმაა.. შენ არც იმას უნდა ჰქოლი... მიუალერსე... და ამავე დროს უეკველად მიჰყიდე ყველაფერი, რასაც გონიოს.

ელიზავეტა ბორისოვნა — მას სურს იყიდოს ჩემი მამულები, რომელიც უკვე კონფიდენციალურია.

ლავროვი — მიეცი, რა გრალება, როგორც კი საბუთებს ჩაბარებ, იქვე მიიღებ დიდი თანხის ჩემს უცნევის ბანკის სახელშე.

ელიზავეტა ბორისოვნა — და, ჩენ ერთად წავალო შეეიცარიაში.

ლავროვი — კი, ძვირფასო!

ელიზავეტა ბორისოვნა — რეგინა მოდის, ჩემთან დაგელოდები. (შემოდის რეგინა).

რეგინა — სალაში, ძვირფასო! (საკოცნელად გაიშეცი, მაგრამ თავს შეიკავებს) ტუჩებზე პომადა ვაწია.

ლავროვი — საინტერესოა, რას იტყვი ამზე?

რეგინა — რაზე?

ლავროვი — რომ მე ტუჩებზე პომადა მაცხია.

რეგინა — თუ შენ ქალი არა ხარ, მშინ შენთვის ქალს უკოცნა.

ლავროვი — გმობ ჩემს საქციელს?

რეგინა — შენ კვლავინდებულად გიყვარს ის პიტერელი კუდიანი.

ლავროვი — მე მხოლოდ შენ მიყვარხარ.

რეგინა — სტუუ!

ლავროვი — არასოდეს არ ესტუუ.

რეგინა — ვანჭრას მაწვალებ.

ლავროვი — შენ კი განზრას მაჯავრებ. მიყვარხარ, რეგინა!

რეგინა — ღმერთო!

ლავროვი — შენ იქნები ყველაზე ბედნიერი ქალი. მე ასე მინდა და ასეც იქნება.

რეგინა — ჩენ მუდამ ერთად ვიქნებით... და მე შენი ცოლი ვიქნები. მიყვარხარ, იური, მიყვარხარ!

ლავროვი — არ მჯერა, რით დამიმტკიცებ?

რეგინა — გამომცადე როგორც გინდა.

ლავროვი — როგორც მინდა?

რეგინა — ჰო.

ლაგროვი — მამაშენს ოქროს ბუდა აქვს და შენ კარგად იცი სად ინახავს.
რეგინა — ჰო, ჰო იური...

ლაგროვი — მისი საზღვარგარეთ გატანა შეუძლებელია, მაგრამ მე ვიცნობ ერთ კაცს, რომელიც მას აქ შეიძენს და დიდ თანხას გამოგვიწერს უწევის ბანკიდან.

რეგინა — კი, მაგრამ, მამა?

ლაგროვი — თან წავიყვანო.

რეგინა — თუ ოქროს ბუდა ალარ გვაქვს?

ლაგროვი — რეგინა!

რეგინა — ჰო, თუ ოქროს ბუდა უკვე ალარ გვაქვს?

ლაგროვი — რეგინა შენ ხემრიბ!

რეგინა — როგორ გაფიორდი... ჰო, ჩვენ უკვე ალარ გვაქვს არც ოქროს ბუდა და არც სხვა ძვირფასეულობა, ჩვენ ღატანი ვართ, ჩვენ... (ტირის).

ლაგროვი — რეგინა, გადამჩევ!

რეგინა — ღატაე ხომ არავის უნდა, არავის (ატირებული) გარბის. შემოდის ვერნერი.

ვერნერი — საღამო მშვიდობისა, ბატონი ლაგროვ, რა არის ახალი?

ლაგროვი — იარაღი მივიღეთ... მე უკვე სამასზე მეტი მეომარი მყავს კბილებამდე შეიარაღებული.

ვერნერი — მაგრამ კბილები, ოქვენი მეომრების კბილები კარგად თუ გასინჯეთ?

ლაგროვი — ვერ ისვენებენ, მოუთმენლად ელიან მტერთან შებმას. იქ კველაფერი რიგზეა, მაგრამ საღა არის თქვენ მიერ დაპირებული ფული?

ვერნერი — მალე მიიღებთ.

ლაგროვი — ოღონდ...

ვერნერი — ვიცი, ჩეკით ევროპის რომელიმე ბანკის სახელზე. მოელაპარაკეთ თუ არა ელიზავეტა ბორისოვნას?

ლაგროვი — დავარწმუნე და ახლა თანახმა.

ვერნერი — ოქროს ბუდას შესახებ რას მეტყველი?

ლაგროვი — ჩემი აზრით, არნოლდ ოსკაროვიჩმა თავისი განძრა საღლაც გაღამალა და ამიტომაც რეგინა არნოლდოვნამ მის შესახებ არაფერი იცის.

ვერნერი — ეშმაქმა წაიღის... ვატყობ, თქვენ ალარ გწადიათ მიიღოთ კარგი გასამრელო.

ლაგროვი — ნუთუ იგი ასე ძვირი ღირს.

ვერნერი — (თავისითვის) ძვირი! ჰმ... ასეთი მხოლოდ სამია მთელ ქვეყანაზე, სამი ოქროს ბუდა... თითო მათგანი შეფასებულია ორ მილიონ დოლარად. ერთი მათგანი კი არნოლდ ოსკაროვიჩის საკუთრებაა (შემოდის არნოლდ ოსკაროვიჩი).

არნოლდ ოსკაროვიჩი — გაგიმარჯოთ, ბატონებო! ა, ლაგროვი?! (ვერნერის) რა ნახეთ საერთო ამ ყაჩალთან?

ლაგროვი — (გალიზიანებული) არნოლდ ოსკაროვიჩ!

არნოლდ ოსკაროვიჩი — ჰო, ჰო!

ვერნერი — იგი ახლა ჩვენი მოკავშირეა.

არნოლდ ოსკაროვიჩი — მიზანი ამართლებს საშუალებებს... ო, თქვენ იეზუიტი ხართ, ნამდგილი იეზუიტი, ჰერ ვერნერ!

ვერნერი — არნოლდ ოსკაროვიჩ, მომბაძეთ მე და ისწავლით როგორ უნდა მტრების შორისაც მეგობრისა და მოკავშირის მონახვა.

არნოლდ ოსკაროვიჩი — მიდი!

ვერნერი — გთხოვთ შეტიგდეთ (არნოლდ ოსკაროვიჩი და ლაგროვი იძულებით გადამებადა).



არნოლდ ისკაროვიჩი — იდეა! ჰმ! იდეა საქმე არ არის. იდეები ბევრია, მაგრამ არ არის საქმე? ჴო, რას ვაეთებთ იმისათვის, რომ ეს ჩვენი იდეები საქმედ ვაქციოთ?

ვერნერი — ბატონშა ლავროვა მოხერხებულად უნდა ოღადინოს კარგი დამძიებდებულება ინესა არმანდთან. მისი შემწეობით იგი გახდება ოფიონი ინესა ფეოდოროვნას ცხლობელ ადამიანთა კარგი მეგობარი... ეს ახლობელი აღმიანები კი, კარგად იცით ვინც არიან (რაღაცას ეჩურჩულება მათ). ამრიგად, ჩვენი მტრების მთავარ სულისჩამდგმელს ადვილად...

არნოლდ ისკაროვიჩი — კმარა, ვერნერ, თქვენ მეზღაპრე ყოფილხართ (შემოჭრება სახეეგარწყინბული სეკურიტისკი).

სეკურიტისკი — ბატონებო, ამ ერთი საათის წინ ბოლშევიკმა ტერორისტებმა მოკლეს გერმანიის ელჩი გრაფი მირბახი! (ჯერ გაშეშდებიან, მერე კი ყველა ერთად შეკურიებს „ურა!“).

ვერნერი — ამგვარად, ბრესტის ზავი დარღვეულად უნდა ჩავთვალოთ, გერმანელთა არმია ახლა უკეთ აუცილებლად დაიძრება ბოლშევიკების წინააღმდევე. ბატონებო, გთხოვთ დაუყოვნებლივ აცნობოთ ჩვენი ცენტრის ყველა დანარჩენ წევრს ერთ საათში გამოცხადნენ საგანგებო სხდომაზე (სეკურიტისკი და ლავროვი გადიან).

არნოლდ ისკაროვიჩი — აი ეს ნამდვილად იდეაა, ახლა აუცილებლად იქნება საქმე (შემოდის ელიზავეტა ბორისოვნა. არნოლდ ისკაროვიჩი ალმაცერად გაუხედავს მას და გადის).

ელიზავეტა ბორისოვნა — ჟერ ვერნერ?

ვერნერი — თქვენთან მოვდიოდი.

ელიზავეტა ბორისოვნა — ჩემთან რეგინა არნოლდოვნაა.

ვერნერი — ჩემთან კი... (ჯებიდან ჩეკს ამოიღებს). საბუთები მზად გაქვთ?

ელიზავეტა ბორისოვნა — დიახ.

ვერნერი — ინგებთ! მიიღებთ უენევის ბანკილან (ჩეკს გაუწევის). კმაყოფილი ხართ?

ელიზავეტა ბორისოვნა — (ჩეკს დასცერის) როგორი ბეღნიერი ვარ... (ციცუნის ვერნერს). როდის, როდის გამამგზავრებთ შევიცარიანი ჟერ ვერნერი? დუმხართ? თქვენ გგონიათ მე ბრიყვი ვარ და ამიტომ არაფერი არ უნდა ვიცოდე? მაგრამ სიბრი-ჯვეს მე მაშინ ჩავდიგარ, როცა ლოგიზმი გიჩვენთ.

ვერნერი — მე დღესაც მინდოდა მესარგებლა მაგ სიბრიყვით.

ელიზავეტა ბორისოვნა — ცელქ! (ისინი ერთმანეთს კოცნან. მოულოდნელად შემოდის არნოლდ ისკაროვიჩი ჭიქითა და ბოთლით ხელში. ვერნერი და ელიზავეტა ბორისოვნა გარბიან. ელიზავეტა ბორისოვნას ჩეკი დაუცარდება. იგი უკან ბრუნდება. არნოლდ ისკაროვიჩი ჩეკს დაწვდება).

არნოლდ ისკაროვიჩი — (ელიზავეტა ბორისოვნას) მგონი თქვენ დაგივარდათ. (გაუწევის).

ელიზავეტა ბორისოვნა — (გამოართმევს) გმადლობთ, არნოლდ ისკაროვიჩ!

არნოლდ ისკაროვიჩი — დღეს თქვენ ჭიკიანი გამომეტყველება გაქვთ, მაღვ-მუაზელ, როგორ მოხდა?

ელიზავეტა ბორისოვნა — რომ იცოდეთ, როგორ მეზიზლებით, მე რომ თქვენი ცოლი ვყოფილიყავი, საწამლავს ჩაგიყრილით დილის ყავაში (ელიზავეტა ბორისოვნა გადის).

არნოლდ ისკაროვიჩი — თქვენ რომ მართლა ყოფილიყავით ჩემი ცოლი, სიმოცნებით შეესვამდი იმ ყავას (ჭიქას ღვინით შეავსებს). ახლა კი შევსვათ იმ ბეღნიერებისა, რომ ჩვენ უცოლო ვართ და არ ვეყუთვნით რექსანთა აჩმიას! ვივატ! (შესვამს).

ჩამობნელდება

სეკრეტარი — ამრიგად, ფორმუნა ჩვენსკენ შემობრუნდა. ბოლშევიკებსა და ესერებს შორის შეხელურობა ჩვენთვის სასარგებლოა. როგორც ამბობენ, წყალს ჩვენს წისკვილზე ასხამენ. მთავარი ბრალდება, რომელიც ესერებმა ბოლშევიკებს წაუყენეს, ეს ბრძესტის ზავის. იგი რომ დაარღვოთ, სწორედ ამისთვის ესერებმა მოკლეს გერმანიის ელჩი გრაფი მირბახი. ამრიგად, კრიზისმა, რომელიც წარმოიშვა ლენინის მთავრობასა და გერმანიას შორის, შეიძლება გამოიწვიოს ბრძესტის ზავის დარღვევა. გერმანელთა ჯარები რამდენიმე დღეში გაცატევრებენ ბოლშევიკებს, გაანადგურებენ ესერებს და ჩვენს მიწაზე ხელახლა დამყარდება სამართლიანობა და წესრიგი.

გერმან მიხაილოვიჩი — ამბობენ, ლენინი თვითონ მივიღა გერმანიის საელჩოში და თვისი მთავრობის სახელით გამოთქვა ღრმა მწუხარება: მომხდარი ამბის გამო. მან მიუთითა აგრეთვე, რომ ეს ტერორისტული ოტრი ჩაიდანეს ესერებმა, პროვიციის მიზნით, რათა გამოიწვიონ მიმი ბოლშევიკებსა და გერმანიას შორის.

ვერნერი — ქალაქში ახლა ორხელისუფლებიანობაა, ესერებმა ხელთ იგდეს ფოსტა-ტელეგრაფი.

ვალიშ ვიკენტიევიჩი — აგრეთვე სატელეფონო სადგური.

სეკრეტარი — დააპატიმრეს ძერუინსკი. ამავე დროს ესერების ჯგუფი, დაახლოებით ოთხასი კაცი, მათი ლიდერის სპირიდონოვას მეთაურობით ალყაშემორცყმულია დიდ თეატრში.

არნოლდ ოსკაროვიჩი — ეს როგორ მოხდა?!

სეკრეტარი — ბოლშევიკებმა ყრილობის გახსნის წინ თავისი ფრაქციისათვის საჭათიჩროდ მოითხოვეს ნახევარი საათი და დატოვეს დიდი თეატრის შენობა. ამავე დროს შათმა ჯარის ნაწილებმა თეატრს ალყა შემოარტყეს. მიუხედავდ ამისა, ესერებმა ხელთ იგდეს ქალაქის თითქმის ყელა მთავარი არტერია. ლენინმა დატოვა კრემლი და ახლა არ ვიცით, სად იმყოფება იგი თავის კომისარებთან ერთად.

გერმან მიხაილოვიჩი — ამბობენ, ბოლშევიკები დიდ იმედს ამყარებენ ლატვიელთა დივიზიისე, რომელიც ამჟამად ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით დგას სადღაც.

სეკრეტარი — ბოლშევიკების ძირითადი ძალები დაფარტულია რუსთის სხვადასხვა კუთხებში. ქვეყანა ჩაფლულია სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომში და ბოლშევიკებს მოსკოვისათვის ძალებით არ ყოფნით. ამიტომ ლენინის განკარგულებით სასწრაფოდ აიარაღებენ ფარბიკა-ქარხნების მუშებს, მაგრამ ესერების ძალები ბევრად აღემატება ბოლშევიკებისას. ლენინის კაბინეტის დამხობა მოსალონელია ყოველწამს. ქალაქის ყალებულ რაიონებში ესერებსა და ბოლშევიკებს შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებები.

ვერნერი — ისე უქნიათ, დაუჭამიათ ერთმანეთი. ჩვენი მთავარი მხსნელი გერმანელთა არმია. მთავარია, რომ ვერმანელებმა დაარღვიონ ბრძესტის ზავი და თავიათი ძალები დასრუან მოსკოვისაკენ. მაშინ ბოლშევიკებიც და ესერებიც დაიღუპებიან.

ვალიშ ვიკენტიევიჩი — ბატონებო, ეს როგორ, თქვენ გსურთ რუსეთი გერმანელთა ჩექებმა გადათელონ? თქვენ საერთოდ რუსეთის მოწინააღმდეგე ხართ?

ვერნერი — რუსთა საერთოდ აღარ არსებობს. არის ჩვენი რუსეთი და რუსთი ყაველნაირი გამყიდველი სოციალისტებისა.

არნოლდ ოსკაროვიჩი — სწორია. როგორ რუსეთზე მეუპნებით თქვენ? ლენინის რუსეთზე? ამ მთხოვგრებისა და ყაჩალების რუსეთზე? წყალსაც წაულია ასეთი რუსეთი. მთავარია, რომ ჩემი ყველაფერი დარჩეს ჩემად, ხოლო რუსეთი გერმანიის იქნება თუ სხვისი, ჩემთვის სულ ერთია.

ვალი ვიკიპედიის — ბატონი ჩემი, თქვენ გადაჭარბეთ! მე ჩემი რუსეთის შემცირებისა ჩემი და არა ლენინისა, ან უცხოელი ბატონებისა.

ვერნერი — ასეთი აზრებით თქვენ ხელმოცარული დარჩებით. უცხოეთის დახმარებით აღვიდეთ ჩვენს უფლებებს საკუთრებაზე, უცხოეთი დავგიბრუნებს ჩვენს სიმღილეს, რომელიც უზურპატორებმა წაგვართვეს (შემოდის ლავროვი).

გერმან მიხაილოვიჩი — ახალს რას ვვეტყვით?

ლავროვი — ესერები ცეკველს უშენენ კრემლს. ბოლშევიკების მდგომარეობა კატასტროფულია. ერთი სათაოს შემდეგ ჩემს რაზმთან ერთად მეც გაედივარ.

ვერნერი — ბატონი სეკურიის კი, დროა იმოქმედოთ თქვენც. თუკი დაინახვთ, რომ ესერები ძლიერენ ბოლშევიკებს — თქვენი ხალხით დაარტყით ესერებს. თუკი ბოლშევიკების მხარეს იქნება წარმატება, მაშინ დაარტყით ბოლშევიკებს, მთავარია იმოქმედოთ უმოწყალოდ, როგორც ერთის, ისე შეორის წინაღმდეგ (სეკურიის კალება მხედრულ საასა და მხედრული ნაბიჯებით მიღის გასასვლელისაკენ).

გერმან მიხაილოვიჩი — ბატონებო, მე დარწმუნებული ვარ, ხვალინლელი დღე ჩვენთვის იქნება დიადი, როგორც ნაპოლეონის აუსტრიულიცის დილა!

უველავი — ამინ!

ჩამობნელდება

ეპიზოდი ევათე

ისევ არნოლდ ოსკაროვიჩის მდიდრული ბინის დარბაზი. არავინაა. გარედან სროლის ხმა ისმის. იგი თანდათან ძლიერდება. შემოდის შეშფოთებული ინესა არმანდა. კარებს მოხურავს და კედელს ეკრძონბა.

ინესა — ძლიერს გადავრჩი (მიმოიხედავს), სად ვარ ნეტავ! (შემოდის რეგინა. განცვალებული უცქერის ინესა არმანდს).

რეგინა — ინესა ფეოდოროვნა!

ინესა — რეგინა! ეს იგი, თქვენთან მოვხვდი?

რეგინა — მოხვდით... კი, ჩვენთან მოხვდით.

ინესა — მე შემთხვევით შემოვვდი იმის გამო, რომ...

რეგინა — გარეთ სროლაა, ადგინები ერთმანეთს ხოცავენ, მაგრამ თქვენ რაღავაშინებთ? ისინი ხომ თქვენები არიან. ისინი მხოლოდ ჩვენ, ჩვენ გვაძლევავენ. ვერადანურებენ. თქვენ კი მათ კვერს უკრავთ... და შველს ჩვენთან ეძებთ! როგორი უჭირსობაა!

ინესა — რეგინა!

რეგინა — ჰო, მე რეგინა ვარ, მაგრამ არა ის. რომელსაც წინათ იცნობდით.

ინესა — რეგინა!

რეგინა — მძულხართ!

ინესა — გმადლობთ სამაგიეროსათვის. ახლა კი იქნებ მაჩვენოთ ეზოსკენ გასასვლელი, რომ ძეედან შეუმჩნევლად გავიდე.

რეგინა — ლ, ეს კი აღარ გამოვა, ამის ჩემგან ვერ ელისებით. მე ვიცი. თქვენ, თქვენ მოგვიგზავნეთ მძარცველები... და თქვენვე უნდა აგოთ პასუხი (რეგინა კარებს ჩატარებს, კლიტეს გამოილებს და მეორე ოთახში გარბის). იური. იური პავლოვიჩ!

ინესა — ი თურმე სად შევაფარე თავი. როგორ მოხდა რომ ამხანაგებს ჩამოერჩი... ო, ახლა ფიქრის დრო აღარაა. როგორც ჩანს, რეგინა რაღაცას მიწყობს. იქ ვაჩერება აღარ შეიძლება (კარებს მოსინჯავს. არ იღება. ფანჯარას გააღებს, მაგრამ ქუჩილინ სროლის ხმა ისმის და სწრაფად დახურავს). ქუჩაში გასვლა საშიშია, აქ დარჩენა კი უფრო მეტ საფრთხეს მიმზადებს (შემოდის ლავროვი).

ლავროვი — თუ მექსიერება არ მღალატობს, თქვენ ქალბატონი ინესა არმანდი გრიგორი ბერძნებით! მოგეხალმებით!

ინესა — გამარჯობა, ბატონო ლავროვ!

ლავროვი — ბატონო? თუმცა, რატომაც არა? მე უკვე დავტოვე ფანტიკსთა პანკი და უფრო ჩევალური ცხოვრება დავიწყე.

ინესა — მე არც თუ ისე ცუდად ვარ ინფორმირებული თქვენი ცხოვრების შესახებ.

ლავროვი — და ეს, ვეგნებ, თქვენ ძლიერ არ მოგზონთ და გულში ალბათ დეზე-ტრირს მცდარით. მაგრამ რატომ გავიწყდებათ სიცოცხლე მილიონებისა, რომლებსაც შრმად სჭროდთ თქვენი ზღაპრები კაცობრიობის ნათელ მომავალზე და რომლებიც პეპლებივთ გაწყდნენ ამ მომავლისათვის ბრძოლაში?

ინესა — მილიონებს ახლა თავისი სახელმწიფო აქვთ.

ლავროვი — ეს რაღა ვამოვიდა? მე სახელმწიფოს წინააღმდეგ ვიბრძოდი, აქ კი, ისევ სახელმწიფო, და მერე როგორი — დიქტატურა! ისევ პიროვნების დამორჩილება საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებისადმი! ცხოვრების ასეთი წესი განსაზღვრულ ჩარჩოებს მოითხოვს. ადმიანი თავისი არსებობით ისევ სახელმწიფოს მოვალე იქნება, ამავე დროს ყოველგვარი სახელმწიფო დაყარებულია მონურ შრომაზე. მაგრამ, თუ შრომა თავისუფალი გახდება, სახელმწიფოს ბოლო მოედება, თქვენ კი ისევ სახელმწიფო შექმნით. მე თავისუფალი შრომის მოხსერ და ყოველგვარი სახელმწიფოს წინააღმდეგი ვარ, ვინაიდან სახელმწიფო ძალმომრეობაა.

ინესა — ლამაზად და მოხდენილად, მე ვიტყოდი, მაღალფარდოვნად იღვრება თქვენი სიტყვები, მაგრამ ყველაფერი, რაც თქვენ თქვეთ, სისულელეა. ბევრი წაგიით-ხავთ, ბევრი მოგისმენიათ... სამწუხაროდ, არ იცით თუ რა რა ჩისთვისა.

ლავროვი — თქვენ ხომ უკით იცით, თუ რა ჩისთვისა, თქვენ თვევანწირულად იბრძოით ახალი, ადამიანებისათვის უკეთესი, ეგრეთ წოდებული სოციალისტური წყობილებისათვის. რაცი უკვე მიაღწიეთ თქვენს მიზანს და თქვენი აზრით, გააბედნიერეთ ადამიანები. რატომ აღარ სტოკებთ ასარებს და არ გაითქვიფებით ხალხში? როცა ამ იდეასათვის იბრძონდით, მაშინ თქვენ ხალხის სახელით მოქმედებით, როგორც მისი ერთ-ერთი წარმომადგენერო, მაგრამ როდესაც გაიმარჯვეთ და მოხდით ხალხის სათავეში, ხალხი თქვენი ხელშვეითი გახდა. ვინც ძალაუფლებას ეპოტინება, იგი საშიში ადამიანია იმათვის, უნც ძალაუფლების გარეშეა... ასეთები კი მილიონებია. ვისაც ძალაუფლება აქვს, ის მბრძანებელია. მბრძანებელი კი აკეთებს იმას, რაც მას სურს და არა იმას, რაც ხალხს უნდა.

ინესა — თუ თქვენ გამოიხაროთ ამ მილიონების სახელით, მაშინ მოვალე ხართ იცოდეთ. რომ ჩენი ძალაუფლება, სწორედ ამ მილიონების ძალაუფლებაა, ხალხის ძალაუფლებაა და არა ხალხის ინტერესების დამთრებუნავი ერთი მუქა ექსპლოტატორების ძალაუფლება.

ლავროვი — ჩემთვის სულეროია, ვინც არ უნდა იყოს სახელმწიფო ძალაუფლების მპყრობელი, ყველა ისინი უზურპატორები არიან. ერთი ათასგვარ ხრიყითა და გაიძვებობით ეჭვევიან ხელისუფლების სათავეში, მეორენი კი ხალხის სახელით მიძერებიან ხელისუფლებისაკენ... და როცა მიზანს მიაღწევენ, ხალხი აღარ ახსოვთ. არც ერთ ხელისუფლას არ უყვარს ხალხი... ისინი მხოლოდ ვაპრობენ ხალხის სახელით, ადამიანთა სახელითა და უბედურებით იყალუენ გზას საკუთარი დიდებისაკენ... ვისაც ხალხი უყვარს, მას ბატონად არ მოევლინება... ვისაც ძალაუფლება აქვს, იგი უკვე შარტო ამით დგას სხვებზე მაღლა, იგი მბრძანებელია, ბატონია, ხელქვეითთა ბედილბლის გადამწყვეტია.

ინესა — თქვენ...

ლავროვი — არ გინდათ... ვიცი, რასაც მეტყვით... თქვენ ყოველთვის ეგოისტის მე-
ძახით. და არც ცდებით. მე ყოველთვის ვიბრძოდი და კვლავაც ვიბრძოლებ პიროვების
ინტერესების, საკუთარი „მეს“ მდგომარეობის განმტკიცებისათვის, რაღაც ჩემთვის სა-
კუთარ „მე“-ზე მაღლა არაფერი არ არსებობს. მე, ისევე როგორც თქვენ, წოდებათა წი-
ნააღმდეგ ვარ, მაგრამ მე არც თანასწორობის მოხსრე ვარ — ადამიანები ხომ ერთნაი-
რები არ არიან. მე სახელმწიფოთა შორის სახლვრების წინააღმდეგი ვარ და, საერთოდ
თვითონ სახელმწიფოს წინააღმდეგი ვარ. მე მინდა ვიყო კაცობრიობის
თავისუფალი მოქალაქე და საკუთარი თავის სრულუფლებიანი ბატონ-
პატრიონი.

ინგა — ეგ აღვილია, ბატონო ლავროვ, თუ თქვენ ერთ მშვენიერ დღეს რობიზონ-
კრუზო გახდებით და უკაცრიელ კუნძულზე იცხოვრებთ, თუმცა იქაც დამკიდებული
იქნებით ბუნებაზე...

ლავროვი — თქვენ მუდამ თავს მახვევთ თქვენს აზრებს, მიუხედავად იმისა, რომ
მე თვითონ შემიძლია ვიაზროვნო. ვიცი, თქვენ არ შეგიძლიათ მაპატიოთ ის, რომ თქვენი-
რევოლუციისათვის გილოორინაზე არ ავედი.

ინგა — და ამიტომაც ხშირად გეუბნებოდით, თავი დაანებეთ მეოქი პოლიტიკას.
და მე მართალი ვიყავი, ეს თქვენთვის კარგად არ დამთავრდება... საერთოდ კი კმარა ამა-
ზე ლაპარაკი... ვხედავ კარგად შეიარაღებულხართ.

ლავროვი — არა მარტო მე, მთელი ჩემი რაზმი.

ინგა — დარწმუნებული ვარ, როგორც მამაკაცი, ვალს მოიხდით ქალის წინაშე
და მიმცილებთ კრემლიმდე.

ლავროვი — (იცინის) ხა, ხა, ხაა! (მისი სიცილი თანდათან ისტერიულ ხარხარში-
გადაიზრდება). კრემლამდე, ა? კრემლამდე!

ფ ა რ დ ა



მ ა შ, გ ა უ მ ა რ ჯ ო ს!

აბობოქრებულ იკეანეს პგავდა რუსეთი,
 ზამთრის სასახლე — დასალუპად განჭირულ ხომალდს,
 კაცობრიობის დიდ მომავალს ღამეს ვუთევდით
 და ივსებოდა, ნათლებოდა ოქტომბრის ხომლი.
 ნევის ზეირთებსაც ადნებოდა ნისლი და მწუხრი,
 ბაშინ სმოლნიდან ოქტომბრის მზეს ჭერეტდა ლენინი...
 და საქართველო მიჰყებოდა „ავრორას“ ქუხილს
 ახალ ეპოქის პერგამენტზე გადაწერილი.
 მაღალი რწმენით, დიდი რწმენით და ნათელ რწმენით
 გამოვიარეთ გზა დიადი და უძნელესი,
 რევოლუციის გრიგალების გამოგყვა ძალა
 და გვილიმოდა ხვალინდელი დღე — უკეთესი.
 ამაღლებულა, დღეს ღიმილი ამაღლებულა,
 და სიმაყით ავსებულა გულები ჩვენი,
 რომ საუკუნის მაჭისცემას, იმედს მშრომელის
 ვესალმებით და პატაკს ვაძლევთ ვლადიმერ ლენინს!
 ეს მე ვიყავი, გუშინ მარსზე რომ ავიჭერი,
 ცა შევარღვიე კომეავშირულ ცისფერ ბილეთით,
 გადავიხურე სკაფანდრივით მთვარის ნაჭერი
 და მაღალ ფრენას დავაუფლე სულ სხვა იმედით,
 დავაუფლე და... გავიყვანე ცისფერი გზები.
 დავაკავშირე მზის სისტემის ყველა პლანეტა,
 მე დავაწვინე ყანწებივით ამაყი მთები,
 და მე ჩავედი სილრმეებში ოკეანეთა.
 და ისევ მე ვარ, რომ ვემნი ახალს სხვა საოცრებით
 და უფრო მაღლა, იწევს მაღლა ცა დიდი ფიქრით...
 ვიცი, ქართველი კოსმონავტიც მიწას მოწყდება
 და აიჭრება ხვალ მთვარეზე, ან მთვარის იქით.
 მაშ, გაუმარჯოს, ეს დღეები ვისაც არ ღლის და
 უფრო აქსებულ, მაღალ მზეებს ესაუბრება,

ვინც გადმოხედავს დედამიწას სხვა სიმაღლიდან
 და ისევ მიწას, პრველ მშობელს დაუბრუნდება,
 დაუბრუნდება, ვითარც ცეცხლი პრომეთეოსის,
 საუკუნეთა, სიმაღლეთა წინაშე მდგარი.

არის სიცოცხლე რომელიდაც მნათობზე, ალბათ,
 მიწა, ტყეები, ზღვები, თოვლი, წვიმა და ქარი,
 არის სიცოცხლე და სიცოცხლით ვეხებით ასე
 საქართველოს ცას, მოოქროვილს და მკერდგადაშლილს.
 მძლავრი ეპოქის მაჯისცემა სიცოცხლით გვაგსებს,
 და გვიხარია ჩვენს დროშაზე სხივთა თამაში.
 გვიხარია და... ხვალ ვიქნებით უფრო მაღლები
 და ჩვენი ფიქრი ცას და მიწას არ დაშორდება,
 მოვდივართ ასე, უინით, ჩწმენით, ნათელ აზრებით,
 დიდი ეპოქის დიდი ნიჭი და შთაგონება.





ხოსე ღი ღა კუაღა

ახალი წმინდანი

ეკვადორის მწერლის ხოსე ღი ღა კუაღას (1903-1941 წ.) არც ისე მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა გვხიბლავს თავისი პუმანიზმით, სისადავითა და უშუალობით.

პირველმა მხოლოდ ომა, ოქტომბრის რევოლუციამ, იმ უდიდესმა სოციალურმა ძვრებმა, ლათინური ამერიკის ქვეყნები რომ გამოაფხიზლა, კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა კუაღას შემოქმედებაზე. ეს გავლენა იგრძნობა მის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხოვნაში „ახალი წმინდანი“, რომლის თარგმანსაც ვთვაზობთ ჩვენს მკითხველებს.

მინდორში ყვითლად ღუოდა ბრინჯი. მცხუნვარე მზე ოქროსფრად ავარაყებდა თავთავს. ფესვებს შავი, ჭაობიანი სანაპირო აძლევდა სინოტივეს, რომელიც წყალდიდობისა და უკუჭცევის შემდეგ რჩებოდა. ქარიც იქვე იბადებოდა, საღაც მდინარე, მის შორეულ სათავეებთან, იქ, საღაც მთებიდან შენაკადები მოჩქრიალებენ. ქროდა დინების მიმართულებით, ეთამაშებოდა ტალღებს და ფართო, ხაოიან ფოთლებს ათროლებდა. წყლის მცნარეები ზანტად ირხეოდნენ, თითქმის შეუმჩნევლად ამოძრავებდნენ ფარფლს თევზები, კრევეტები ნავარდობდნენ. ნაყოფიერი ნიაღავი და მზის სხივები თავისას აკეთებდნენ: მარცვალი სწრაფად მწიფდებოდა.

— კარგი შემოსავალი გექნებათ, დონ ფრანკო.

— ყველაფერი ფასებზეა ღამოკიდებული. გუაიკილში ალბათ იაფია ბრინჯი. ეს გასაგებიცაა. ღარიბების ნაოფლარით, ნუ გეშინია, სულ გატენილია...

— გულს ნუ გაიტეხთ, დონ ფრანკო! აი ნახავთ: ოქვენც გექნებათ და ფული, ჭაობებში რომ კოლოა, იმაზე მეტი.

— მაგასაც ვნახავთ.

მაგრამ პატარა თუთიყუშივით მწვანე ბრინჯის არცთუ ისე მაღალი ღერობი გულს უკენწლავდა ნიო კამილო ფრანკოს (რომელსაც ლერწმისაგან ნახადი არყის სიყვარულისათვის ტუჩა შეარქვეს). არ ფიქრობდა ის ამ წუთას არც ხეხილის ბალზე, ფაცხის უკან საამოდ რომ შრიალებდა; არც ქათმებზე, რომლებიც საქათმეში კრიახობდნენ, ჭიალუასა და სიმინდის მარცვალს კენკავდნენ; არც იხვებზე, გუბექებსა და არხებში რომ ყვინთავდნენ. არ ფიქრობდა იგი გასუქებულ ჯიშიან ღორებზე, რომლებიც იმ ღლეს ელოდნენ, როცა ბასრი დანა სამუდამოდ გადაწყვეტდა მათ ბედის. არ ფიქრობდა ამ წუთას არც ხბოებზე, რომლებიც ძროხებს ეჭიქვინებიან და ხანიეროს *თოთო ნაყარს ტკვერავენ.

თუ ეტყოდით: „ნიო კამილო! ოქვენი სახლი ინგრევა...“ ის გიპასუ-ხებდით: „გაუშვი, დაინგრეს“.

და სახეზე გაურჩევეველი გამომეტყველება ეხატებოდა — მორჩილი, სევდიანი, გულგრილი.

დიდი ხინის წინათ დონ ფრანკო ხომ ენერგიული ადამიანი იყო. ძლიერი, ტყის ბამბუკივით მოუდრეკელი. სიბერე კარგა ხანია წამოეპარა დონ ფრანკოს. ის ყოველდღიურად, შეუცოვრად ებრძოდა მას, და როცა ორ-მოცდაათმა მიუკაცუნა, იარალი დაყარა.

წინათ ბევრი ფათერაკი შეემთხვა მას, მაგრამ არასოდეს ტრაბახობდა.

დონ ფრანკო კატარამის ახლოს დაიბადა. მისი მშობლები პეონები იყნენ, წინაპრები კი ყმები. ისინი, რომ იტყვიან, სულს შიათრევდნენ, მთელი ცხოვრება ერთდაიგივე ბატონს, საგვარეულო მამულის მფლობელს ემსახურებოდნენ.

ნიო კამილომ თდითგანვე ტანჯული გვარის პირქუში ტრალიცია გა-აგრძელა.

— თითქმის აკვნიდან დავიწყე მუშაობა თეთრ ბატონ მორეიროს-თან.

მაგდალენაზე რომ არ დაქორწინებულიყო, ტყეში წავიდა.

— მე მაგდალენა მიყვარდა. ლამაზი იყო! ჩვენ ყველაფერი მოლაპარაკებული გვქონდა, ქორწილს ჩემი დაბადების ღლეს ვიხდიდით... მაგრამ ბატონმა დამასწრო... — ნიო კამილო ამის გახსენებაზეც კი მძიმედ ხვენშოდა... გახსენებაზეც კი! — დამასწრო და ცოდვის დაფარვა შემომთავაზა. არ დავთანხმდი. მაგდალენა ტიროდა... მე კი უფრო მეტად მიყვარდა, უფრო მეტად... მაგრამ პატრონმა დამასწრო...

* ხანიერო — მარცვლოვანი მცენარე, რომელიც უფრო მეტად საქონლის საკვებად იხმარდება.

დონ ფრანკოს ხმა ხრინწიანად და ნაღვლიანად ელერდა. თუ ვინძჭებულმოდგინედ დაკვირდებოდა, მის რუხ თვალებში შორეულ გამოსახულებას გაარჩევდა — ბედისაგან საღლაც მიგდებული გლეხი გოგონას შავვრემან სახეს.

ამ სიყვარულის ისტორია თავისთავად ნაღვლიან იდილიას წარმოადგენს. ის, რაღა თქმა უნდა, სიუჟეტად გამოადგება ქალაქის რომელიმე მელექესის, — მკითხველთა საყურადღებოდ დამახინჯებულ სახეს შემოგვთავაზებს, მოვლენებს სენიორ მორეირას თვალით შეხედავს: ყვითელი-მომწვანო ველი... ცისფერი ცა... სიყვარული ანთებს გულებს... გამარჯვებულის მბრძანებლური ხელი იმორჩილებს გლეხ გოგონას. ამ დროს ტყეში იცინის პანი, ან რომელიმე მითოლოგიური არსება....

პირქუშ ტყეში, რომელმაც მაგდალენას მომხიბლავი სიქალწულის სანაცვლოდ, დონ ფრანკოს პოეტების მიერ მოგონილი სიქალწულე აჩუქა. ბევრი რამ გადახდა. ტყემ გადაუშალა თავისი იდუმალება, მცენარეთა სამყაროს სასწაულები. მან შეიცნო სამყურნალო და შხამიანი ბალახები, ხეები. რომლებიც წყლისაკენ გვიჩვენებენ გზას, ყაჩალებს აშინებენ, აღრითხობენ ავსულებსა და ყოველივე უწმინდურს, უჩვენებენ, საღ არის ჩამარხული განძი. მან შეისწავლა მხეცების ზე-ჩვეულებანი, ზღაპრული სასწაულები მისთვის გამოცანას აღარ წარმოადგენდა.

— ყველაფერი ეს გამომადგა. სულელურს არაფერს ვაკეთებდი. გულმოდგინე ქრისტიანი ვარ, მონა ღვთისა.

მის მორწმუნეობას დასცინოდნენ.

— რა მორწმუნე ხარ, დონ ტუჩა!

ამ დროს მისი მორწმუნეობა ფანატიზმს ესაზღვრებოდა, ყველაფერი ღვთის წყალობად მიაჩნდა.

— წმინდაო ანდრია! ჰქენი ისე, რომ ჩემი ბრინჯი სწრაფად დამწიფდეს!.. წმინდაო ანა! მომეცი ძროხა!.. წმინდაო ბარბარა! მოვიდეს წვიმა! წმინდაო იოანე! აგვარიდე წყალდიდობა!..

მაგრამ გონს მოსვლის შემდეგ ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სასწაული, რომელსაც წმინდანებს შესთხოვდა, ახლომოლა.

თავის ფილოსოფიურ სისტემას გამონათქვამების სახით აყალიბებდა:

— ღვთისა გჯეროდეს, მაგრამ თვითონაც მარჯვედ იყავი... თუ წყალში ჩავარდე, ნაპირისაკენ გასცურე... დიღხანს ნადები ქვის ქვეშ წყალი არ გეღინება.

და იცინოდა ცივად.

ამბობენ, ტყიდან მაშინ გამოვიდა, როცა საშიშროებამ გაიარა, როცა ბატონს მისი ურჩიბა გადავაიწყდა.

— და მდინარე ვინსესის ნაპირთან დავსახლდი, სწორედ იმ დაბლობში.

— კი მაგრამ, ტუჩა, მორეირასთან რატომ არ დაბრუნდი?

- ზოგი ამბობდა, თითქოს ბატონის დანახვა არ მინდოდა, შოგოუცემა
— მაგდალენასი.
- თვითონ რას ფიქრობდი?
- არც რას. უკეთესია გავჩუმდები. არც ჰოს გეტყვი, არც არას.
- მან ეჩარისების ასიენდაში დღიური სამუშაო აიღო და სანაპირო ზოლში მიწის პატარა ნაკვეთის სანახევროდ დამუშავება დაიწყო.
- აქ გამიმართლა, კარმილამო შევიძინე... აქ დავჭირწინდი, მაგრამ ცოლი მომიყვდა... აქ დაიბადა ჩემი გოგონა კარმენი. მას თუთის ნაყოფი დაარქვეს, მუქი სახის კანის გამო. აქ გადაყვა იგი მუცელს და ნუგეშალ ერთი ციცქნა არსება დამიტოვა. აქ გაიზარდა მარტა. მის გარდა აღარავინ მყავს ამქვეყნალ.
- მას სული არ ენანებოდა პატარა მარტასთვის. როცა დონ ფრანკო უელიდა ბავშვს, ის, „ზორბა მამაკაცი“, როგორც თვითონ ეძახდა თავის თავს, ქალს ემსგავსებოდა. ყოველ საღამოს, ძილის წინ, ფეხაკრეფით უახლოვდებოდა საწოლს, რომელშიც შვილიშვილს ეძინა, ცოტა ხანს უყურებდა, მერე მზრუნველობით აფარებდა ჩითის ზეწარს, კოლოს რომ არ დაეგბინა. და ზეაწეული კოერიანი ხელით პირვარს სახავდა...
- * * *
- რაღა თქმა უნდა, დონ ფრანკოს შვილიშვილის ბედი აწუხებდა.
- ის კარგი იყო, სათნო. მას ესმოდა, რომ მისი მოქნილი სხეული გემრიელი ლუქმა იქნებოდა ყოველი მამაკაცისათვის. და ამის გამო კეთილი ცერბერი შიშობდა, ფრთხილობდა.
- მას სწადდა, რაც შეიძლება მალე გაეთხოვებინა. და ამოურჩია კიდეც საქმრო. ქორწილს წყალდიდობის დაწყებამდე გადაიხდიდნენ.
- და მაინც არ ქონდა გული საგულეს...
- მარტას საქმრო, ხუან პუენტე, ღლიურად მუშაობდა ეჩარისების ასიენდის მახლობლად. ის არ იყო გლეხი, ქალაქიდან მოვიდა. ადრე რკინიგზაზე მუშაობდა ელოი-ალფაროში, მაგრამ აგიტაციისათვის გაათავისუფლეს.
- მოხუცს უყვარდა ხუან პუენტესთან ლაყბობა. განსაკუთრებული ინტერესით უსმენდა, როცა იგი სოციალურ საკითხებს ეხებოდა. მოხუცი გლეხის მოქანცულ წარმოდგენაში იგი იდუმალ შორეთს აღებდა. როცა ხუან პუენტე მუშებისა და გლეხების მოთხოვნილებებზე ლაპარაკობდა, დონ ფრანკოს მისი ესმოდა და ფიქრები ეძალებოდა... ყველაფერს ვერ ითვისებდა, მაგრამ დაბეჭითებით ცდილობდა გაეგო... რაზეც ხუან პუენტე ელაპარაკებოდა, უნებურად აღრინდელ ცნებებში ერეოდა და ებნეოდა.

თავში უტრიალებდა ცალკეული ფრაზები და გამოთქმები: „სოდენ ლისტური რევოლუცია“... „ლენინი — ახალი რელიგიის უდიდესი წმინდანი“... „პროლეტარიატის დიქტატურა“... „მხოლოდ გლეხებსა და მუშებს აქვთ ღრმად შეგნებული საგანგებო გარდაქმნების აუცილებლობა“...

„ლენინი... ლენინი... არ არის უფრო დიდი ადამიანი მთელ მსოფლიოში. ალარავინ არ არის საჭირო, ლენინის გარდა“...

„ლენინი... ლენინი... ლენინი...“

და თანდათანობით დონ ფრანკოს თავისი საკუთარი, გულუბრყვილო გლეხურ რწმენაზე აგებული წარმოდგენა ჩამოუყალიბდა ვლადიმერ ილიჩზე.

ერთხელ ხუან პუენტემ უურნალი აჩვენა მას, საღაც ულიანოვის პორტრეტი იყო.

დონ ფრანკომ ამოჭრა ეს სურათი და უყოყმანოდ დაკიდა ქრისტიანული წმინდანების გვერდით. ნავთის ლამპა მქრქალად ანათებდა საკუროხეველს, ახლა კი ახალი წმინდანი გააცისკროვნა და იმ დღიდან მასზეც დაიწყო ლოცვა მოხუცმა.

ნიო ფრანკოს ურყევად სწამდა, რომ თუ ბატონი დაუწყებდა შევიწროვებას, ლენინს შეეძლო სასწაულით ეხსნა იგი.

და შემთხვევამაც არ დააყოვნა:

„თეთრეანიანი“, ბატონ დიონისოს ბიჭი, ყოველწუთას ნიო ფრანკოს სახლის ახლომახლო დაწრიალებდა.

— ეს ჩიტუნა, აյ რომ ტრიალებს, რაღაც არ მომწონს, — თავის-თვის ლაპარაკობდა მოხუცი, — ჩიტუნა ნაღავლს უთვალთვალებს.

გაბუამ იცოდა, რომ ჩიტუნა მის შვილიშვილს კარგს არ უქადა.

— იგი ისეთივეა, როგორც ის, ზუსტიად ისეთი. თეთრები ყველა ერთნაირია. ყველანი ერთი ცომისაგან არიან გამომცხვრი.

მოხუცს ეშინოდა. მის შვილიშვილს იგივე არ დამართოდა, რაც მაგდალენას, და თავისი შიში ხუან პუენტეს გაუზიარა:

— მისმინე, ხუან პუენტე: მე მიყვარხარ შენ, მართალს გეუბნები, მიყვარხარ და რადგან მიყვარხარ, ერთი რამ უნდა გითხრა...

— რაშია საქმე, დონ ფრანკო?

— ახალგაზრდა ეჩარისი რაღაც არ მომწონს...

— რატომ?

— მარტას შორიახლო წრიალებს. თავისი უნდა გაიტანოს.

— მართლა?

— ღმერთია მოწამე. მე ხომ ვხედავ.

— ა, აი თურმე რაშია საქმე!

ხუან პუენტე ჩქარა დარწმუნდა ამაში.

— ამ ჩიტს მე ვასწავლი ჰქუას, ით ნახავთ, — თქვა მან, — მეტად გადასცემა როგორ უნდა მოებყრო მათ.

დონ ფრანკოს უნდობლად გაეღიმა.

სხვათა შორის, ცოტა ხნის შემდეგ „თეორეტიკიანმა“ ეჩარისმა „ალფა მოხსნა“.

ის უკვე აღარ დანავარდობდა თავისი მდიდრულად ალკაზმული ჯიშიანი ბედაურით დონ ტუჩას სახლის გარშემო, სულ ცოტა ხნის წინაათ კი ხშირად დასეირნობდა აქ, სულ არ დარდობდა იმას, რომ ცხენი ფლოქვებით თელავდა ნათესს.

მალე ასიენდაში ხმა დაირჩა: ახალგაზრდა ეჩარისი გუაკილში მიღის, იქიდან კი ევროპაშიო.

ერთ საღამოს დონ ფრანკომ, რომელიც ქოხის სახურავზე ხუან პუერტესთან საუბრობდა, სანტერესო თემაზე ჩამოაგდო სიტყვა:

— ხუან პუერტე, მაინც როგორ მოახერხე იმ ვაჟბატონის გაპანლურება?

— ძალიან უბრალოდ. როგორდაც ვხვდები, როცა იგი ყავის პლანტაციიდან ბრუნდება, და ვეუბნები: „მისმინე, ახალგაზრდავ! თქვენ მარტის ეარშიყებით, მართალია? მაგრამ საქმე იმაშია, რომ მალე მარტაზე უნდა დავქორწინდე, და თუ გზაზე ჭირვით გადამეღობე, მოგდავ. გასაგებია? ჩემთვის ეს სასიამოვნო იქნება თუ არა, ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარი ისაა — მე ეს დანა იმისთვის გავლესე. რომ ტყავი გაგაძროთ... აბა, მოუსცი!

მე მას მხოლოდ დანა დავანახე.

— იმან რა გიპასუხა, „თეორეტიკიანმა“?

— გაფითრდა და ენის ბორძივით შეეცადა აეხსნა, რომ მე ვცდები. რომ მას არც ქონია ავი განზრახვა, რომ დიდი ხანია ემზადება შორეული მოგზაურობისათვის, მაგრამ საბოლოოდ რომ დავწყნარდე, ის დაოქმულ დროზე ადრე გაემგზავრება... ამაზე კი მე ვუპასუხე: „გაემგზავრე, ახალგაზრდავ, ოორებ უფრო შორს გაისტუმრებ, უფრო შორს!...“

მე ხომ კარგად ვიცი, როგორ უნდა მოექცე ამ მშიშარა ბურუუბს! ვიცი როგორ უნდა მოექცე!

— აი თურმე რაშია საქმე!

დონ ფრანკოს მეტი აღარაფერი უკითხავს ხუან პუერტესთვის. იგი ქოხში შევიდა, შვილიშვილს ალერსით გადაუსვა თავზე ხელი. შვილიშვილს, რომელიც საკურთხეველთან იჯდა და საქორწინო კაბას იკერავდა. მოხუცმა ლენინის სურათთან სანთელი აანთო. მერე ისევ ავიდა ქოხის სახურავზე, სადაც ხუან პუერტე უცდიდა.

დონ ფრანგომ ჭაბუქს მკლავზე წაავლო ხელი და ყურში წასჩურ-
ჩულა:

— მომისმინე, ხუან პუენტე! ერთი რაღაც უნდა გითხრა...

— რა?

— ის, რომ „თეთრკანიანი“ ეჩარისი გაემგზავრა, გაქრა...

— მერე?

— ეს სასწაული ლენინმა მოახდინა!

თვალი დაბალ, მოლრუბლულ ცას გაუშტერა, სუსტი ხმა დაეძაბა და
მოუთმენლად წამოიძახა:

— გაუმარჯოს წმინდა ლენინს!

ამ წუთას მდინარეზე ნიავმა გაირბინა, და მოხუცის წამოძახილს
ფოთლების შრიალი გამოეხმაურა...

ესპანურიდან თარგმნა გოჩა არჩევამი.



ქრისტი და კულიტურის

შოთა რეზიდე

ლენინი ლიტერატურის შესახებ

თავის ერთ-ერთ მოგონებაში ნ. კ. კრუპსკაია წერდა: „ამხანაგ-მა, რომელმაც პირველად გამაცნო ვლადიმერ ილიას ძე, მითხრა, რომ იგი სწავლული კაცია, კითხულობს მარტოოდენ მეცნიერულ წიგნებს, თავის სიცოცხლეში არც ერთი რომანი არ წაუკითხავს, არასდროს ლექსებს არ კითხულობს“. არათუ მაშინ, დღესაც კი ზოგიერთს სწავლულ კაცზე ისეთი წარმოდგენა აქვს. თითქოს იგი დროს ტყუილ-უბრალოდ არ კარგავს რომანებისა და ლექსების კითხვით. ამავე დროს ცნობილია, რომ ყველა ჭეშმარიტ მეცნიერს გატაცებით უყვარს ლიტერატურა და ხელოვნება, კიდევ მეტი, ზოგიერთი მათგანი თვითონაც ქმნის მხატვრულ ნაწარმოებებს.

ამხანაგი, რომელმაც ნ. კ. კრუპსკაიას გაუცნო ვ. ი. ლენინი, ერთი იმათგანი იყო, ვისაც არ ესმის

მხატვრული ლიტერატურის უდიდესი როლი როგორც ადამიანის პირად ცხოვრებაში, ისე მასების რევოლუციურ მოძრაობაში და ეგონა, ლენინს განადიდებდა მოსაუბრის ოვალში, ოუკი ეტყოდა, რომანებსა და ლექსებს ახლოსაც არ ეკარება, „მარტოოდენ მეცნიერულ წიგნებს“ კითხულობსო. სავსებით ბუნებრივია, ნ. კ. კრუპსკაია გააოცა ამხანაგის ნათქვამ-მა, მას ვერც კი წარმოედგინა. რომ არის ადამიანი, რომელსაც სრულებით არ აინტერესებს მხატვრული ლიტერატურა და „არა-სოდეს ხელში არ აულია წიგნი, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ რითი ცხოვრობენ ადამიანები“. უმდიდრეს მემუარულ ლიტერატურაში, რომელიც ვ. ი. ლენინის ნათესავებმა, მეგობრებმა, თანამებრძოლებმა დაგვიტოვეს, ხაზგასმულია, რომ დიდი ბელადი ჭაბუკობიდანვე განსაკუთრებულ

ინტერესს იჩენდა მხატვრული ლიტერატურისადმი, კლასიკოსების თხზულებებთან ერთად ყურადღებით ეცნობოდა ახალ ბელეტრისტულ ნაწარმოებებსაც. ნ. კ. კრუპსკაია გადმოგვცემს, რომ მხატვრულ ლიტერატურას ვ. ი. ლენინი კითხულობდა გადასახლებაშიც, ციმბირშიც და მის საწოლთან ჰეგელის გვერდით ეწყო პუშკინი, ლერმონტოვი, ნეკრასოვი, გოეთეს „ფაუსტი“ გერმანულ ენაზე და ჰაინრიხ ლექსების ტომი. ძლიერ უყვარდა ლენინს აგრეთვე ჩერნიშევსკი, გერცენი, პისარევი. რამდენიმეჯერ გადაუკითხავს ტურგენევი და, საერთოდ, ჩინებულად იცნობდა როგორც რუსულ, ისე მსოფლიო ლიტერატურას.

მაგრამ ლენინი არა მარტო კითხულობდა მხატვრულ ლიტერატურას, არამედ ფართოდ და უნარიანად იყენებდა თავის შრომებში სხვადასხვა მხატვრულ სახესა და ციტატას, უმთავრესად ამათუ იმ დებულების ან პირვენების ილუსტრაცია - დახასიათებისათვის. დადგენილია, რომ ლენინის თხზულებებში გვხვდება ათასამდე ლიტერატურული ციტატა, რომლებიც ძლიერ ხშირად შეიცავენ ცალკეული მწერლებისა თუ მათი ნაწარმოებების ღრმა იდეურ-ესთეტიკურ შეფასებას, აშუქებენ უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ პრობლემებს. თავისი ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები ლენინმა გადმოგვცა სპეციალურ სტატიებ-

შიც, რომლებიც მიუძღვნა ლეგტოლსტოის, გერცენსა და სხვა მწერლებს.

თავისთავად ცხადია, ლენინს ლიტერატურულ - ესთეტიკურ რი შეხედულებები გამომდინარეობდა მისი რევოლუციური მსოფლი მხედველობიდან, მიმართული იყო მარქსიზმის მტრების წინააღმდეგ და ემსახურებოდა მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლას, მისი დიადი მსოფლიოსტორიული მისიის განხორციელებას. მათ დღესაც არ დაუკარგავთ ცხოველმყოფელობა და წარმოადგენენ საბჭოთა ესთეტიკისა და ლიტერატურული კრიტიკის თეორიულ საფუძველს.

ლიტერატურული პროცესების შესწავლის, ანალიზისა და განხოგადებისათვის, ისევე როგორც რეალიზმის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ასახვის თეორიას, რომელიც ლენინმა ჩამოაყალიბა თავის გენიალურ ფილოსოფიურ ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიკიზმი“. ასახვის ლენინური თეორია მთლიანად ეყყარება მარქსისტულ გნოსეოლოგიას და კლასიკური სიცხადით გვიჩვენებს, რომ „ჩვენი ცნობიერება მხოლოდ სახე ა გარეგანი სამყაროსი, და თავისთავად გასაგებია, რომ ასახვას არ შეუძლია ასახულის დამოუკიდებლად იარსებოს, მაგრამ ასახული არსებობს ამსახველის დამოუკიდებლად“. ეს დებულება ლახვარს სცემს იღეალისტურ-



სუბიექტივისტურ ესთეტიკურ კონცეფციას და ცხადყოფს, რომ ხელოვნების წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ სინამდვილე და ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში აირეკლება, ასახება ცხოვრება, მისი მოვლენები.

რა თქმა უნდა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ობიექტი უშუალოდ ირეკლებოდეს და წარმოგვიდგებოდეს ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში. შემეცნების პროცესი რთულია და გულისხმობს არა მარტო ობიექტის, არამედ სუბიექტის აქტიურობასაც და შეუძლებელია დავამცოროთ რომელიმე მათგანის როლი და მნიშვნელობა. ამიტომ იყო, რომ ლენინი, ხახს უსვამდა რა ობიექტური სამყაროს დამოუკიდებლობას სუბიექტისაგან, იქვე მიუთითებდა, რომ ასახვა „არ არ ის უბრალო, უშუალო, სარეკისებურ-მკვდარი აქტი, არამედ რთული, გაორებული, ზიგზაგისებური აქტი, რომელიც თავის თავში შეიცავს ცხოვრებისაგან ფანტაზიის გაფრენის შესაძლებლობას“. და აქ ჩნდება პრაქტიკის ძალა. თუ რამდენად სწორია ჩვენი ცოდნა, სწორად ასახა თუ არა ჩვენს ცნობიერებაში ობიექტური სამყარო, ამის შემოწმება შეიძლება მხოლოდ პრაქტიკით. მაშასადამე, პრაქტიკა თეორიის კრიტერიუმია.

ლიტერატურა და ხელოვნება ობიექტური, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული სინამდვილის ასახვის, მისი გადმოცემის ერთ-

ერთი ყველაზე საინტერესო და აქტიური ფორმაა. მისი საეციფიზკა ის არის. რომ სინამდვილეს ასახვას და გადმოგვცემს მხატვრული სახეების მეშვეობით. ცხოვრების მოვლენებს რომ აღწერს, მწერალი გვაცნობს თავის დამოკიდებულებასაც ამ მოვლენებისადმი და გვეხმარება ღრმად ჩავწედეთ აღამიანთა ხასიათებს, საზოგადოებრივ ურთიერთობას, გავერკვეთ მიმდინარე პროცესებში და გამოვიტანოთ სწორი დასკვნები.

ამგარად, ასახვის ლენინური თეორია თავისი არსით ღრმად მატერიალისტურია და ქვას ქვაზე არ ტოვებს ლიტერატურის როგორც იდეალისტური, ისე ფორმალისტურ-ვულგარული გაებისაგან. იგი ცხადყოფს, რომ ლიტერატურის წყარო სინამდვილეა და წარმოადგენს ამ სინამდვილის ასახვის სპეციფიკურ, მხატვრულ ფორმას, ამასთან მწერალი პასიურად კი არ ჭირებს მოვლენებს, არამედ აქტიურად აღიქვამს მათ, გვიჩვენებს თავის პოზიციას, დამკიდებულებას საზოგადოებრივი ურთიერთობისა და ადამიანებისადმი. სინამდვილის მხატვრული ასახვის ჭეშმარიტება მოწმდება პრაქტიკით.

ლენინური ასახვის თეორიიდან გამომდინარეობს უმნიშვნელოვანესი ესთეტიკური დებულება, რომ ლიტერატურა არის ობიექტური სამყაროს ასახვის ფორმაც და მისი შეცვლის, გარდაქმნის საშუალებაც. მწერალი ყო-

ველთვის ტენდენციურია, ყოველთვის დგას გარკვეულ კლასობრივ, პარტიულ პოზიციაზე. ცნობილ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ ლენინმა მხილა „შემოქმედების პასილუტური თავისუფლების“ სიყალბე და ფარისევლობა. „არ შეიძლება, — წერდა იგი, — საზოგადო თემი ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო. ბურუჟაზიული მწერლის, მხატვრის, მსახიობი ქალის თავისუფლება—ეს არის მხოლოდ შენილბული (ანდა ფარისევლურად ნიღაბაფარებული) დამოკიდებულება ფულის ქისისაგან, მოსყიდვისაგან. ხასობისაგან“.

ამავე სტატიაში ლენინმა ცხადყო, რომ არაკლასობრივი ლიტერატურა და ხელოვნება „შესაძლებელი იქნება მხოლოდ სოციალისტურ უკლასო საზოგადოებაში“ და, წინააღმდეგ ბურუჟაზიული ფარისევლური „უპარტიობის“ ლოზუნებისა, წამოაყენა და ყოველმხრივ დასაბუთა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი. „ეს პრინციპი. — განმარტავდა ლენინი, — მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ სოციალისტური პროლეტარიატისათვის ლიტერატურული საქმე არ შეიძლება პირთა თუ ჯგუფთა მოგების იარაღი იყოს, იგი საზოგადოდ არ შეიძლება ინდივიდუალური საქმე იყოს, საერთო პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებელი... ლიტერატუ-

რული საქმე უნდა გახდეს საერთაშორისო მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელიც ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ“.

ხაზს რომ უსვამდა ლიტერატურის პარტიულობის უცილებლობას, ლენინი ამავე დროს გვაფრთხილებდა, რომ შაბლონურად არ მოვკიდებოდით ლიტერატურულ საქმეს. „უდავო, ლიტერატურული საქმე ყველაზე ნაკლებ ემორჩილება მექანიკურ შეთანაბრებას, ნიველირებას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას. უდავოა ამ საქმეში უჟეველად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს... პროლეტარიატის პარტიული საქმის ლიტერატურული ნაწილი არ შეიძლება შაბლონურად გავაიგივოთ პროლეტარიატის პარტიული საქმის სხვა ნაწილებთან“.

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი დიდი ხანია გახდა ჩევნი მწერლების, საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობის სახელმძღვანელო პრინციპი. მან საშუალება მოგვცა შეგვექმნა ლიტერატურის ახალი იდეალი — მწერალი საკუთარი გულის კარნახით, შეგნებულად და თავისუფლად უერთებს თავის მხატვრულ ინდივიდუალობას პროლეტარიატის,



პარტიის იდეოლოგიას და ცხოვრების მოვლენებს გვიჩვენებს ამ იდეოლოგიის თვალსაზრისით. ამით ლიტერატურა ჩადგა ხალხის, მშრომელთა უფართოები მასების სამსახურში და გამოხატავს მათ სასიცოცხლო ინტერესებს.

ლიტერატურისა და მწერლებისადმი პარტიული მიდგომის მისაბაძი ნიმუშია ლენინის წერილები ლევ ტოლსტოიზე, მისი ლიტერატურული შენიშვნები. ცნობილია, რომ რუსული ლიტერატურის სიამაყის ლევ ტოლსტოის შემოქმედებას სულ სხვადასხვანაირად აფასებდნენ. ზოგს იგი მიაჩნდა „მონანიე აზნაურად“, ზოგი ფიქრობდა, რომ ტოლსტოის შემოქმედება — ეს არის „აზრის მოძრაობა“. სხვები კიდევ ცდილობონენ კველაფერი იეპნათ ფორმალისტური თვალსაზრისით. ლენინი იყო პირველი, ვინც გენიალური სიცხადით გააძნალიზა ტოლსტოის მთელი შემოქმედება და მეცნიერული სიზუსტით შეაფასა იგი როგორც უდიდესი რეალისტი მხატვარი, რომლის თხზულებებშიც დიდი შემოქმედებითი ძალით აისახა მთელი ეპოქა ოუსეთის განვითარებაში, რუსი გლეხობის იდეები და სულიერი განწყობილება. ამიტომაც უწოდა ლენინმა ლევ ტოლსტოის ოუსეთის რევოლუციის სარკე.

ლევ ტოლსტოის შემოქმედებისა და მისი ღვაწლის ასეთი დახასიათება ისევე უაღრესად ორიგინალური იყო, როგორიც მოულო-

დნელი. თითქოსდა რა საერთოდან უნდა ჰქონოდა გრაფ ლევ ტოლსტოის რევოლუციასთან, რომელიც მან „აშკარად ვერ გაიგო, რომელსაც მან აშკარად აარიდა თავი“ და რომელიც ქადაგებდა, რომ „ბოროტებას წინააღმდეგობა არ გაეწიოს“ ძალადობითო? მაგრამ საქმე ის იყო, რომ თვით რევოლუციაც რთულ მოვლენას წარმოადგენდა. „ჩვენი რევოლუცია, — შენიშნავდა ლენინი, — უაღრესად რთული მოვლენაა. მის უშუალო მომხდენთა და მონაწილეთა მასაში ბლომად არიან ისეთი სოციალური ელემენტები, რომლებსაც აგრეთვე აშკარად არ ესმოდათ, რა ხდებოდა და რომლებიც აგრეთვე თავს არიდებდნენ მოვლენათა მსვლელობით მათ წინაშე დასმულ ნამდვილ ისტორიულ ამოცანებს. და თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, მას თავის ნაწარმოებებში უნდა აესახა რევოლუციის თუნდაც ზოგიერთი არსებითი მხარე“.

ლევ ტოლსტოი მართლაც დღი, გენიალური მხატვარი იყო და არ შეეძლო არ აესახა რევოლუცია, არ ეჩვენებინა მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. წინააღმდეგურობა, რომელიც სრულიად აშკარაა ტოლსტოის ნაწარმოებებში, შეხედულებებში, მოძღვრებებში, სკოლაში, „ნამდვილი სარკეა იმ წინააღმდეგური პირობებისა, რომლებშიც ჩაყენებული იყო გლეხობის ისტორიული მოქმედება ჩვენს რევოლუციაში“.

ლენინი დიდად აფასებდა ტოლსტოის რეალიზმს, უკელა და უკველგვარი ნიღბის ჩამოგლეჭის უნარს, უბადლო მხატვრულ ოსტატობას.. „ამ გრაფამდე—უთქვაში ლენინს გორკისათვის, — ლიტერატურაში ნამდვილი გლეხი არ ყოფილა“. მისი დახასიათებით, ტოლსტოი იყო „გენიალური მხატვარი, რომელმაც მოგვცა არა მარტო რუსეთის ცხოვრების უბადლო სურათები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირველჩარისხოვანი ნაწარმოებნიც“. ლენინი ამაყობდა ტოლსტოის მხატვრული თხზულებებით და იგი მიაჩნდა ბუმბერაზ მწერლად, რომელსაც ძნელად თუ მოექებნება ბადალი. „ვინ შეიძლება მის გვერდით დავაყენოთ ევროპაში?“ — ჰეთხა ერთხელ ლენინმა გორკის და ამ კითხვას თვითონვე გასცა პასუხი: „არავინ“.

ტოლსტოისადმი მიძღვნილ სტატიებში ლენინი განსაკუთრებით აფასებდა მწერლის ფხიზელ რეალიზმს, მის უნარს დახატოს ცხოვრების მართალი სურათები, მოგვცეს მართალი ხასიათები. რეალიზმის უპირველესი ლირება ის არის, რომ იგი ტიპიზაციის შემწევით ხელოვანს საშუალებას აძლევს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, კლასების წარმომადგენლთა მოქმედება, ქცევა გვიჩვენოს არა როგორც მათი რაღაც განსაკუთრებული ინდივიდუალური თვისებების, არამედ როგორც განსაზღვრული საზოგადოებრივი პირობების შედეგი. როცა ტიპი-

ური ხასიათი ასახულია ტიპიური გარემოებაში, პერსონაჟის, ტიპის ქცევაში ვლინდება მარტო პიროვნების კი არა მთელი კლასის თვისებანი, მისწრაფებანი. სწორედ ეს განაპირობებს რეალისტური ლიტერატურის უდიდეს შემცნებითს ღირებულებას.

თავის ერთ-ერთ სტატიაში ლენინი წერდა: ..მთავარი აქ სწორედ სოციალური ტიპია და არა ცალკეულ პირთა თვისებები. ლაქია შეიძლება ფრიად პატიოსანი ადამიანი იყოს, თავისი ოჯახის სანიმუშო წევრი, საუცხოო მოქალაქე, მაგრამ მისი გარდუვალი ხვედრია ის, რომ ითვალთმაქციოს, რამდენადაც მისი პროფესიის ძირითადი ნიშანია იმ ბატონის ინტერესების შეერთება, რომლის მიმართ მან „იყისრა“ სამსახური „რწმენითა და ალალმართლობით“, იმ წრის ინტერესებთან, რომლიდანაც აქცავთ შინამოსამ-სახურენი“.

პოლიტიკურ ბრძოლაში, თავის იდეურ მოწინააღმდეგეთა და სახასიათებელად, ლენინი ძლიერ ხშირად იყენებდა რუსი კლასიკოსების — გოგოლის, სალტიკოვ-შჩედრინის, ტურგენევის, გრიბოედოვისა და სხვათა მიერ შექმნილ ტიპებს (ხლესტაკოვი, იუდუშკა გოლოვლიოვი, მოლჩალინი და სხვ.). რამდენადაც დიდია მწერალი, იმდენად უფრო სრულყოფილად, მთელი სიმძაფრით და სიმართლით ხატავს ტიპს, რომელიც ამის გამო სიცოცხლეს განაგრძობს მრავალი წლის შემდე-

გაც, აზალ, შეცვლილ ისტორიულ
პირობებშიც. ამის ერთი მქაფიო
მაგალითია მემამულე პენოჩკინის
მხატვრული სახე, რომელიც ტუ-
რგენევმა შექმნა „მონადირის წე-
რილებში“ და ლენინმა გამოიყენა
გრაფ გეილენის „პუმანურობის“
დასახასიათებელად. „ჩვენს წინა-
შეა, — წერდა ლენინი, პენოჩ-
კინის მხატვრულ სახეს რომ მოა-
გონებდა მკითხველს, — ცივილი-
ზებული, განათლებული, კულტუ-
რული მემამულე მოძყრობის
რბილი ფორმებით, ევროპული
ჰერიტი. მემამულე ლვინით უმას-
პინძლდება სტუმარს და მაღალ
მატერიებზე საუბრობს. „ლვინ
რად არ გავითბია?“, — ეკითხება
იგი ლაქიას. ლაქია ღუმს და ფი-
ორდება. მემამულე ზარს რეკს და.
ხმის აუმაღლებლად, ეუბნება შე-
მოსულ მსახურს: „თელორეს შესა-
ხებ... გაეცით განკარგულება“.
გრაფ გეილენის „პუმანურობაც“,
დასძენდა ლენინი, სავსებით ასე-
თივე იყო. პენოჩკინის მსგავსად
უშუალოდ არც გეილენი შოლტა-
ვდა და აწიმებდა გლეხებს, ისიც
მხოლოდ შორიდან „სცემდა გან-
კარგულებას“. მაგრამ ამით არსი
არ იცვლება.

ცხოვრების სიმართლით ასახვა,
ადამიანთა ურთიერთობის, ხასია-
თების ჩვენება ტიბიურ გარემოე-
ბაში რეალიზმის ძალა და მხატვ-
რული შემოქმედების ღირებულე-
ბის საზომი, მისი კრიტერიუმია.
მაგრამ ხელვანს მხოლოდ მაშინ
შეუძლია შექმნას დიდი ნაწარმო-

ები, როცა იგი მოშინავე იღებებს და
დონეზე დგას, თავისი დროის
პროგრესული მოაზროვნეა. ნ. კ.
კრუპსკაია გადმოგვცემს, რომ
ლენინს გარდაც ალე ბამ და
ორი დღით ადრე წაუკითხა ჯეკ
ლონდონის მოთხოვნა „სიყვარუ-
ლი სიცოცხლისადმი“ და „ილიჩს
იგი ძალიან მოწონა“, მო-
ეწონა უპირველეს ყოვლი-
სა მაღალი იდეის გამო —
„იმარჯვებს ადამიანი — ცოცხალ-
მეცდარი, ნახევრადშე შლილი აღ-
წევს მიზანს“. მეორე დღეს ლენი-
ნისათვის წაუკითხავთ ამავე მწე-
რლის სხვა მოთხოვნა, რომელიც
გაუღლენთილი იყო ბურუუაზიული
მორალით. „ილიჩმა, — იგონებს
ნ. კ. კრუპსკაია, — გაიცინა და
ხელი ჩაიქნია“.

მაშისადმიერ. ლენინს არ აკმაყო-
ფილებდა ნაწარმოები, რომელიც
მაღალ იდეას, მოშინავე შეხედუ-
ლებას არ გამოხატვადა. ილიჩის
საჯარო გამოსვლები, მისი ცხოვ-
რების სხვა ეპიზოდებიც, რომ-
ლებიც ნათესავებმა და თანამებრ-
ძოლებმა აგვიწერეს, სრულიად
უკველს ხდის, რომ თუ საქმე
არჩევაზე მიღებოდა, ლენინი
უპირატესობას აძლევდა შინაარსს
და არა ფორმას. ლენინის ლიტე-
რატურულ ინტერესებს რომ გვა-
ცნობს, ნ. კ. კრუპსკაია ერთ-ერთ
მოგონებაში წერს: „ყველაზე მე-
ტად პუმკინი უყვარდა. მაგრამ
მარტო ფორმას როდი აფასებდა
იგი. მაგალითად, მას უყვარდა
ჩერნიშევსკის რომანი „რა ვაკე-
თოთ?“ მისი ნაკლებმხატვრული

გულუბრყვილო ფორმის მიუხედავად“.

შინაარსს რომ უპირატესობას აძლევდა, ლენინი სრულიადაც არ ამცირებდა ფორმის მნიშვნელობას და არ უგულებელყოფდა მას. ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაწვდის დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი, რომელიც ხშირად ხვდებოდა ლენინს და ესაუბრებოდა ლიტერატურულ საყითხებზე. ა ერთი ადგილი გორკის მოგონებიდან: „ხაზგასმით და არაერთხელ აღუნიშნავს დემიან ბედნის მუშაობის სააგიტაციო მნიშვნელობა, მაგრამ იმასთანავე ამბობდა: ცოტა უხეშია. მყითხველს მიჰყვება უკან. საჭირო კია ცოტა წინ ყოფნა“.

ლენინი უდიდესი დიალექტიკონი იყო და, ცხადია, აუცილებლად თვლიდა შინაარსისა და ფორმის ერთიანობას, მაგრამ როცა პრაქტიკაში ისინი ასე თუ ისე შორდებოდნენ ერთმანეთს, უპირატესობას, როგორც ვთქვით, შინაარსს აძლევდა. ეს იმიტომ, რომ როგორც სამართლიანად შენიშნავდა ნ. კ. კრუპსკაია, ლიტერატურა „მისთვის ცხოვრების შეცნობის იარაღი იყო. და რაც უფრო სრულად, ყოველმხრივ ასახავდნენ მხატვრული ნაწარმოები ცხოვრებას, რაც უფრო მარტივი იყვნენ ისინი, მით უფრო აფასებდა მათ ილიჩი“. სრულად და ყოველმხრივად კი ცხოვრებას ასახავს მხოლოდ ის ნაწარმოები, სადაც მიღწეულია ფორმისა და შინაარსის ერთიანობა, სადაც

ეპოქის მოწინავე იდეები გადმოჰყოფილი შესაბამისი, სრულყოფილი მხატვრული ფორმით. ამიტომ მოსწონდა ლენინს პუშკინი. ტოლსტოი, ტურგენევი და სხვა კლასიკოსები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ლენინი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი და დაუცხრომლად ზრუნავდა იმისა თვის რომ მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების შედევრები ფართო მასების კუთვნილება გამხდარიყო. კაპიტალიზმის ერთ-ერთ დიდ დანაშაულად ილიჩი იმასაც თვლიდა, რომ იგი ხალხისათვის მიუწვდომელს ხდიდა ტოლსტოისა და შექსპირს, რაფიელსა და ბეთოვენს. ერთ-ერთ სტატიაში ტოლსტოიზე, რომელიც რევოლუციამდე დაწერა, ლენინი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ რუსეთშიც კი ტოლსტოი-მხატვარს მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობა იცნობდა და დაასკვნიდა: „იმისათვის, რომ მისი (ტოლსტოის — ვ. ქ.) ნაწარმოებები ნამდვილად გახდეს ყველას კუთვნილება, საჭიროა ბრძოლა და ბრძოლა ისეთი საზოგადოებრივი წყობილ ების წინააღმდეგ, რომელმაც მიღიონებსა და ასეულ მიღიონებს წილად არგუნა სიბნელე, დაბეჩავება, კატორლული შრომა და სიღატაკე, საჭიროა სოციალისტური გადატრიალება“.

და როცა ეს გადატრიალება ფა-



ქტი გახდა, ლენინმა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანებს ამოცანად დასახა ხალხისა და ხელოვნების დაახლოება. „ხელოვნება ეკუთვნის ხალხს. — უთქვამს ლენინს კლარა ცეტკინისათვის ერთ-ერთ საუბარში. — იგი თავისი უღრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების თვით შუაგულში უნდა მიდიოდეს. იგი გასაგები და საყვარელი უნდა იყოს მასებისათვის. იგი უნდა აერთიანებდეს ამ მასების გრძნობას, აზრს, ნებისყოფას, აღაგზნებდეს მათ“.

ხელოვნებისა და ხალხის ასეთი დაახლოებისათვის საჭირო იყო ორი პრობლემის გადაწყვეტა. — ჯერ ერთი, თვით ხელოვნების გამსჭვალვა ახალი შინაარსით, მისი ხალხურობის ამაღლება, დაახლოება ხალხთან. ახალ ხელოვნებას ნოვატორული როლი უნდა შეესრულებინა კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში.

მაგრამ „ახალი“ ლენინს სრულიადაც არ ესმოდა ისე, როგორც ზოგიერთ პროლეტკულტელს ან ყალბ ნოვატორს — როგორც „ძველის“ ხელალებითი უარყოფა. „რაც ლამაზია, — უთქვამს ილიჩ ერთ-ერთ საუბარში კლარა ცეტკინისათვის, — უნდა შევინარჩუნოთ, ნიმუშად გავიხდოთ იგი. დავეყრდნოთ მას, თუნდაც იგი „ძველი“ იყოს. რატომ უნდა შევაქციოთ ზურგი ჭეშმარიტად შვენიერს, უარი ვთქვათ მასზე,

როგორც შემდგომი განვითარებისა და კულტურული გამოსავალ პუნქტზე, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი „ძველია“? რატომ უნდა მოვიხაროთ ქედი ან-ლის წინაშე, როგორც ღმერთის წინაშე, რომელსაც უნდა დაეკუთვნოთ მხოლოდ იმიტომ, რომ „ეს ახალია“? უაზრობაა, სრული უაზრობაა“. ლენინი უარყოფითად ეკიდებოდა დასავლეთში გაბატონებულ მხატვრულ მოდას — ანტირეალიზმს და იგი მიაჩნდა ისეთ მოვლენად, რომელშიც „ბევრი თვალთმაჯურობა“ იყო. „მე არ ძალმის, — ეუბნებოდა იგი კლარა ცეტკინს, — ექსპრესიონიზმის, ფუტურიზმის, კუბიზმის და სხვა „იზმების“ ნაწარმოებნი მხატვრული გენიის უმაღლეს გამოხატულებად მივიჩნიო. მე ეს ნაწარმოებნი არ მესმის. მათგან არავითარ სიხარულს არ განვიდი.“

ფუტურიზმის ელემენტების სიჭარბე გახდა, როგორც ჩანს, იმის მიზეზი, რომ ლენინს არ მოსწონდა მაიაკოვსკის პოეზია. „მაიაკოვსკის, — გადმოგვცემს მაქსიმ გორკი, — უნდობლად და გულფიცხადაც კი ეკიდებოდა: — ყვირის, ივონებს რაღაცნაირ მრუდე სიტყვებს, და ყველაფერი მისი, ჩემი აზრით, ის არაა. რაც საჭიროა, და ნაკლებად გა-

საგებია, მთლად გაბნეულია. ძნელი საკითხავია, ნიჭიერია? ძალიანაც? ჰმ, ჰმ! ვნახოთ!“ მაგრამ მას შემდეგ, რაც მაიაკოვსკის პოეზია თანდათან დაიწმინდა, განთავისუფლდა ფუტურიზმის ელემენტებისაგან, ლენინი, კრუპსკაიას სიტყვით რომ ვთქვათ, „გაგულკეთილდა მაიაკოვსკისადმი“. ცნობილია, რომ ილიჩს ძალიან მოეწონა მაიაკოვსკის ლექსი „სხდომებსგადაყოლილნი“. თავის ერთ-ერთ სიტყვაში 1922 წელს ლენინმა თქვა: „გუშინ, „იზვესტიაში“ შემთხვევით წავიკითხე მაიაკოვსკის ლექსი პოლიტიკურ თემაზე. მე არ ვეკუთვნი მისი პოეტური ნიჭის თავიანისმცემლებს, თუმცა სავსებით ვაღიარებ ჩემს არაკომპეტენტურობას ამ დარგში. მაგრამ დიდი ხანია არ განმიცდია ასეთი სიამოვნება პოლიტიკური და ადმინისტრაციული აზრით. თავის ლექსში ის მწვავედ დასცინის სხდომებს და ქირდავს კომუნისტებს, რომ ისინი სულ სხდომობენ და გადაყოლილი არიან სხდომებს. არ ვიცი როგორაა საქმე პოეზიის მხრივ, მაგრამ რაც შეეხება პოლიტიკას, დანამდვილებით ვიტყვი, რომ ეს სავსებით სწორია“.

ბოლო წლებში ავადმყოფობისა და მოუცლელობის გამო

ლენინს ძლიერ ცოტა დროის განვითარებისათვის და ოვალს ველარ ადევნებდა ახალ მხატვრულ ფორმაციებს, მაგრამ მისი სახელმძღვანელო მითითებების განხორციელებამ, რაც პარტიის ერთი უდიდესი დამსახურებაა ჩვენი ხალხის წინაშე, უზრუნველყო ხელოვნების დამსახურება ხალხთან, მისი გამსჭვალვა ახალი, კომუნისტური იდეოლოგით, შინაარსით სოციალისტური, ფორმით კი ეროვნული კულტურის შექმნა.

ხალხისა და ხელოვნების დაახლოების მეორე აუცილებელ წინაპირობად ლენინს შიაჩინდა ბრძოლა წერა-კითხვის უცოდანარობის წინააღმდეგ, მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება, კულტურული რევოლუცია, რათა მუშებისა და გლეხების უფართოესი მასებისათვის მისაწვდომი გამხდარიყო კაცობრიობის ისეთი დიდი მონაპოვარი, როგორიცაა ლიტერატურა და ხელოვნება. კომუნისტურმა პარტიამ ეს ამოცანაც წარმატებით გადაჭრა. ღლეს ჩვენს ქვეყანაში ტოლსტოისა თუ ბალზაკს, გორკისა თუ შოლოხოვს მილიონობით მკითხველი პყავს, მუდამ საგსეა ხალხით ჩვენი საუკეთესო თეატრები და კინოთეა-

ტრები, საკონცერტო და საგა-
მოფენო დარბაზები. წიგნი, გა-
ზეთი, უურნალი, რაღიო, ტელე-
ვიზია მასებისათვის აუცილებე-
ლი სულიერი მოთხოვნილება გა-
ხდა.

დღეს, როცა მთელი პროგრე-
სული კაცობრიობა ზეიმით აღ-
ნიშნავს ვლადიმერ ილიას ძე
ლენინის დაბადების ასი წლის-
თავს, ჩვენ სიამაყით შეგვიძლია
ვთქვათ, რომ საბჭოთა ლიტერა-
ტურა და ხელოვნება ყველაზე
იდეური, ყველაზე მოწინავეა

მსოფლიოში და თავისი წვლილი
შეაქვს კომუნიზმის მშენებლო-
ბაში, პირნათლად ემსახურება
ხალხს, აკმაყოფილებს მის სუ-
ლიერ, ესოეტიკურ მოთხოვნი-
ლებას. საბჭოთა ლიტერატური-
სა და ხელოვნების მუშაკებს თა-
ვისი ღირსების საქმედ მიაჩნიათ
მუდამ ხალხთან იყონ, მასთან
ერთად იბრძოდნენ დიდი ლენი-
ნის იდეების განხორციელებისა-
თვის.



ნარილები

ც რ

ოთახ შევეძე

ლამაზი სიცოცხლე

მუხტერ ბოლქვაძის განსენება

ჩვენს მხარეში მაშინ თურ-
 წი ოკუპანტები და მათი დამქა-
 შები თარეშობდნენ. მაგრამ დი-
 ლი დღე როდი ეწერათ — წი-
 თელმა კავალერისტებმა უკვე
 გადმოლახეს თოვლიანი გოდერ-
 ძის უღელტეხილი და გზი ბა-
 თუმისაკენ აიღეს. მათ გზად შე-
 ეგება ზემო აჭარის მშრომელთა
 დელეგაცია და აღუთქვა, რომ
 მოსახლეობა ყოველმხრივ და-
 ხმარებას აღმოუჩენდა. დელე-
 გაციის წევრმა ხულოელმა შაია
 ბოლქვაძემ, რომელიც მოძებთა
 შორის რჩეულ კაცად ითვლებო-
 და, ლაშქრის მეთაურები ოჯახ-
 ხში მიიპატია. სტუმართაგან
 იყვნენ ქალებიც.

ამ სტუმარ-მასპინძლობას საი-
 ნტერესო ამბავი მოჰყვა.

სტუმრების მომსახურება შაიამ
 უმცროს რძალს მუხთერს დაავა-

ლა. ქალი საგონებელში ჩავარდა,
 უცხო პირებთან პირახდილი უნ-
 და შესულიყო. ასეთ საქციელს
 კი მას შარიათი უკრძალავდა.
 ცრემლმორეული მუხთერი შეე-
 ვედრა მეუღლეს, ჩაეგონებინა
 მამისათვის, რომ მას გადაეთქვა
 თავისი გადაწყვეტილება. მამა-
 შვილს თითქოს პირი შეუკრავ-
 თო, ქმარმა „შეწყალებაზე“ უა-
 რი უთხრა, მშობლის სიტყვას
 ვერ გადავალო... და ატირდა სა-
 ბრალო ქალი. ხანდაზმულ მეზო-
 ბელ ქალებს იგი შეეცოდათ. მი-
 უალერსეს და თან ანუგეშეს, ნუ
 ჯავრობ, ყველა ცოდვა-ბრალი
 შენი ქმრისა და მამამთილის კი-
 სერზე იქნება, ლმერთი შენ მო-
 გიტევებსო.

სადილობის დროც მოვიდა,
 დიასახლისებს უკვე მოქმზადე-
 ბინათ ყველაფერი.

ვის უნდა გაეშალა სუფრა? რა თქმა უნდა, მუხთერს. იგი ძალიან ღელავდა, ყელში მოწოლილ ბოლმას ებრძოდა, ყოყმანობდა. მისი სევდიანი თვალები შველას ითხოვდნენ. ეს შენიშნა ერთმა სტუმარმა ქალმა და უმალ მიეშველა: სწრაფად შეაჩერა ხელში ჭურჭელი და ანიშნა, გამოყევიო. ისიც მიჰყვა სტუმრის ნებას. სასტუმრო ოთახში დია-სახლისის გამოჩენისთანავე მამაკაცებმა საუბარი შეწყვიტეს და აივანზე გაიკრიფნენ. ციბრუტივით დატრიალდა მუხთერი. ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოაწმო. ოთახში კერძების საამო სურნელი დადგა.

მუხთერმა კუთხეში შენიშნა ლვინით სავსე ბოთლები. ქმრის გადმოცემით იცოდა, რომ მამამთილი ლვინოს ეტანებოდა. ამიტომაც იგი ხშირად დადიოდა „ბერძნის დუქანში“ და შინ მოვვიანებით ბრუნდებოდა. ახლა კი ლვინო სახლშიც მოუტანია. ცოდვა-მადლი დავიწყებიაო, გაიფიქრა და ტანში გააურუოლა. ეწყინა, თქმით კი ვერაფერი თქვა.

ოჯახის მამამთავარმა თვალი მოავლო სუფრას. რძალს დიასახლისობა მოუწონა და თავაზიანად მოუხმო სტუმრებს, მობრძანდითო. მამამთილის შექებით გათამამებული მუხთერი სტუმარ ქალებს გვერდით ამოუდგა და დარბაზიდან აღა გასულა, — უნდოდა გაეგო, მოეწონებოდათ თუ არა შისი ნახელავი.

შაია სუფრის თავში დაჭდა-დამაც სტუმრებს პურის გატეხვაც არ აცალა — უმალვე შესთავაზა მათ რუსი ხალხის, წითელი არმიისა და დიდი ლენინის სადლეგრძელო.

კიდევ ბევრი სადლეგრძელო დაილია.

გამხიარულდნენ სტუმარ-მას-პინძლები.

სიმღერა-ცეკვა გაჩაღდა.

მუხთერის სადლეგრძელოც შესვეს. სტუმართმოყვარე რძალს ქება-დიდებას ასხამდნენ და ისიც მადლობის ნიშნად ღიმილით მორცხვად თავს ხრიდა.

* * *

მუხთერისათვის დაუვიწყარი იყო ის დღე. გრძნობდა, რომ რაღაც ახალი მოხდა მის ცხოვრებაში. ოცნებობდა, ფიქრობდა, უხაროდა... მაგრამ სოფელში ჭორი დატრიალდა: შაიას ოჯახში შაითანმა დაიბუდა, მუხთერმა შარიათს უღალატა, პირახდილი ეჩვენა ქრისტიან მამაკაცებს და ამით მუსლიმანი ქალის წმინდა სახელი შეურაცხყო. სადლაც მოლაც აბზზღუნდა და... იბერებოდა ჭორის გუდა. ყოველივე ამან ცუდად იმოქმედა სათონ მუხთერზე, მაგრამ არ იმჩნევდა. ზოგჯერ მოფარებულში მარტოკა ჩამოჯდებოდა და ჩუმალ ქვითინებდა. ერთხელ შაია შემოესწრო მტირალ რძალს. გუმანით მიუხვდა და დაუყვავა:

— ჭორიკანებს ყურს ნუ უგდებ. შენ ისე მოიქეცი, როგორც

საჭირო იყო, ასეა გურიაში, იმ-
ერეთში. შენც ხომ ქართველი
ქალი ხარ. მალე მოვა ისეთი
დრო, როცა აქარელი ქალებიც
ისევე თავისუფალი იქნებიან,
როგორც ჩვენი ქრისტიანი დები.
ნუ იდარდებ ჩემო რძალო, ყვე-
ლა ჭორს წყალი წაიღებს!

* * *

საბჭოთა ხულისუფლების და-
მყარებას მშრომელი მოსახლეო-
ბა აღფრთოვანებით ხვდებოდა.
სამაზრო ცენტრებსა და სოფ-
ლებში იმართებოდა სახელდა-
ხელო მიტინგები.

„მარტში ხულოში გამართულ-
მა გრანდიოზულმა მიტინგ-
მა, — წერდა გაზეთი „იზ-
ვესტია“, — ერთს უ ლოვნად
მოიწონა მენევევიური დიქტა-
ტურის დამხობა და საბჭოთა
ხელისუფლების დამყარება. გლე-
ხებმა მოითხოვეს ძველი სახელმ-
წიფო აპარატის ძირფესვიანად
დასხვრევა და არჩევნების ჩა-
ტარება“ („იზვესტია“ 14 / IV,
1921 წ.).

აჭარის რევკომმა შექმნა ზე-
მო აჭარის რევკომი, რომელსაც
უნდა ეზრუნა საოლქო რევკომის
დადგენილებებისა და განკარგუ-
ლებების ცხოვრებაში გატარები-
სათვის, საბჭოთა ხელისუფლე-
ბის განმტკიცებისათვის. შეიქმ-
ნა აგრეთვე სათემო რევკომები
და დარიბთა კომიტეტები, გატა-
რდა მთელი რიგი ლონისძიებება.
სიძნელებს ქმნიდა კადრების
ნაკლებობა. ამის შესახებ გაზე-
თი „ტრუდოვორი ბატუმი“ წერ-
და: „ხულო განიცდის კადრე-

ბის მწვავე ნაკლებობას. ოემაღ მასკომებში არ არიან უპრალი
გადამწერებიც კი, რომ არაფე-
რი ვთქვათ გამოცდილ მღინე-
ბზე, საქმის მწარმოებლებზე და
ბულალტრებზე“ („ტრუდოვორი
ბათუმი“, № 121, 4/IV, 1922 წ.).

ამ პირობებში აჭარას და კერ-
ძოდ, ხულოს დიდი დახმარება
გაუწიეს დასავლეთ საქართ-
ველოს სხვადასხვა რაიონებიდან
ნებაყოფლობით ჩამოსულმა მა-
სწავლებლებმა და სხვა სპეცია-
ლისტებმა. გაიხსნა ქართული სკო-
ლები, კლუბები და ბიბლიოთე-
კები.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფ-
ლების დამყარებისთანავე დი-
დი ყურადღება მიექცა აჭარელ
ქალთა შორის მუშაობას. 1922
წლის 8 მარტს გაზეთი „კომუ-
ნისტი“ წერდა: „საბჭოთა ხელი-
სუფლების დამყარებისთანავე
რაიონულ კომიტეტებთან შეიქმ-
ნა საქალებო განყოფილებები
და კლუბ-კომუნები, რომელთა
ამოცანას შეადგენს მშრომელ
ქალთა შორის მუშაობის გაშლა;
მათი კულტურულ-პოლიტიკუ-
რი დონის ამაღლება და საბჭოთა
აღმშენებლობაში ფართოდ ჩა-
მა“.

პარტიის აჭარის საოლქო კო-
მიტეტი მაზრებში გზავნის ვომი-
ცდილ პედაგოგ ქალებს აჭარელ
ქალთა შორის მუშაობის გასაჩა-
ლებლად. ასეთი დავალებით ხუ-
ლოს მაზრაში ჩავიდა პედაგოგი
მინადორა თალაკვაძე.

მინადორამ იქ გაიცნო შაია,

ზომელიც მას მხარში ამოუდგა. ბალე შაია აირჩიეს სამაზრო აღ- მასრულებელი კომიტეტის თა- ვმჯდომარედ... შემდეგ ისინი ერ- თად სახავდნენ საჭირო ღონის- ძიებებს და ერთად იღვწოდნენ მათი განხორციელებისათვის.

ერთ დღეს მინადორა შაიას ოჯახში ეწვია. აჭარის მთიან სო- ფელში უჩადრო ქალი რომ ნახა, გაოცდა. იგი მუხთერს ჰკოცნიდა და ეხვეოდა, დიდი ხნის უნახავი დებივით მხურვალედ საუბრო- ბლნენ და გვიან ღამემდე თვალი არ მოუხუჭავთ. ამის შემდეგ მი- ნადორა შაიას ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. მუხთერმა მისგან ისწავლა წერა-კითხვა. მინადო- რას ინიციატივით სოფელ ყად- იოლებში (ახლანდელი განახლე- ბა) გაიხსნა წითელი კუთხე, რო- მელსაც სათავეში მუხთერი ჩაუ- ყენეს. მას ეხალისებოდა კიდეც ქალთა შორის მუშაობა: დებს უკითხავდა უურნალ-გაზეთებს, ურჩევდა ესწავლათ წერა-კითხვა და უკუეგლოთ ჩადრი. აკორდე- ონის დაკვრა და დამღერებაც ეხერხებოდა, სახელდახელო კო- ნცერტებსაც მართავდა. მის რჩე- ვა-დარიგებებს გულისურით უს- მენდნენ, აქებდნენ, ესიყვარულ- ებოდნენ.

1924 წელს მუხთერი დანიშნეს პარტიის ხულოს სამაზრო კომი- ტეტის ქალთა შორის მასობრი- ვი მუშაობის სექტორის ინსტ- რუქტორად. გამოუცდელი იყო და შიშობდა — იქნება თავი ვერ ვავართვა ამ მოვალეობას და ხელ-

მძღვანელთა წინაშე შევრცხულების მინადორამ დააიმედა, ნუ გეში- ნია, ყველაფერში მე დაგეხმარე- ბიო. ისინი ერთად იღვწოდნენ ქალთა გათვითცნობიერებისა და საზოგადოებრივ ასპარეზზე გა- მოყვანისათვის.

მუხთერი იყო პირველი ხულო- ელი ქალი, პარტიის რიგებში რომ შევიდა.

მუხთერის თხოვნით ხულოს ცენტრში გაიხსნა ქალთა კუთხე, რომელმაც მასობრივად მიიზიდა მახლობელი სოფლების ქალები და გოგონები. „მოწყობილია ქა- ლთა კუთხე, რომელსაც ამა წლის ბოლოს ეყოლება აჭარელ ქალთა წრე. — წერდა მუხთერი. — ისინი ისწავლიან წერა-კითხვასა და ჭრა- კერვას. ეს დიდი მიღწევა ხუ- ლოს მაზრაში, მაგრამ მარტო ამა- ზე არ უნდა გავჩერდეთ. ქალთა განთავისუფლება უფრო ფართ- ოდ უნდა ვაწარმოოთ. ეს კი შეი- ძლება მაშინ, თუ ამ დიდ საქმეს მხარს დაუჭერს აჭარისტანის ყველა მშრომელი განურჩევლად სქესისა. ქალებს კაცები უნდა და- ეხმარონ განთავისუფლებაში“ (გაზ. „ფუხარა“ № 30, 10/IV, 1921 წ.).

მუხთერი ცდილობდა არც ერთი ბავშვი არ დარჩენილიყო სკო- ლის გარეშე: ხვდებოდა მშობ- ლებს, ესაუბრებოდა მათ და ურ- ჩევდა გოგონებიც გაეგზავნათ სკოლაში. მისი თაოსნობით სო- ფელ დეკანაშვილებში ჩამოყალი- ბდა ქალთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელმაც სახელი გა-

ითქვა არა მარტო ხულოში, არა-
მედ მთელს რესპუბლიკაში.

ისლამისა და შარიათის მავნე
გადმონაშთების წინააღმდეგ
ბრძოლა ადვილი როდი იყო. აქ-
ტივისტ ქალებს ფარულად თუ აშ-
კარად მტრობდნენ ხოჯა-მოლები
და მათი დაქაშები, არ ერიდე-
ბოდნენ ძაგებას, ჭორს. მუხთერი
არ უშინდებოდა ამ სიძნელეებს,
იგი გაბედულად მიღიოდა არჩე-
ული გზით, მტკიცედ იცავდა ქა-
ლთა ინტერესებსა და უფლებე-
ბს, ებრძოდა ზოგიერთი უვიცი
მამაკაცის ბატონკაცურ გა-
მოხდომებს. მისი მოთხოვნით სო-
ფელ ყადიოლებში (განახლება)
იხსნება ქალის წინდების საქსო-
ვი სახელოსნო, რომელსაც სათა-
ვეში ჩაუყენეს ლეონინა გეგე-
ნავა. ქალები სწავლობდნენ აგ-
რეთვე წერა-კითხვასა და საოჯა-
ხო საქმეებს. სულ მოკლე ხანში
სამქროში მომუშვევე ქალები სა-
გრძნობლად გათვითცნობიერდ-
ნენ, ჩადრი გადააგდეს და მუხ-
თერს გვერდით ამოუდგნენ. საქ-
სოვი სახელოსნო თანდათან მნიშ-
ვნელოვნად გაფართოვდა და იგი
გადმოიტანეს რაიონულ ცენტრ-
ში.

1925 წელს მუხთერი აირჩი-
ეს აჭარისტანის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის წევ-
რად. იმავე წელს იგი ჩავიდა მო-
სკოვს, როგორც მუსლიმან ქალ-
თა სრულიად საკავშირო ყრილო-
ბის დელეგატი, პირადად შეხვდა
ნ. კრუპსკაიას და საუბარი ჰერნ-
და მასთან. ამ საუბარში თარჯიშ-

ნის მოვალეობას ასრულებდნეს სამოქადაგი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე
ა. ენუქიძე. ყრილობის დელეგა-
ტებმა ნახეს ვ. ი. ლენინის მავ-
ზოლეუმი და მოსკოვის ლირსშე-
სანიშნავი ადგილები.

აჭარის პარტიული ორგანიზა-
ციების ხელმძღვანელობით ფარ-
თოდ გაიშალა ბრძოლა ისლამის
გადმონაშთების წინააღმდეგ, გა-
მრავლდა წერა-კითხვის უცოდი-
ნარობის სალიკვიდაციო სკოლე-
ბი, გაფართოვდა კულტურულ-
საგანმანათლებლო დაწესებულე-
ბების. ქსელი... შემცირდა მედ-
ზრესებისა და ხოჯა-მოლების გა-
ვლენა, დღის წესრიგში დადგა ჩა-
დრის ახდა.

გაზეთი „კომუნისტი“ 1928 წლის
28 თებერვალს წერდა: „აჭარი-
სტანში საბჭოთა ხელისუფლე-
ბის არსებობის განმავლობაში
(7 წელი) უკანასკნელ ხანამდე
არც ერთხელ არ დასმულა ჩად-
რის მოხდის საკითხი, მხოლოდ
1928 წელს პარტიულ-კომკავში-
რული მასების უშუალო მონა-
წილეობით დადგა დღის წესრიგში
ეს აქტუალური საკითხი“.

1928 წლის 20 ივლისს, ხუ-
ლოში გაიმართა ხალხმრავალი
მიტინგი. მიტინგის მონაწილე
170 ქალიდან 120 ქალი შინ უჩ-
ადროდ დაბრუნდა.

1929 წლის თებერვალში ბათ-
უმის თეატრში გაიმართა აჭა-
რელ ქალთა პირველი ყრილობა.
ამ ყრილობის მუშაობაში მონა-
წილეობდა ფ. მახარაძე. მან თა-

ვის ღლიურში ჩაწერა: „ეს სრულიად განსაკუთრებული ყრილობა იყო. არ ჰგავდა არც ერთ ყრილობას, რომელსაც აქამდე შემთხვევა მქონდა დაგსწრებოდი. ეს განსაკუთრებული ხასიათი გამოიხატებოდა არა მარტო იმაში, რომ ეს იყო ქალების ყრილობა. ამ ყრილობაზე თავი მოიყარეს ისეთმა ქალებმა, რომელთაც აქამდე არა თუ მიუღიათ რაიმე მონაწილეობა რომელიმე ყრილობაში, არამედ, არც შეეძლოთ რომელსამე შექრებილობაში თავის გამოჩენა. იმათ დიდ უმრავლესობას არ ენახა ქალაქი, არ ენახა ოეატრი, კინო, ფაბრიკა, ქარხანა, ელექტროსინათლე. ეს ხალხი, როგორც ვთქვი, პირველად ესწრებოდა ყრილობას; ისინი ყრილობაზე გამოცხადდნენ თავიანთი ძუძუმწოვარა ბავშვებით და ეს უკანასკნელები ტიტინით და ურიამულით აძლევდნენ თავისებურ ელფერს ყრილობას“ (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის არქივი, ფ. 2914, საქმე 798).

ყრილობას ესწრებოდა ხულოს ქალთა მრავალრიცხოვანი დელეგაცია, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო მუხთერ ბოლქვაძე.

ამ ყრილობის შემდეგ უფრო მასობრივი ხასიათი მიეცა ჩადრის ახდას. იგი უნდა დაწყებულიყო ქ. ბათუმიდან, შემდეგ თანდათან განხორციელებულიყო ქობულეთში, ბათუმის გაზრაში,

ქედაში და ბოლოს ხულოს შემდეგ გრამ ხულოს სამაზრო პარტიული კომიტეტისა და აღმასკომის ხელმძღვანელთა მოთხოვნით ჩადრის ახდა დაიწყო ხულოდან. ამ საქმეში პირველი ღონისძიებების განხორციელების შედეგად ხულოში 550 ქალმა ითხადა ჩადრი. მაშინ ქალთა შორის დიდ მუშაობას ეწეოდნენ მოწინავე ქალები: ა. თალაკვაძე, ა. შაშიკაშვილი, მ. ბოლქვაძე, ნ. ჯიჯავაძე, ზ. შამილაძე, ა. ქიქავა და სხვები.

როგორც ითქვა, ხულოს წინდების საქსოვი სახელოსნო მნიშვნელოვნად გაფართოვდა და საჭირო გახდა მისი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება. არჩევანი ხვდა მუხთერ ბოლქვაძეს. 1931 წელს იგი ინიშნება ამ სახელოსნოს გამგედ და 1936 წლამდე უნარიანად ხელმძღვანელობს მას.

1934 წელს აქარის საოლქო პარტიულმა კონფერენციამ მუხთერ ბოლქვაძე საოლქო კომიტეტის წევრობის კანდიდატად აირჩია. 1936 წელს კი მას ხულოს რაიალმასკომის თავმჯდომარედ ირჩევენ. მუხთერმა შესანიშნავად გაართვა თავი ამ დიდ მოვალეობასაც.

1938 წელს მუხთერი ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზეა. მან ყველგან გამოამუღლავნა თავისი ნიჭი, ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა, უყვარდა ხალხი და ხალხსაც უყვარდა იგი, აფა-

სებდა ჩვენი პარტია და მთავრობა.

პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული, პირველი კომუნისტი ქალი ზემო აჭარიდან, აჭარელ ქალთა ამაგდარი და საყვარელი ადამიანი მუხტერ ბოლქვაძე გარდაიცვალა 65 წლის ასაკში, თავის მშობლიურ სოფელში.

ბევრი რამ სამახსოვრო დაუტოვა მშობლიურ მხარეს მუხტერმა. მისი გამოზრდილი ახალგაზრდები დღეს მოწინავეთა რიგებში დგანან: ზოგი მათგანი სოციალისტური შრომის გმირია ან დაჯილდოვებულია ორდენითა და მედლებით, ზოგი არჩეულია აჭარის და საქართველოს უმაღლესი საბჭოების დეპუტატებად.

მუხტერ ბოლქვაძე არა მარტო შესანიშნავი საზოგადო მოღვაწე, არამედ ლირსეული დედაც იყო. მან სამშობლოს აღუზარდა სამი შვილი და მრავალი შვილიშვილი. ალი მუსტაფის ძე ბოლქვა-

ძემ ის იყო დაამთავრა ხულოს პედაგოგიური ტექნიკუმი, რომ იმი დაიწყო. დედამ საყვარელ პირმშოს გზა დაულოცა და სამშობლოს დამცველთა რიგებში გაგზავნა. ალიმ ლირსეულად მოიხადა თავისი ვალი ქვეყნის წინაშე და მთავრობის ჯილდოებით მკერდდამშვენებული მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა. მერმე სწავლა გააგრძელა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. წარმატებით დაამთავრა და თანასოფლელთა ჯამბრთელობის დაცვის სამსახურში ჩადგა. მუხტერის უმცროსმა ვაჟმა უმაღლესი პედაგოგიური განათლება მიიღო. მუხტერის ასულმა თამარმა კი ხულოს პედაგოგიური სასწავლებელი დაამთავრა და ისიც საზოგადოებრივ საქმიანობაშია ჩაბმული.

ლირსეულმა დედამ ლირსეული შვილები დატოვა და ამითაც განიმტკიცა სახელოვანი საზოგადო მოღვაწე ქალის დაუვიწყარი სახელი.



გერაბ ხინიკაძე

საქართველოს სსრ
სახალხო არტისტი

დაუვიზუარი სცენური სახეები

ლიტერატურამ, რა თქმა უნდა, დაასწრო სცენას. ვ. ი. ლენინის სახე ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ 1917 წელს გამოჩნდა, როცა მწერალმა დავით სულიაშვილმა გატეთ „ალიონში“ გამოაქვეყნა მოგონებები „შვეიცარიიდან საქართველომდე (ემიგრანტის შთაბეჭდილებანი)“. იმავე პერიოდში დაისტამბა ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ივანე გომართელის ნარკვევი „ლენინი“. ავტორმა აქ ლენინი წარმოგვიდგინა როგორც დიდი პოლიტიკური ფიგურა.

ლენინის გარდაცვალების შედეგ მნიშვნელოვანი ნაწარმოებები გამოქვეყნდა ქართულ პრე-

საში მხატვრული ნარკვევების, ჩანახულის ნახატებისა და მოგონებების სახით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. ტოროშელიძის „ვ. ი. ლენინი“, ს. შანშიაშვილის „ლენინი ციურიხში“, კ. ლოლობერიძის „ულიანოვი“, ლ. ქიაჩელის „შეხვედრა ილიჩთან“, ს. ეულის „შეხვედრა ლენინთან“ და სხვ. ჩვენი მიზანი არ არის განვიხილოთ ქართულ ლიტერატურაში შექმნილი ნაწარმოებები, რომლებშიც ასახულია პროლეტარიატის დიდი ბელადის ცხოვრება და მოღვაწეობა. გვინდა მკითხველს მოვუთხროთ ლენინის სცენური სახის შექმნის თაობაზე, კერძოდ, ი. ჭავჭავაძის სახელბის ბათუმის სახელმწიფო თეატრში ნიჭიერი მსახიობების ისკუნდერ კაიკაციშვილისა, და შალვა ხორავას მიერ შექმნილ სახეებზე.

ქართულ მწერლობაში შალვა დადიანის პიესა „ნაპერწყლიდან“ პირველი სერიოზული დრამატული ნაწარმოებია, რომელშიც აისახა 1901-1902-1905 წლების ბათუმში, თბილისა და ტამერთოსში მომხდარი ნამდვილი ამბები. მოქმედ პირთა შორის გამოყვანილია ხალხთა დიდი ბელადი ლენინი და ახალგაზრდა სტალინი. ისინი ერთმანეთს პირველად ხვდებიან ფინეთში, ტამერთოსში პარტიულ კონფერენციაზე.

ეს პიესა საქართველოს ბევრ თეატრში დაიდგა. თბილისის რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრებში ლენინის დაუკიწყარი სცენური სახეები შექმნეს აკაკი ვასაძემ, ღიმიტრი მუავიამ, შავრო გომელაურმა და პიერ კობახიძემ. ბათუმის თეატრის სცენაზე პირველად ეს მისია წილად ხვდა ისკენდერ კაიკაციშვილს.

ბათუმის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა დიდი სიყვარულით მოჰკიდა ხელი ამ პიესის დადგმას და მაყურებელს უჩვენა ანსამბლურად მტკიცედ შეკრული, რეალისტური, ამაღლვებელი სპექტაკლი.

გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ 1950 წლის პირველი პრილის ნომერში საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი აკაკი ვასაძე წერდა: „განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ავალებდა ბათუმის სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელობას და მის ნიჭიერ კოლექტივს საბჭოთა სცენაზე სახელმოხვეჭილი პიესის დადგმა... თეატრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას არ უღალატნია არც ისტორიული სიმართლისათვის, არც მხატვრული სიმართლისათვის და შექმნა რეალისტური, დამაჯერებელი, საეტაპო სპექტაკლი, რომელსაც თავისი მხატვრული მნიშვნელობით გარკვეული წვლილი შეაქვს საერთოდ

საბჭოთა საქართველოს თეატრა-მუსიკალურაში.

მწყობრი ანსამბლი, მსახიობების გულწრფელი თამაში, რეჟისორის ტაქტი და მხატვრული ალლო, მხატვრული გაფორმება ამ სპექტაკლს საპროგრამო მნიშვნელობას ანიჭებს ბათუმის თეატრის კოლექტივის მომავალ შემოქმედებით მუშაობაში“.

პიესაში „ნაპერწყლიდან“ ლენინს მხოლოდ ერთ სურათში ვხედავთ, ტამერთორისის კონფერენციაზე, საღაც მას პირველად ხვდება სტალინი.

ი. ბ. სტალინი ასე იკონებს ამ შეხვედრას: „პირველად ლენინს 1905 წლის დეკემბერში შევხვდი ტამერთორისში (ფინეთში) ბოლშევკიების კონფერენციაზე. მე ვიმედოვნებდი, რომ შევხვდებოდი ჩვენი პარტიის მთის არწივს, დიდ ადამიანს, დიდს არა მარტო პოლიტიკურად, არამედ, თუ გნებავთ. ფიზიკურადაც, რაღაც ლენინი ჩემს წარმოდგენაში გოლიათად და წარმოსალეგ აღამიანად მეხატებოდა. როგორი იყო ჩემი იმედის გაცრუება, როდესაც დავინახე სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი, შუატანის კაცზე დაბალი, რომელიც არაფრით, სრულიად არაფრით არ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი მომაკვდავთაგან...“

როგორ გამიცრუებდა იმედი, როდესაც გავიგე, რომ ლენინი

კრებაზე დელეგატებზე უფრო ადრე მოსულა და, სადღაც კუთხეში მიმჯდარი, უბრალოდ საუბრობს, სავსებით უბრალოდ საუბრობს კონფერენციის სავსებით უბრალო დელეგატებთან. არ დავმალავ, ეს მაშინ ზოგიერთი აუცილებელი წესის ერთგვარ დარღვევად მეჩვენა.

მხოლოდ შემდგომ მივწვდი, რომ ლენინის ეს უბრალოება და თავმდაბლობა, ეს მისწრაფება — შეუმჩნეველი დარჩენილიყო, ანდა, ყოველ შემთხვევაში, თვალში არ ჩავარდნოდა ყველს და ამით თავისი მაღალი მდგომარეობისათვის ხაზი არ გაესვა, — ეს თვისება წარმოადგენს ლენინის, როგორც ახალი მასების ახალი ბელადის, კაცობრიობის ულრმესი „ქვედა ფე ნ ე ბ ი ს“, უბრალო და ჩვეულებრივი მასების ბელადის ერთ-ერთ უძლიერეს მხარეს“.

სწორედ ასეთი ადამიანი წარმოგვისახა ისკენდერ კაიკაციშვილმა. მან მიაღწია ლენინის პორტრეტული მსგავსების სრულყოფას. ყოველი მისი მოძრაობა, სიარული, უბრალოება დიდი ტაქტით გადმოგვცა მსახიობმა. მის მიერ შექმნილი სცენური სახე მაყურებელმა დიდი აღფრთოვანებით მიიღო. ეს იყო არა მარტო ი. კაიკაციშვილის, არამედ მთელი კოლექტივის შემოქმედებითი გამარჯვება.

ასევე დიდი წარმატება ხვდა წილად ი. პოპოვის პიესს „ოჯა-

ხი“, რომელიც 1951 წელს დაიღინავდა ჩვენს თეატრში. მაშინ ივაფართოდ აღიარებული, პოპულარული დრამატული ნაწარმოები იყო, წარმატებით იდგმებოდა საბჭოთა კავშირის ბევრ თეატრში.

ი. პოპოვის „ოჯახი“ ლენინის ჭაბუკობის წლების ამსახველი ნაწარმოებია. ავტორმა თავისი პიესით გაგვაცნო ყრბა კლასიმეტ ულიანოვის იდეურ-მორალური ფორმირების პროცესი; გარემო, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება; ადამიანები, რომლებთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

ულიანოვების ოჯახში უმაღლეს პრინციპამდევა აუგანილი ადამიანთა ლირსების პატივისცემა, შრომის სიყვარული და მორალური სისპეტაკე.

აი, გიმნაზიაში მოვიდა იგოროდნიკოვი და მოითხოვა. ექსტერნად მომამზადეთო. გიმნაზიის მესვეურებმა მას უარი უთხრეს, თანაც აბუჩად აიგდეს. ამ დროს გამოდის ვალოდია ულიანოვი და მტკიცედ აცხადებს: „მე მოვამზადებ ამ ჩუვაშს სიმწიფის ატესტატის მისაღებად, სრულიად უსასყიდლოდ“.

ჩუვაში გრძნობს, რომ ვალოდია ულიანოვს ამის გამო უსიამოვნება შეემთხვევა გიმნაზიაში, შეიძლება გარიცხონ კიდევ. ამაზე ვალოდია ასე უპასუხებს: ეგჯერ რა ვიცით, ვთქვათ ასეც მოხდეს. მერე? არის თქვენში რამე ნიშანწყალი ნებისყოფისა?



გაქვთ კი უფლება ხელი აიღოთ
განჩრდახაშე? გაქვთ უფლება
მიატოვოთ საქმე? არა, არც მე
და არც თქვენ ამის უფლება არა
გვაქვს. ჩა მაგალითს ვაჩვენებთ
ვინძეს ჩვენი საქციელით? იყა-
ვით ზუსტი, მოსვლა არ დაიგვ-
იანოთ.

ყოველივე ამას ვლადიმერ
ულიანოვი აკეთებს. ხალი-
სით და დიდი სიყვარულით. უპ-
ურებთ ამ სცენას და გრძნობთ,
რომ ეს ჭაბუკი სხვანაირად არც
მოიქცევა. მისი მოთხოვნილებაა,
სულ კარგი აკეთოს, სხვას დაე-
ხმაროს.

პიესის ფინალში მაყურებელი
ვლადიმერ ულიანოვს ხედავს
როგორც პეტერბურგის „მუშა-
თა კლასის განთავისუფლებისა-
თვის ბრძოლის კავშირის“ შემქ-
მნელს. როგორც რუსეთის მუშა-
თა კლასის რევოლუციური მო-
ძრაობის მეთაურს.

ახალგაზრდა ვლადიმერ ულია-
ნოვის როლი დიდი მონდომებითა
და გულწრფელობით განასა-
ხიერა შალვა ხორავაშ. მსახიობი
ყველა სცენას, ეს იყო გიმნაზიის
მასწავლებელთან საუბარი თუ
ძმასთან და ერმაკოვთან კამათი,
დიდი ტაქტით და ზომიერებით
ატარებდა. განსაკუთრებული სი-
ჭვარული, პატივისცემა და მოკრ-

ძალება იგრძნობოდა დედასთან
შეხვედრის სცენებში.

უყურებთ ამ სცენებს და თვალ-
ნათლივ ხედავთ, როგორი მზრუ-
ნველობითა და სიფრთხილით
ავითარებს დედა შვილებში საუ-
კეთესო თვისებებს — თავმდაბ-
ლობას, კეთილშობილებას, პა-
ტიოსნებას, სიმართლის სიყვა-
რულს, სიმამაცეს.

სპექტაკლმა ერთსულოვანი მო-
წონება დაიმსახურა. ბათუმის
თეატრმა ო. პოპოვის „ოჯახი“
საგასტროლო რეპერტუარში შე-
იტანა და წარმატებით უჩვენა
თბილისისა და ქუთაისის მაყუ-
რებელს.

ეს იყო ჩევნი თეატრის ერთ-
ერთი საუკეთესო დადგმა, რომ-
ლის შემცენებითი და აღმზრდე-
ლობითი მნიშვნელობა ბათუმ-
შიც და გასტროლებზეც ერთსუ-
ლოვნად აღიარეს.

თეატრალურმა ლენინიანამ გა-
ნსაკუთრებით ფართო გაქანება
ჰპოვა ვ. ი. ლენინის დაბადების
ასი წლისთავის იუბილესათვის
მზადების პერიოდში. ამ თემას
მიეძღვნა არაერთი კარგი საექ-
ტაკლი, რომელშიც მკაფიოდ არ-
ის ასახული მილიონთა ბრძოლა
და შრომა ლენინის ცხოველმ-
ყოფელი იდეების განხორციე-
ლებისათვის, კომუნისტური სა-
ზოგადოების აშენებისათვის.



დაწმ შარაშიძე

3. ი. ლენინი სახვით ხელობაში

ვ. ი. ლენინის უკვდავი სახე ყოველთვის იყო და არის თითოეული საბჭოთა ხელოვანის შემოქმედებითი შთაგონების დაუშრეტელი წყარო.

მშრომელთა ბელადის, ამ ყველაზე აღამიანური ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ოემაზე შექმნილია უამრავი ნაწარმოები, მაგრამ ლენინის სახე, როგორც საბჭოთა საზოგადოებრიობის სიმბოლური გამოხატულება, არასდროს არ ამოიწურება, რადგან ლენინის ძღვები და საქმენი მარად ცოცხლობენ და ვითარდებან.

სახვითი ხელოვნება ამ მხრივ უდიდეს შესაძლებლობათა სფეროს განეკუთვნება. შემთხვევითი როდი იყო ის, რომ სწორედ ვ. ი. ლენინი გამოვიდა რევოლუციის იდეების პროპაგანდაში სახვითი ხელოვნების საშუალებათა ფართოდ გამოყენების, ქალაქების მხატვრული გაფორმების, რევოლუციისათვის თავდადებულ გმირთა, აგრეთვე ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა ქანდაკებების დადგმის მოთავედ. ახალგაზრდა საბჭოთა სა-

ხელმწიფოს ეს ღონისძიებები ასეთი ტორიაში მონუმენტური პროპაგანდის სახელითაა ცნობილი. ამ გარემოებამ დიდად განაპირობაის, რომ საბჭოთა ხელოვნების განვითარების გარიერაჟზე სწორედ მხატვრები მოგვევლინენ ახალი ცხოვრების ჩვენების მებაირახტრებად. მათმა შემოქმედებითმა სწრაფვამ იმთავითვე ხორცი შეისხა ისეთ სამუშაოებში, როგორიც იყო მშრომელთა მიტინგებისა და თავშეყრის ადგილების მხატვრული გაფორმება, ფაზრიეაქარენებში წითელი კუთხეების მოწყობა, სამოქალაქო ობის თემებზე მებრძოლი ხელითის პოლიტიკური პლაკატების შექმნა, რომელთა გონიერამახვილური ტექსტის ავტორად რევოლუციის მგზებარე პოეტი ვ. მაიაკოვსკი გვევლინება.

ზოგიერთ მხატვარს, როგორც იტყვიან, ბედმა გაუღიმა, საშუალება მიეცა ვ. ი. ლენინი უშუალოდ ნატურიდან დაეხატა, მავრამ ყველა მათგანმა მაინც ვერ მოახერხა დასრულებული პორტრეტი შექმნა. მიზეზი ლენინის თავმდაბლობა ან მოუცლელობა იყო: ერთი ან ორი, ისიც არასრული სეანსის შემდეგ ნატურაზე მუშაობის საშუალება აღარ ქონდათ. და მაინც ვ. ი. ლენინის სიცოცხლეში შექმნილი ჩანახატები საბჭოთა ხელოვნების უნიკალურ ფონდს წარმოადგენენ. შემდეგი დროის მხატვრები გარევეული თვალსაზრისით მათ ცხოველმყოფელ ზეგავლენას ვერ ასცდნენ.

ამ პერიოდის მხატვრების ძირითად საზრუნოს ბელადის მრავალმხრივი მოღვაწეობის ჯერ კიდევ მიუწვდომელი თემების მიგნება შეადგნდა. ასეთ კეთილშობილ განზრახვათა განხორციელების პროცესში დაიბადა პირველი სიუჟეტური კომპოზიციები, რომელთა ავტორებად მოვაკლინენ ბ. კუსტოდიევი, გ. ვერეისკი, პ. სტარანისოვი. 30-იან წლებში მათ გვერდში ამოუდგნენ ნ. უზევი, ე. კიბრიკი, დ. შმარინოვი, ა. გერასიმოვი...

მხატვრები ცდილობდნენ მოეცათ ბელადის განზოგადებული სახე. ერთი ლამობდნენ წარმოესახათ იგი როგორც რევოლუციის გენია, მშრომელთა ბელადი. მეორენი ამოცანად ისახვდნენ გამოეკვეთათ ლენინი ტრიბუნი. ბევრმა სცადა ლენინის თავმდაბლობის, უბრალოების გაღმოცემა მშრომელებთან, ბავშვებთან ურთიერთობის დამახასიათებელი სიუჟეტების შექმნით.

მხატვრების ნაწარმოებთა პირველი შემფასებლები ლენინის ახლობლები აღმოჩნდნენ, რაღაც ავტორები ჩჩევა-დარიგების მისალებად ხშირად მათთან დადიოდნენ. ამ მხატვრების ნამუშევრების სრულყოფის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ნ. კრუპსკაიამ, მ. ულიანოვამ, ა. ლუნაჩარსკიმ, მ. გორკიმ, ე. იაროსლავსკიმ, ნ. სემაშქომ... ბევრ შემთხვევაში ლენინურ თემაზე შექმნილ

ბათუმის რევოლუციის მუზეუმის ფრნდებში დაცულია ყველა ამ ნახელავის ძვირფასი ოფსეტური ამონაბეჭდი. მათი ავტორებია: მ. ბერინგოვი (ნატურიდნ ხატავდა 1917 წ.), მ. შაფრანი (1917 წ.), გ. ალექსეევი (1918 წ.), ვ. ანდრეევი (1919 წ.), ი. ბროდსკი (1920 წ.), გ. ვერეისკი (1920 წ.), ნ. ანდრეევი (1918-1920 წ.წ.), ფ. მალიავინი (1920 წ.), ს. ჩეხონინი (1920 წ.), მ. დობუჟინსკი (1920 წ.), ნ. ალტმანი (1920 წ.). ლ. პასტერნაკი (1920 წ.), ი. კოზლოვი (1921 წ.), ი. პარხომენკო (1921 წ.), ბ. ლავროვი (1921 წ.). ზოგი მათგანი პირველწყაროების მიხედვით შემდეგშიც განაგრძობდა უნიკალური ეტიუდების სრულყოფას და განზოგადებული სახის შექმნას. ამ მხრივ ალსანიშნავია ნ. ანდრეევის შემოქმედებითი მიღწევები. მან 1918 წლიდან მოყოლებული 14 წლის განმავლობაში 300-ზე მეტი ჩანახატი შექმნა. ანდრეევის ლენინიანას ეს ფურცლები საბჭოთა ხელოვნების უნიკალურ საგანძურს წარმოადგენს.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ბევრი მხატვარი აქტიურად გამოეხმაურა პარტიისა და მთავრობის მოწოდებას და თავისი შემოქმედების ძირითად მიმართულებად ლენინური თემატიკა ირჩია. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ვ. ი. ლენინის ხსოვნის უკვდავსაყოფად შექმნილ კომისიას მხატვრებმა 1924 წლის პი-



ახალ ნაწარმოებებს პირადად ეცნობოდა ი. სტალინი და მის შენიშვნებს აკტორები ხალისით ღებულობდნენ.

ღენინურ თემას ახალი შუქი ეფინებოდა შემდეგდროინდელ სტატთა შემოქმედებაში. მოსკოვში საკავშირო გამოფენებს ყოველთვის ამშვენებდა ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების მრავალრიცხვანი მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე შესრულებული ნიმუშები. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მოსკოვში იხსნება თავისი გრანდიოზულობით უბადლო გამოფენა.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში ღენინის სახელი მეტად პოპულარული გახდა. მაღვე გამოჩნდა ბელადისადმი მიძღვნილი პოეტური ნაწარმოებები, ხოლო სახვითი ხელოვნების მუშაკთა ცდები ამ სფეროში მნიშვნელოვან მოვლენებად იქცნენ.

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ქართველი მოქანდაკის გ. სესიაშვილის პირველი შემოქმედებითი გამარჯვება. 1923 წელს გამოცხადებულ კონკურსში ვ. ი. ღენინის მონუმენტის პროექტზე მან. მეორე პრემია დაიმსახურა (პირველი პრემია არ გაიცა). მაგრამ ფართო მასშტაბის შემოქმედებითი ძიებანი და მოპოვებული წარმატებანი ბელადის სახის გამოქანდაკებაში უცილოდ დაკავშირებულია ქართული გვერდის ვერ ავუკლით ცნობილი

სკულპტურის ფუძემდებლის ნიკოლაძის სახელთან. მან კაუკვდავი სახის გამო დ ე რ წ ვ ა გერ კიდევ 1923 წლიდან დაიწყო. პირველად შექმნა ღენინის ძევლის პროექტისათვის განკუთვნილი ქანდაკება, რომელიც შემდეგ ბრინჯაოში ჩამოასხა. ამ თემაზე მუშაობის, მნიშვნელოვანი ძიების სასიხარულო შედეგი იყო კომპოზიცია, რომელიც ანსახიერებს ვ. ი. ღენინის ჩამოსვლას პეტროგრადში და მის ისტორიულ სიტყვას ფინეთის ვაგზლის მოედანზე.

ბელადის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის განცალკევებულად დგას ი. ნიკოლაძის „ღენინი“ „ისკრის“ პერიოდში“. იგი ნამდვილი შედევრია. შემთხვევითი არ იყო, რომ ეს ნახელავი თავის დროზე უმაღლესი ჯილდოთი აღინიშნა — მას მიენიჭა სახელმწიფო პრემია და იგი ქართველი ხალხისაგან საჩუქრად გადაეცა მოსკოვის მშრომელებს.

სახვითი ხელოვნების ქართველ მოღვაწეთა დიდ შემოქმედებით მიღწევად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ის, რომ ნ. ქუთათელაძის მარმარილოში გამოქანდაკებული ღენინი საჩუქრად გადაეცა აზერბაიჯანის, ხოლო კ. სანაძის ბელადის ფერწერული პორტრეტი სომხეთის მშრომელებს. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქართველი მოქანდაკის დ. ჩხეიძის ქმნილება პოლონეთშია აღმართული. გვერდს ვერ ავუკლით ცნობილი

თეატრალური მხატვრის ი. გამრეკელის მიერ ბელადის გარდაცვალების პირველ დღეებში შექმნილ მეტად ორიგინალურ გრაფიკულ ფურცელს, რომელზედაც ლენინი გამოსახულია გეომეტრიული ფიგურებით. ავტორის ასეთი სტილი მომდინარეობდა კუბიზმიდან, რომელსაც ნიჭიერდა მხატვარმა ამ ნაწარმოებით ერთგვარი ხარჯი გადაუხადა.

სახალხო მხატვრის უ. ჯაფარიძის შემოქმედებაში ლენინის თემას თვალსაჩინო აღგილი უკავია. მხატვრის მაღალი გემოვნებით შესრულებული ფერწერული პორტრეტები ბევრ გამოფენას ამშვენებდა. აქვე უნდა მოვიხსენიოთ მისი თემატური სურათიც „ვ. ი. ლენინი აპრილის კონფერენციაზე“, რომელიც ერთი საუკეთესოა თავისი ჩანაფიქრითა და ღრმა გააზრებით.

ოცდაათიანი წლების ქართულ სახით ხელოვნებას ამშვენებდა ფერმწერელ ივ. ვეფხვაძის სათნაებითა და მაღალი აღმიანური თვისებებით გარემოსილი სახელი. მისი ისტორიულ-რევოლუციურ თემებზე შექმნილი რთული კონპოზიციები მნიშველებზე წარუსლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამ ტილოებიდან გამოირჩევა „ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პირველი შეხვედრა“, „ლენინი და კოუპსკაია“, „ვ. ი. ლენინი თავის კაბინეტში“, „ლენინი ოქტომბერში“.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ი. თოიძისა და ს. კეჭელმაძის თე-

მატური სურათები. პირველს ეკუთვნის ექსპრესიული მანერით შესრულებული კომპოზიცია — ვ. ი. ლენინის ჩამოსვლა 1917 წ. პეტროგრადში, ხოლო მეორეს ვ. ი. ლენინის გამოსვლა რსდმპ მეორე ყრილობაზე. კომპოზიციები არაერთხელ ყოფილა ფერადი რეპროდუქციის სახით გადაღებული და გამრავლებული.

უველა მნახველს იზიდავს და ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს. თბილისში ბელადის სახელობის მოედანზე აღმართული ლენინის მონუმენტური ფიგურა, რომელიც ქართული ქანდაკების სკოლის ნიჭიერ წარმომადგენელს პოლფურიძეს ეკუთვნის. ამ ღვაწლამოსილი მოქანდაკის ნამუშევრები დადგმულია აგრეთვე მოსკოვში, ლენინგრადში, კალინინგრადსა და რუსთავში.

ქართულ ლენინიანას ამშვენებენ ფ. მერაბიშვილის, ა. ჭუთათელაძის, შ. მიქატაძის, ს. კაკაბაძის, აგრეთვე ომისშემდგომი პერიოდის ნიჭიერი ახალგაზრდა თუ საშუალო თაობის წარმომადგენელთა სახელები.

სახითი ხელოვნების ქართველ მოღვაწეებს ლირსებას ისიც მატებს, რომ მათ ვ. ი. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა ასახეს ყველა უანრში: ფერწერაში, ქანდაკებაში, დაზგურ გრაფიკაში, თეატრალურ-დეკორაციულ ფერწერაში. ლენინის სახე აღმოჩნდა პლაკატზე, ლინოგრავიურისა თუ ლითოგრაფიულ საშუალებათა გამოყენებით.

საბჭოთა სახვითი ხელოვნების ლენინიანაში გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი ბათუმელ მხატვა-რებს — გრაფიკოსებს, ფერ-მწერლებს, მოქანდაკეებს, ჭედური ხელოვნების ოსტატებს. მათ მიერ შექმნილი ფერტილო თუ გრა-ფიკული ფურცელი, ხეში, მარ-მარილოში თუ ლითონში გამო-კვეთილი ბელადის უკვდავი სახე მოწონებას იმსახურებს. პირველი სიტყვა ამ დარგში მოქანდაკე ძ. ბოლქვაძეს ეკუთვნის. იგი აგრ 15 წელია, თითქმის გამუდმებით ძერწავს საყვარელი ბელადის სა-ხეს. მან შექმნა ბრტყელი და მრგვალი ქანდაკების არა-ერთი ნიმუში, რომელიც ფა-რთოდ არის ცნობილი. ბევრი მათგანი სამხატვრო გალერე-იების და მუზეუმების ფონ-დებს ამშვენებს. მოქანდაკის შე-მოქმედებითი შრომა შესანიშნა-ვად დაგვირგვინდა ამ დღეებში, როდესაც მან დაასრულა ბელა-დის სამეტრიანი ფიგურის გამო-ძერწვა. ვ. ი. ლენინი პალტო-მოსხმული დგას და მტკიცე რწმე-ნის გამომხატველი პოზით ოდნავ წინ წამოწეული გაჟყურებს ახალ პორიზონტს. ისე როგორც მთელი ფიგურის დაყენებაში, სახის ცალ-კეული ნაკვთების დამუშავებაში მოქანდაკემ მიაღწია მნიშვნელო-ვან შემოქმედებით გამარჯვებას. მ. ბოლქვაძის ეს ნაწარმოები მო-წონებულია და მისი დადგმა გან-ზრახულია ქ. ქობულეთში.

ვ. ი. ლენინის თემაზე არაერთი ფერწერული ტილოს ავტორია

საქართველოს სსრ დამსახურებულების ლი მხატვარი შ. ხოლუაშვილი. მისი პირველი ნაბიჯები ამ დარგ-ში წარმატებით დაგვირგვინდა ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინათ. როდესაც შერეული ტექნიკით შე-სრულებული მისი ბელადის პორ-ტრეტი გამოაფინეს მოსკოვში ლენინის დაბადების 90 წლისთა-ვისადმი მიძღვნილ საკავშირო სა-მხატვრო გამოფენაზე. შემდეგში მხატვარმა რამდენიმე პორტრეტი დაწერა, რომლებიც გამოტანილი იყო ბათუმის სამხატვრო გამოფე-ნებზე. ამეამად მხატვარმა დაას-რულა დიდი ფერწერული ტი-ლო, რომლის სიუკეტი აგებუ-ლია ცნობილ ფაქტზე: ს. ორგო-ნიკიძე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას დე-პეშით აცნობებს მოსკოვს, ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინს. კრემ-ლის უბრალოდ მორთულ ოთაში დგას ვ. ი. ლენინი, მის გვერდით ი. ბ. სტალინია. მას ხელში უჭი-რავს დეპეშის ტექსტი, ბელადის სახეზე აღბეჭდილია უდიდესი სი-ხარულის გრძნობა, რომელსაც იზიარებს მისი თანამოსაუბრე.

მხატვარმა ბელადის თემას მეო-რე ნაწარმოებიც მიუძღვნა, რო-მელიც თავის მხატვრულ ლირსე-ბათა გამო საკავშირო სიუბილეო გამოფენის ექსპონატად არის მო-წონებული.

შ. ხოლუაშვილი მხატვრებთან ი. ჩხაიძესა და გ. მესხთან ერთად ავტორია მოზრდილი მოზაიკისა, რომლის თემაა აჭარის ავტონო-მიური რესპუბლიკის დაჯილდოე-

ბა ლენინის ორდენით. ამ თემის გახსნისას მხატვრებმა ხაზი გაუსვეს დიდი ბელადის სახელობის ორდენის მნიშვნელობას, როგორც ყველაზე მაღალ ჭილდოს ჩვენს ქვეყანაში. ეს ნაწარმოები ამშვენებს რევოლუციის მუზეუმის დარბაზს.

აჭარის ასარ დამსახურებულმა მხატვარმა შ. ზამთარაძემ, რომელსაც რესპუბლიკური გამოფენების მიხედვით რთული კომპოზიციების ავტორად ვიცნობთ, ამაგან უკვე დაამთავრა ორი მეტად მნიშვნელოვანი თემატური სურათი. ერთი მრავალფიგურიანი კომპოზიცია განზოგადებულ ფორმაში გაღმოგვცემს ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ხალხის აღზევებას. იგი არ უშინდება არავითარ დაბრკოლებებს, მზად არის გასტეხოს ყოველგვარი წინააღმდეგობა. მეორე სურათის თემა აჭარის სინამდვილდანაა აღებული. საუკუნეების მანძილზე აჭარელი ქალი ჩადრეში იყო განვეული. საქართველოში ლენინური იდეების გამარჯვებამ აჭარელი ქალიც გამოიყვანა საზოგადოებრივ სარბიელზე, გაათავისუფლა იგი შავბნელი წარსულის გაღმონაშობისაგან. მხატვარს ჩაფიქრებული აქვს მომავალი სურათის კომპოზიცია იმგვარად ააგოს, რომ თვალნათლავ გამოჩედეს წარსულში უფლებაყრილი აჭარელი ქალის მტკიცე ხასიათი და მედგარი ბუნება.

მხატვარ ნ. იაკოვენკოს ლენინის რამდენიმე ფერწერული პორ-

ტრეტი აქვს შექმნილი, ამჟამად კი მან დაამთავრა ტრიპტიხი, რომლის თემაა ვ. ი. ლენინის ზრუნვა ბაგშვებზე.

აჭარის ასარ დამსახურებულ მხატვარს დ. იმნაიშვილს ძლიერ იტაცებს აკარელის ფერები. წყლის სალებავებით მას ბევრი საინტერესო კოლორიტით გაღაწყვეტილი ნაწარმოებები აქვს შესრულებული. საიუბილეო გამოფენისათვის მხატვარმა მოამზადა ახალი ნამუშევარი — „ლენინი ვორქაში“. მან ბევრი მასალა დააგროვა, ნატურიდან შექმნა რემდენიმე ეტიუდი და უნდა ვითქმიროთ, რომ მომავალი სურათი ერთი საუკეთესო იქნება მის შემოქმედებაში.

ახალგაზრდა ფერმწერელმა თ. ჯალალანიშ ამ ორი წლის წინათვამოფენაზე გამოიტანა ტრიპტიხი „რევოლუციის ქარისკაცები“. მის შუა ნაწილში მედგარ პოზაში დგას ვ. ი. ლენინი და იმზირება წინ. მის გვერდით არიან ი. სტალინი ი. სვერდლოვი, და ფ. ძერუენსკი, მათ ზედა ტანსაცმელს ქარი აფრიკალებს. — ოქტომბრის ქარი, რომელიც მანამდე არ ჩადგება, ვიდრე იმპერიალიზმი იარსებებს. თ. ჯალალანის ეკუთვნის დიდი ზომის ლენინის მოზაიკური პორტრეტი, რომელიც ამჟამად აჭარის მუზეუმის ექსპოზიციის ამშვენებს. ახლა კი მხატვარმა მოვამდებარება თავი სიუკეტი. ერთი მათგანი რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ გაჩალ-



ბული ბრძოლის ეპიზოდს გად-
მოვცემს, ხოლო მეორე — ვლე-
ხებთან ლენინის შთამბეჭდავ საუ-
ბარს.

აჭარის ასარ ხელოვნების დამ-
სახურებული მოღვაწე ტ. ჭანტუ-
რია ავტორია ლენინის რამდენიმე
ქანდაკებისა, რომლებიც დადგმუ-
ლია აჭარის ცალკეულ კოლმეურ-
ნებობებში. გასულ წელს ბათუმში
მოწყობილ გამოფენაზე მან გა-
მოიტანა თაბაშირში შესრულებუ-
ლი ხეთი წლის ვალოდია ულია-
ნოვი. მოქანდაკე გვპირდება ამ
ბიუსტზე მუშაობა განაგრძოს და
მისი სრულყოფილი ვარიანტი მა-
ლე წარმოგვიდგინოს.

ახალგაზრდა მხატვარი ხ. ინაი-
შვილი უკვე ცნობილია რამდენი-
მე ფერწერული ტილოთი, რომე-
ლთა შინაარსი ძირითადად აჭარის
შეიზაურით ისაზღვრება. მან ამჟა-
მად გადაწყვიტა შექმნას საკამა
სიდიდის ფერწერული ტილო
თემაზე „ვ. ი. ლენინი დასვენე-
ბის დროს“. ესკოზის მიხედვით
თუ ვიმსჯელებთ, მხატვარი მეტად
ორიგინალურ ხერხებს იყენებს
წარმოების გადასაზყვეტად რო-
გორც კომპოზიციური, ისე კო-
ლორიტის თვალსაზრისით.

ახალგაზრდა მხატვარს ი. ჩხაი-
ძეს ჩაფიქრებული აქვს სურათი,
რომლის სიუჟეტია ვ. ი. ლენინისა
და ს. ორგონიკიძის შეხვედრა
1917 წელს რაზლივში. მხატვარი

ცდილობს ამ თემაზე უკვე შექმნა-
ნილ ნაწარმოებთა განსხვავებით
ახალი სიუჟეტის მოძებნას და
ორიგინალურ კომპოზიციურ გა-
დაწყვეტას.

ბათუმელი მხატვრების საიუბი-
ლეო გამოფენისათვის ინტენსიუ-
რი მზადება ლენინის უკვდავი
თემის ახლებურად გაშუქების,
ახალი შემოქმედებითი შილწევე-
ბის გარანტიაა.

* * *

ჩვენი რესპუბლიკის თითქმის
ყველა ქალაქში, რაიონულ ცენ-
ტრში, დიდ საბჭოთა მეურნეობე-
ბსა თუ კოლმეურნეობებში აღმა-
რთულია ვ. ი. ლენინის მონუმენ-
ტები, რომელთა ავტორები იშვი-
ათი გამონაკლისის გარდა ქართვე-
ლი მოქანდაკეები არიან. ბათუმი
საქართველოში ერთ ისეთ პირველ
ქალაქად ითვლება, სადაც დაიდგა
ბელადის ძეგლი. ეს მოხდა 1921
წლის 7 ნოემბერს — დიდი ოქ-
ტომბრის რევოლუციის თოხი
წლისთვის ზემის დღეს. ბიუს-
ტი თაბაშირისა იყო და დროებით
გამოიყენეს. მისი ავტორი ჭერ-
ჭერობით უცნობია.

1922 წელს ბათუმში იმყოფე-
ბოდა ცნობილი საბჭოთა მოქან-
დაკე, წარმოშობით მოჩდვი, სტე-
ფანე დიმიტრის ძე ერზია, რო-
მელმაც აქ ბელადის სამი ბიუსტი
გამოძერდა. ერთი მათგანი — მა-

რმარილოს ქანდაკება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ძლიერ მოსწონებიათ, შეუძენიათ და 1923 წლის 1 მაისს დროებითი ძეგლის ადგილას დაუდგამთ (კომინტერნის პროპექტზე მდებარე სკვერში).

ს. ერზია ერთი პირველთაგანია, რომელმაც განიზრახა ვ. ი. ლენინის სიცოცხლეში შეეჭმნა მისი სკულპტურული გამოსახულება. სხვა ავტორებისაგან განსხვავებით ს. ერზია არ ისწრაფოდა ბეჭლადის პორტრეტის შექმნის დროს მიეღწია ნატურის ზედმიწევნითი მსგავსებისათვის. მოქანდაკეს უწინარეს ყოვლისა აინტერესებდა მიეგნო ბეჭლადის სახის ისეთი თვისებებისათვის, რაც ჯერ კიდევ უცნობი იყო და თან ისტორიული სინამდვილის დამახასიათებელი იქნებოდა.

ვ. ი. ლენინის ბიუსტის დადგმა თბილისელებმა იზეიმეს 1921 წლის სექტემბერში, ხოლო 1927 წელს ზაჰესის გახსნასთან დაკავშირებით მის კაშხალზე აღიმართა დღემდე შემო-

ნახული ლენინის შთამბეჭდავა სკულპტურული ფიგურა, რომელის ავტორია ცნობილი მოქანდაკე ივანე შადრი.

* * *

ყალმისა თუ საჭრეთლის ყველა ისტატი შეგაყრობილია მოუსვენარი ფიქრით, წარმოსახოს რევოლუციის გენია დიდი ლენინი. გამოიყენოს მთელი თავისი შემოქმედებითი უნარი, ისტატობა, რომ არ გაიმეოროს, უკვე მიღწეული, ჩაწვდეს ამ დიდებული ადამიანის. ხასიათისა და ბუნების ჯერ კიდევ მიუგნებელ შტრიხებს, ნიუანსებს. ახალი კომპოზიციები ხომ გამოულეველია.

სახვითი ხელოვნების მუშაკთა მიღწევები დიდი ლენინის მრავალმხრივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასახვაში საბჭოთა ხალხების, მთელი პროგრესული კაცობრიობის მაღლობას იმსახურებს. მაგრამ ბეჭლადის ოემა ამოუწურავია და ახალი შედევრების შექმნა ჩვენი და მომავალი საუკუნეების შეშმარიტ ტალანტთა ხვედრი იქნება.



ნიგების მიმღება



უკვდავება

ჩვეულებრივად საუკუნეს აღიქვამენ
როგორც დროის საქმაოდ დიდ მო-
ნაკვეთს, შორეთს. ვ. ი. ლენინის დაბა-
დების დღიდან განვლილი ასი წელი კი
თოვქოს აღარ განკუთხება წარსულს,
და ეს საიუბილეო ზემინც, მთელი მო-
წინავე კაცობრიობა რომ იხდის, ვითა
ციცქალი, მილიონთა მხარდაჭხან მიმა-
ვალი, მარად დაუკეცელი ადამიანის სა-
დიდებელია. გაიღლის საუკუნეები, მოკ-
ლენ სხვა თაობები და მათვისაც ასევე
ასლობელი, ასევე თანამედროვე იქნება
ოქტომბრის ბელადი.

ეს არის უკვდავება უბრალო ადამია-
ნური გაცემით. და რა გასაკირია, თუ
პოეტები სულ უფრო ხშირად მიმართა-
ვენ ლენინს, როგორც დღევანდელობას
თავისი ცხრველმყოფელი ძალითა და
იერით. ამ მხრივ არც საჩეცენზით კრე-
ბული წარმოადგენს გამონაკლისს. მაშინ
უსულია სხვადასხვა ასაკისა და ხელშე-
რის პოეტებს მიერ სხვადასხვა დროს
შექმნილი ნაწარმოებები, რომელთა მთა-
ვარი თემა ლენინი, პატრია, საშობლო.

მხცევან პოეტს ნესტორ მალაზონიას,
რომლის ლექსებითაც იხსნება კრებული,
სწამს, რომ „ჩვენს ხალს უძლეველს,
პარტიის ენით, თვითონ ლენინი ესაუბ-
რება“; როგორც ყოველთვის, ახლაც
ჩვენი გზის გამჯეალვა-გამნათებელი არის
დიდი ლენინის სიბრძნე და ფოლადის
ნება.

ფრიდუნ ხალვაში იგონებს ოქტომბ-
რის გრანტიონზული შტურმისათვის მზა-

„შევდავება“, ლექსები ლენინზე. გა-
მომცემლობა „საბჭოთა აკარა“.

დების დღეებს და თავის პოეტურ წარ-
მოსახვაში აცოცხლებს რევოლუციური
ძერების უბადლო ისტატს ისტორიულ
რაზლივის ქოხთან.

იქ ჩრდილოეთის სუსხიან ცისქვეშ,
ჭარი თოვლიან ფრთით რომ გადივლის;
სანაპიროზე ამაყად ისევ
დგას ლენინი და ქოხი რაზლივის.

(„რაზლივის ქოხი“).

ლენინის სახე უფრო ახლოს მიაქვს
მყითხველთან გიორგი სალუქვაძეს. „ლე-
ნინი ბათუმის მთაზე“ — ასე დასათაუ-
რებული მისი ერთ-ერთი ბოლოდროინ-
დელი ლექსი, რომლითაც წარმოდგენი-
ლია კრებულში. პოეტის მშობლიურ ჭა-
ლაქს ნეონის შუქეთ ანათებს ის, ვინც
მარად უქრობ შუქად არის ქცეული.

შუქი გადაბის ბათუმის ცაზე,
პორიზონტამდე ზღვის ტალღებს
მიაქვს
და მეზღვაურებს მხნეობით ავსებს
შუქი, რომელსაც ლენინი ჰქვია.

და იმათაც, რომელ განედზეც არ უნ-
და იყვნენ, ლენინი ყველგან სინათლედ
ახლათ და მზად არინ ყველის აუნთონ
გული ლენინის შუქით. ლენინის დროში,
გემზე რომ ამაყად ფრიალებს, „დედამი-
წას მზესავით უვლის“.

საბჭოური მხატვრული ლენინიანის ფუ-
ძემდებლების მაქსიმ გორკისა და ვლა-
დიმერ მაიაკოვსკის მაგალითისამებრ
ჩვენი პოეტები ლენინს წარმოგვიდგენენ
მოვლენების შუაგულში, ყოველდღიურ
შემოქმედებით შრომაში, უდიდესი მა-
სტაბის ბრძოლებში.

გაზაფხულივით მიწაზე დადის,
მთელ პლანეტაზე დადის ლენინ!

მთელი ხმით ამბობს ქემალ ჰაკელი
და გვაჭრებს, რომ ჩან ნახა ლენინი იქ,
სადაც „ახალი აღმშენებლები თლიან“,
ავებენ, ექვსადაც წვლება აზრი მაღალი...“
პოეტი ხვდება ლენინს ხიდების, კაშხა-
ლებისა და ბრძმედების მშენებლობებზე,
რეაქტიულ ძრავთან, კოსმოდრომზე, ყვე-
ლებას, სადაც კი დღეს სიცოცხლე ჩემებს.
აღმიანში უპირველეს ყოველისა ფას-
ლება ინტელექტუალური საწყისი და
მშერლობაც ამ საწყისის გამარჯვებისა-
თვეს იძრების, ამ პოზიციიდან აფასებს
ლენინი — სამყაროს იდეალურ აღა-
მიანს. რევაზ ართილავა უდიდეს ბელ-
ნიერებად თვლის იმას, რომ ჩვენ ლენი-
ნის „გულის ჩაქრობ სითბოს... მისი აზ-
რის სიბრძნეს და სიღრმეს, მისი თვალე-
ბის დაუშრეტ ნათელს, და მისი რწმენის
უძლეველ ძალას ყველა თანაბრად ვი-
ნაწილებთ“. და ამიტომაც ვიმარჯვებით.
ლენინის გენია რომ არ, ვერ შევძლებ-
დით თანამედროვე სამყაროს ურთულეს
ამოცანათა ამოხსნას.

კიდევ უფრო შორს მიდის ახალგაზრ-
და პოეტი შოთა ზოძე, როცა იგი უშუა-
ლოდ მიმართავს ლენინს:

დაყრუვდებოდა დედაშიწა,

შენ რომ არ იყო,

დაბრმავდებოდა მშენ ნათელი,

რომ არ გვყოლოდი.

(„შენ რომ არ იყო“)

ბელადმა „სიცოცხლე ახლად გავია-
პრილაო“, წერს იყომ მელია. იგი ადა-
დებს აპრილის იმ ბერძნიერ დღეს, ლე-
ნინი რომ დაიბადა: „დიდი სიცოცხლე
დაიწყო იმ დღეს და შევიყვარეთ სიცო-
ცხლე ჩვენი“, ეს სიცოცხლე არასრუოს
არ ჩაქრება, სიკეთები ვერ იზემებს,
რადგან ლენინ ჩვენთან არის, მისი უკვ-
დავი იდებით და საქმენი საბჭოთა ადა-
მიანების. მთელი მსოფლიოს მშრომელ-
თა შთაგონებისა და ოპტიმიზმის მარალ
დაუშრეტელი წყარო.

ლენინი ეს მთელი ეპოქა, ულიცენი
მოვლენებით აღსასეს რთული ეპოქა.
ამიტომაც იყო, რომ მაიაკოვსკიმ თავი-

სი პოემა ლენინზე დაიწყო პოეტური საუბრით დროისა და მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობის ბის აბების, უმნიშვნელოვანესი სოცია-
ლური გარდაქმნების შესახებ. პოემაში ლენინის სახე შერწყმულია ხალხთან, ისტორიასთან, ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის რევოლუციურ მოღვაწეობასთან. ჩვენს ღროში უფრო ძალმოსილი განდა მაიაკოვსკის პოეტუ-
რი თვეა ლენინისა და პარტიის ერთი-
ანობაზე.

ამ ერთიანობის, მთლიანობის აზრი
წითელ ზოლად გასდევს კურბულში მო-
თავსებულ ყველა ნაწარმოებს, განსა-
კუთრებით კი ქსენია შუაგას ლექსს
„შენთან ვართ მარად“. ლენინის სიბრძ-
ნით გაცისკრონებული პარტა ხალხს
წინ მიუძღვის „მომავალ დღეთა იმე-
დად“, და უდაბნოები იქცევა ბალა, ვიძყობოთ მშევრვალებს...

შენ იყვა ჩვენი რწმენა და ძალა,

შენა ხარ ჩვენი ფარი და შექი.

პოეტის ეს სიტყვები თანაბარი უფ-
ლებით ვეუზნის როგორც პარტიას,
ისე ლენინს.

„ლენინი ახალი სამყაროს მამაა!“ —
თქვა ეპტონ სინკლერმა და ამით გამო-
ხატა მთელი მსოფლიოს მაშვრალთა და
ჩაგრულთა, მთელი მოწინავე კაცობრიო-
ბის სიყვარული ლენინისადმი. რაც ლრო
გადის, მით უფრო იზრდება ლენინური
იდეების მსოფლიო მიზიდულობის ძალა.
ამ იდეების შექნათელი უნათებს გება-
თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა-
თვის მებრძოლ ხალხებს ფრიიასა და
აზიაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში.
ამ იდეებს უმაღლიან თავიანთ წარმატე-
ბებს სოციალიზმის მშენებელი ხალხება.

ბუდაპეშტში ვიყავი.

პრაღაში თუ ვარნაში,

შემხედა შენი ღიმილი

ბაღნარში თუ ვარღნარში.

ცველა ქალაქს დაპხარი

შებლზე სხივდაფენილი.

მსოფლიოში ყველა ღირ

ნათელს ჰქვეია ლენინი.

ხალხურ მორივებზე ვებული ეს



სტრიქონები გემალ ქათამაძის პოემიდან „ლენინს“, იქნებ მოქლებულია გარეგან ბრწყინვალებას, მაგრამ შინაგანად უთუოდ გვაგრძნობინებს დიდი აღა-მიანის ნაისრევის ფრთაშესმასა და და-გვირგვინებას, მისდამი საყოველთაო-სახალხო სიყვარულს.

შემთხვევითი არ არის, რომ ქართველ-მა პოეტებმა განსაკუთრებით მნიშვნე-ლოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოურ პოეტურ ლენინიანაში. გალაკტიონ ტა-ბიძის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრი-შავილის, სიმონ ჩიქოვანის და სხვათა ბრწყინვალე ლექსები ლენინზე გმოხა-ტავენ ქართველი ხალხის უანგარო სი-ყვარულს ბელადისადმი, უდიდესი მად-ლიერების გრძნობას იმ ადამიანისადმი, რომელმაც საქართველო იხსნა სოცია-ლური და ეროვნული ჩაგრისაგან. ასე-თივე გრძნობითა შთაგონებული სარე-ცენზიონ კრებულში დასტამბული ლე-ქსები და პოემები.

ვ. ი. ლენინს სამასამდე ადგილას აქვს საქართველო მოხსენიებული. და ყველ-გან ჩანს ჩვენი ხალხისადმი სიყვარული, მისი მერმისისათვის უანგარო ზრუნვა. ლენინი თვლიდა, რომ საქართველო გამ-დებოდა მაგალითი ყველა დაჩაგრულ მცირერიცხოვანი ხალხისათვის, მაგალი-თ იმისა თუ როგორ შეიძლება ოქტომ-ბრის მზის ქვეშ ყვევლებს ყოველგვარი ჩაგრისაგან განთავისუფლებული ერი.

ილიჩის ოცნება ახდა. საქართველოს, მისი აქარის განუხრელი აღმავლობა მარ-თლაც სამაგალითოა ყველა ხალხისათვის.

ამ აზრს მკაფიოდ ასურათებს სამ-შობლოსადმი, ლენინისადმი მიძღვნილ არაერთ ლექსში მათია ვარშანიდე. მას თვეისი სანუკვარ მამულის შემდგომი წინსკვის პირობად მიაჩნია ლენინის ანდერძის, მისი იდეების განხორციელება.

მინდა, რომ იყო სავსე როველივით და უამი რეკლეს დიდი გალობის, და ანდერძის დიდი გენის

წამლად დაგედოს ჭირთა გამოვლილს.

კარგისათვის კარგის მიგება ჩვენი ხალხის ხის ურღვევი წესია. და იგი სტუმრად იწვევს საყვარელ ბელადს, რომ უმკურ-ნალოს, საქართველოს უებრო ბუნების წიაღში სიცოცხლის ახალი ძალა შევმა-ტოს, გამოაგანსაღოს...

მთელი საქართველო ხელგაშლილი ელოდა ლენინს. მაგრამ დიდ ბელადს აღარ დასცალდა და ამიტომ დღეს ჩვენ-ში ვერსად შეხვდებით წარწერას — „აქ უცხოვრია ვლადიმერ ლენინს!“ ეს ფაქ-ტი უდევს საფუტვლად შოთა როვას საქართველო ცნობილ ლექსს „ილიჩი საქარ-თველში“.

პოეტი ყველა ქართველის აზრს გამო-ხატავს, როცა ამბობს: ლენინის ჩამოსვ-ლა მოელი ჩვენი ხალხის ნამდვილი დღესასწაული იქნებოდა, გაჩაღლებოდა სუფრა და ლხინი, შინ მიიწვევდნენ ქარ-თველ თავაზით და დალოცავდნენ ქარ-თველ ღვინით.

უბრალოდ და გულშიჩამწვდომად ელერს ამ ლექსის უკანასკნელი აკორდი: ჩამოსულიყო, — გააოცებდა მთების მშევნება, ქართლის ბალები, ილიჩი ალბათ მეტს იცოცხლებდა და ჩვენც ხომ მეტად გვიხარებდით!

მაღლიერი ქართველი ხალხი, მთელ საბჭოთა ხალხთან, მთელ მოწინავე კა-ცობრიბობასთან ერთად დიდი ზემით აღნაშავს ვ. ი. ლენინის დაბალების ასი წლისთავს.

ამ სახელოვანი თარიღისადმი არის მიღლვნილი „უკვდავება“. ეს კრებულიც იმს ნათელი დადასტურებაა, რომ პოე-ტური ლენინიანა წლების მანძილზე არა მარტო ფართოვდება, არამედ ისება კო-ნკრეტული ისტორიული შინაარსთ. ჩაც დრო გადის და გშორდებით იმ უვალ-მოსაგონაზ აანვრის დღეს, მით უფრო ახლობელი ხდება ოქტომბრის ბელადი-სა და სულისჩამდგმელის პიროვნება. მი-სი იდეები და საქმენი.

პ. შანიძე.

699/58
21876
ГРУЗИЙСКАЯ
СОВЕТСКАЯ ПУБЛИЧНАЯ
БИБЛИОТЕКА

ЧАСТО 40 553.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 76118